გიორგი კიკნაძე
ნინო კიღურაძე
ლალი ფირცხალავა
ცირა ჩიკვაიძე
ნანა ციხისთავი

ისტორია X

მასწავლებლის წიგნი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გიორგი კიკნაძე
ნინო კიღურაძე
ლალი ფირცხალავა
ცირა ჩიკვაიძე
ნანა ციხისთავი

ისტორია 10
მასწავლებლის წიგნი

პირველი გამოცემა, 2012

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2 91 09 54, 2 91 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-624-3

HISTORY 10
Teacher's Book

G. Kiknadze
N. Kiguradze
L. Firtskhalava
C. Chikvaidze
N. Tsikhistavi

© Bakur Sulakauri Publishing, 2012
Tbilisi, Georgia

შინაარსი

I. შესავალი 5

II. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 6

III. ეროვნული სასწავლო გეგმა 7

IV. მოსწავლის წიგნის შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 12

V. ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები 16

VI. სანიმუშო გაკვეთილების აღწერა 41

VII. დამატებითი მასალა ცალკეული გაკვეთილებისთვის 47

VIII დამატებითი მასალა 62

IX. შეფასება 76

X. ბიბლიოგრაფია 86

I. შესავალი

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა, სტრუქტული ერთეულები და მათი ფუნქცია

მოსწავლის წიგნის შინაარსი დაყოფილია თავებად და პარაგრაფებად. ყველაზე მსხვილი სტრუქტურული ერთეული თავია. ყოველი თავი მოსწავლის წიგნში გამოყოფილია საგანგებოდ მისთვის შერჩეული ფერით. შემდეგი სტრუქტურული ერთეულია პარაგრაფი. თითოეულ პარაგრაფში თავმოყრილი სასწავლო მასალა გათვლილია 1 ან 2 აკადემიურ საათზე. პარაგრაფები, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეთავებად. ქვეთავით გამოყოფილია გაკვეთილის თემის მთავარი საკითხები.

თითოეული პარაგრაფი შედგება 6 სასწავლო ელემენტისგან. ესენია:

1) ავტორისეული ტექსტი;
2) წყაროები;
3) დამატებითი ცნობა;
4) ლექსიკონი;
5) დავალებები – როგორც საკლასო, ისე საშინაო;
6) თვალსაჩინოებები – სურათები, რუკები, სქემები.

ძირითადი სამუშაო ერთეული წყაროა. დავალებების უმეტესობა უშუალოდ წყაროების ანალიზზეა ორიენტირებული. სამუშაო ნაწილი შეიცავს აგრეთვე კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოითხოვს დანარჩენი სასწავლო ერთეულების (საავტორო ტექსტი, დამატებითი ცნობები, ლექსიკონი) დამუშავებასა თუ მოშველიებას. სასწავლო ელემენტი – ლექსიკონი შეიცავს როგორც უცხო სიტყვებისა თუ ცნებების განმარტებას, ისე ენციკლოპედიურ ცნობებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

მოსწავლის წიგნის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო კომპონენტია თვალსაჩინოებები (სურათები, რუკები, სქემები და სხვ.), რომელიც წყაროების კატეგორიას განეკუთვნება. შესაბამისად, დავალებები ორიენტირებულია ერთი მხრივ, უშუალოდ მათ განხილვაზე, მეორე მხრივ კი, მათი გამოყენების აუცილებლობაზე კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

II. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება;

მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ.

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები; მათ შორის, იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

III. ეროვნული სასწავლო გეგმა

ისტორია
X კლასი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

დრო და სივრცე	ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა	კომუნიკაცია
ისტ.X. 1. მოსწავლეს შეუძლია ანალიტიკური მსჯელობა ისტორიის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხებზე.	**ისტ.X. 2.** მოსწავლეს შეუძლია ისტორიის დამხმარე დარგებზე მსჯელობა და მათი სპეციფიკის განსაზღრა. **ისტ.X.3.** მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში ისტორიული აზრის განვითარების პროცესზე. **ისტ.X.4.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები. **ისტ.X.5.** მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება. **ისტ.X.6.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები. **ისტ.X.7.** მოსწავლეს შეუძლია ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.	**ისტ.X.8.** მოსწავლეს შეუძლია ისტორიული თემის დაწერა.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: დრო და სივრცე

ისტ.X. 1. მოსწავლეს შეუძლია ანალიტიკური მსჯელობა ისტორიის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

19. მსჯელობს წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემაზე, მისი წარმოშობის ისტორიასა და მიზეზებზე, ადარებს წელთაღრიცხვის ძველ სისტემებს თანამედროვე საყოველთაოდ გავრცელებულ მოდელს; მსჯელობს ქართული წელთაღრიცხვის სისტემაზე;
20. იცნობს კალენდრის სხვადასხვა სისტემას, ადარებს მას მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ კალენდართან;
21. იცნობს ისტორიის პერიოდიზაციის ძირითად ძველ და თანამედროვე მოდელებს, მსჯელობს მათ შესახებ;
22. იცნობს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ძველ და თანამედროვე მოდელებს. ადარებს მას მსოფლიოში დღეს არარებულ ისტორიის პერიოდიზაციასთან.

მიმართულება: ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა

ისტ.X. 2. მოსწავლეს შეუძლია ისტორიის ძირითად და დამხმარე დარგებზე მსჯელობა და მათი სპეციფიკის განსაზღრა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

23. ჩამოთვლის ისტორიის დამხმარე დარგებს, იცნობს მათ სპეციფიკას, გამოყოფს კვლევის უმთავრეს ობიექტებს;

24. მსჯელობს ისტორიული დარგების ადგილსა და მნიშვნელობაზე ისტორიული პროცესის შესაძლებელი სისრულით აღდგენისა და აღქმისათვის;
25. მსჯელობს დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგებზე, აკეთებს პრეზენტაციას მის მიერ არჩეული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ *(მაგ.: ევრაზიის უძველესი ადამიანი დმანისში, ტროას გათხრები*);
26. მსჯელობს ეთნოლოგია/ეთნოგრაფიული მასალების მნიშვნელობაზე, კლასგარეშე აქტივობის გზით *(სამუზეუმო ექსპონატების გაცნობა, საველე გასვლითი სამუშაოს შედეგად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის გაცნობა)* მოპოვებული მასალის საფუძველზე მსჯელობს ყოფა-ცხოვრების ძირითად მახასიათებლებზე და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ძირითად ელემენტებს ადარებს თანამედროვე ყოფას; აკეთებს პრეზენტაციას მის მიერ არჩეული საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ტრადიციული ყოფა-ცხოვრების შესახებ;

- სამუზეუმო ფონდებისა და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით მოიძიებს ქართული მონეტებისა და ქაღალდის ფულის ძირითად ნუმუშებს და ადარებს სხვა ქვეყნის ფულის ნიმუშებთან; მსჯელობს ნუმიზმატიკისა და ბონისტიკის მნიშვნელობაზე;
- იცნობს ძველ ქართულ მეტროლოგიურ სისტემას. ადარებს მას სხვა ქვეყნებში გავრცელებულ ძველ და თანამედროვე მეტროლოგიურ სისტემებთან;
- განსაზღვრავს ისტორიული გეოგრაფიის მნიშვნელობას, იცნობს ისტორიული კარტოგრაფიის ძირითად ეტაპებს, მათ შორის ქართული კარტოგრაფიის განვითარების ისტორიას *(მაგ.: მსჯელობს ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ მემკვიდრეობაზე და ადარებს მის ატლასებს მისი დროის მსოფლიო კარტოგრაფიულ მიღწევებთან*).

ისტ.X.3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში ისტორიული აზრის განვითარების პროცესზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცნობს ისტორიული აზრის განვითარების ძირითად ეტაპებს;
- განასხვავებს ისტორიული მწერლობის განვითარების ძირითად *(ანტიკური, შუა საუკუნეების, რენესანსის. . . .)* ეტაპებს;
- მსჯელობს სხვადასწხვა ეპოქის ისტორიკოსებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარების საქმეში;
- იცნობს შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს, მსჯელობს მათი ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ *(მაგ.: ვახუშტი ბაგრატიონი და ივანე ჯავახიშვილი);* მსჯელობს უმნიშვნელოვანესი ქართული საისტორიო კრებულის, ,,ქართლის ცხოვრების'' შესახებ;
- მსჯელობს სხვადასხვა ისტორიული სკოლის წარმოშობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე და ადარებს ერთმანეთთან ამ სკოლების წარმომადგენლების ძირითად შეხედულებებს; გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, რამდენად განაპირობებს ისტორიული გარემო და ეპოქის ფასეულობები სხვადასხვა დროის ისტორიის თეორეტიკოსთა შეხედულებებს.
- მსჯელობს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ისტორიის განსხვავებული მნიშვნელობების *(ისტორია, როგორც პროპაგანდა, ისტორია და ეთიკა, ისტორია და თეოლოგია)* შესახებ.

ისტ.X.4. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას *(მაგ.: იუსტინიანე კეისრის შეფასებას პროკოფი კესარიელის ოფიციალური და საიდუმლო ისტორიის მიხედვით ან ლაშა-გიორგის შეფასება ლაშას დროინდელი მემატიანისა და ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით)*; მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- ადარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ;
- მსჯელობს ისტორიული ინტერპრეტაციის ჰიპოთეტურ ხასიათზე და აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ისტორიული ინტერპრეტაცია შეიძლება გადაფასდეს ახალი მასალის მოძიების (გამოქვეყნების) შემთხვევაში;
- ასხვავებს ისტორიულ ფაქტს ისტორიული ინტერპრეტაციისაგან.

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;
- აღიქვამს ეთნოგრაფიული და არქეოლიგიური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- აღიქვამს ლინგვისტური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- საუბრობს ფოლკლორული მასალის, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ.

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი *(მაგ.: იკვლევს იყო თუ არა ავტორი მოვლენის თვითმხილველი, რა წყაროებით სარგებლობდა იგი; მოქმედებდა თუ არა ცენზურა წყაროს ავტორზე);*
- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას *(მაგ.: მხედველობაში იღებს წყაროს ავტორის პირად ურთიერთობას ისტორიული პირთან, მის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, მისი ეპოქის საზოგადოებრივ გარემოს, ფასეულობებსა და მენტალიტეტს);*
- ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ; წყაროს შეფასებისას მხედველობაში იღებს, თუ რამდენად არის დაშორებული იგი დროისა და ადგილის თვალსაზრისით მასში გადმოცემული ისტორიული მოვლენებისგან;
- განასხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მოწოდებაც წყაროს ავტორის უპირველესი მიზანია, წყაროში არსებული ყველა სხვა ცნობისაგან *(მაგ. იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამებაში" ავტორის მიზანია ქრისტიანობისათვის თავდადებული დედოფლის ცხოვრების აღწერა, მაგრამ ამავე დროს ამ ნაწარმოებში ჩვენ მოვიპოვებთ ცნობებს V საუკუნის II ნახევრის ქართლის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ვითარების შესახებ);*
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს *(პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით;*
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან შეფასება.

ისტ.X.7. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით ირჩევს საკვლევად მისთვის საინტერესო ისტორიულ საკითხს (მოსწავლის არჩევანი შეიძლება განაპირობოს ისტორიული ნაშრომის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის, კინოფილმების, არქიტექტურული ძეგლების, სამუზეუმო ექსპოზიციების გაცნობამ ან რომელიმე თანამედროვე პოლიტიკური მოვლენით დაინტერესებამ);
- მომავალი გამოკვლევის თემის დაკონკრეტების მიზნით არჩეულ ისტორიულ საკითხზე ეცნობა ერთ ან ორ ზოგადი ხასიათის სტატიას *(მაგ.: სტატია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში);*
- განსაზღვრავს, თუ რა ტიპის კვლევის ჩატარებას აპირებს - დაეყრდნობა მისი გამოკვლევა მხოლოდ მეორად წყაროებს, თუ მას დასჭირდება როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროების გამოყენება;
- ადგენს "სამუშაო" ბიბლიოგრაფიას *(მაგ.: ა) ენციკლოპედიის სტატიის ბოლოს მითითებული წიგნების მიხედვით; ბ) მასწავლებლის მიერ დასახელებული წიგნის სქოლიოებში ან გამოყენებულ ლიტერატურის სიაში მოიძიებს და შეარჩევს ორ ან სამ გამოკვლევას);*
- მოსწავლე ბიბლიოთეკაში კატალოგის საშუალებით მოიძიებს საჭირო ლიტერატურას და განსაზღვრავს, გამოადგება თუ არა ესა თუ ის წიგნი ან სტატია მომავალი კვლევისათვის *(მაგ., წიგნის შესავლის, წინასიტყვაობის, სარჩევის თავებისა და ქვეთავების გაცნობის საშუალებით);*
- კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მასწავლებლის დახმარებით მოიძიებს, ეცნობა და აფასებს პირველად წყაროებს;
- საჭიროების შემთხვევაში მოიძიებს და იყენებს ინფორმაციას ვიზუალური, აუდიო/ვიდეო/კინო მასალისა და ინტერნეტ-რესურსის, ასევე ლიტერატურული წყაროების საშუალებით *(ფოტოები, ნახატები, ფრესკები, არქიტექტურული ნაგებობები, რომანები, პოეტური და დრამატურგიული ნაწარმოებები, ფოლკლორული, პოპულარული თუ კლასიკური მუსიკა);*
- კვლევის პროცესში იყენებს სხვადასხვა ტიპის დიაგრამებს ისტორიული წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის განმარტებისა თუ ილუსტრაციის მიზნით;
- კვლევის შედეგებს რეგულარულად აცნობს მასწავლებელს და ითვალისწინებს მის შენიშვნებს.

მიმართულება: კომუნიკაცია

ისტ.X.8. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული თემის დაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისტორიული თემის დაწერის მიზნით ირჩევს მისთვის საინტერესო საკითხს და თანდათან აკონკრეტებს მას.
- არჩეულ საკითხზე წინასწარი კვლევის ჩატარების შემდეგ განსაზღვრავს თემის მთავარ იდეას - თეზისს და აყალიბებს მას წინადადების სახით;
- განსაზღვრავს თემის მიზანს, ანუ იმას, თუ რა დანიშნულება აქვს თემას _ მკითხველის ინფორმირება ისტორიულ საკითხთან დაკავშირებით (ანუ ისტორიული საკითხის განმარტება, ახსნა), თუ მკითხველის დარწმუნება ისტორიული პრობლემის საკუთარი ხედვის (არგუმენტის) სისწორეში;
- განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება მის მიერ დაწერილი თემის მკითხველი *(მაგ.: თანაკლასელები, მასწავლებელი თუ ოლიმპიადის ჟიური)*; ამ მიზნით პასუხობს შემდეგ შეკითხვებს: რა იცის წინასწარ მომავალმა მკითხველმა თემაში განხილული ისტორიული საკითხის შესახებ? რა ცოდნა უნდა მისცეს მკითხველს ჩემმა თემამ? რა მინდა, რომ მკითხველმა დაინახოს ახლებურად? როგორ უნდა ავაგო თემა, რომ ჩემი იდეები გასაგები გახდეს კონკრეტული მკითხველისთვის?
- ადგენს თემის დაწერის გეგმას, რაც გულისხმობს: ა) გეგმის შედგენის დროს უფრო მნიშვნელოვანი იდეების ერთ ჯგუფში განთავსებას, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვნისას კი _ მეორეში და ა.შ.; ბ) შემდეგი ტიპის სქემის შედგენას:

თემის თეზისი (წინადადების სახით)	*მაგ. 1920-21 წლებში ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის დაკარგვა განაპირობა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა.*
პირველი მთავარი იდეა *ა) პირველ მთავარ იდეასთან დაკავშირებული პირველი დამხმარე იდეა* • *მიზეზი ან მაგალითი* • *მიზეზი ან მაგალითი* *ბ) პირველ მთავარ იდეასთან დაკავშირებული მეორე დამხმარე იდეა* • *მიზეზი ან მაგალითი* • *მიზეზი ან მაგალითი*	*მაგ., რუსეთის რევოლუცია* *ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა* *I მსოფლიო ომის შედეგები*
მეორე მთავარი იდეა	*პირველი მსოფლიო ომი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია*

- მასწავლებელს (ხელმძღვანელს, თანაკლასელებს) წარუდგენს თემის შავ ვარიანტს.
- ისტორიული თემის წერის პროცესში განსაზღვრავს თემის ენობრივ მხარეს\წერის *(სავარაუდო მკითხველის გათვალისწინებით განსაზღვრავს, რა სირთულის უნდა იყოს ნაშრომის ენა, იყოს თუ არა იგი ხატოვანი და ა.შ.).* თავს არიდებს წმინდა პროფესიული ტერმინების უადგილოდ გამოყენებასა და კლიშეების ხმარებას. ციტატის მოტანისას, პერაფრაზირებისას ან სხვისი მოსაზრების გამოყენებისას აუცილებლად უთითებს წყაროს;
- იყენებს და თანმიმდევრულად იცავს მითითების არჩეულ სტილს, თემას დაურთავს გამოყენებული ლიტერატურის სიას, ახდენს გვერდების დანომვრას;
- შავი ვარიანტის დასრულებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უბრუნდება მას გადამუშავების მიზნით: ა) თემის ხელმეორედ წაკითხვისას ცდილობს შეხედოს თავის ნაშრომს მომავალი მკითხველის თვალით; ბ) ხელმეორედ წაკითხვის დროს ამოწმებს: რამდენად კარგად არის აგებული ნაშრომი, ემთხვევა თუ არა შავი ვარიანტი წინასწარ შედგენილ გეგმას, კარგად არის შეკრული თემა თუ არა, ლოგიკურ კავშირშია თუ არა თემის ყველა ნაწილი თეზისთან, არის თუ არა ხარვეზები არგუმენტების სხვადასხვა ნაწილს შორის, აქვს თუ არა ადგილი შინაარსის ან ფრაზების გამეორებას;
- მეორე (ან მესამე ვარიანტის) დაწერის შემდეგ ახდენს თემის რედაქტირებას;
- თემის საბოლოო ვარიანტის წარდგენის წინ კიდევ ერთხელ კითხულობს რედაქტირებულ ვარიანტს.

პროგრამის შინაარსი

სავალდებულო შინაარსობრივ საკითხთა ჩამონათვალი X კლასისათვის

(ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები შეადგენს ამ კლასისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 80%-ს)

- **ჩვენ და ისტორია:**
  ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი

- **ისტორიის ქრონოლოგია**
  ა) კალენდარი (დასავლური და აღმოსავლური კალენდრები - იულიუსის, გრიგორიანული, მუსლიმური, ომარ-ხაიამის)
  ბ) წელთაღრიცხვის სისტემები (ერა, ქორონიკონი, ჰიჯრა)

- **ისტორიის პერიოდიზაცია:**
  ა) ისტორიის პერიოდიზაციის სათავეებთან
  ბ) პერიოდიზაციის პტოლემაიოსის სისტემა
  გ) მსოფლიო ისტორიის სამწევროვანი დაყოფა
  დ) მარქსიზმი და ისტორიის პერიოდიზაცია
  ე) ისტორიის პერიოდიზაცია ცივილიზაციების მიხედვით
  ე) საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია

- **ისტორია და ისტორიის დარგები (ქართული და უცხოური მასალების საფუძველზე):**
  ა) წყაროთმცოდნეობა (რა არის ისტორიული წყარო? საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია; კვლევის მეთოდოლოგია (წარსულის რეკონსტრუქცია ისტორიული წყაროების საშუალებით); წყაროები: დოკუმენტური და ნარატიული
  2) არქეოლოგია
  3) ეთნოლოგია/ეთნოგრაფია
  4) ისტორიული გეოგრაფია/ისტორიული კარტოგრაფია
  5) ნუმიზმატიკა და ბონისტიკა
  6) ჰერალდიკა და გენეალოგია

7) ისტორია და ინფორმატიკა

- **ისტორიული მეცნიერების ისტორია (ისტორიოგრაფია):**
  ა) ძველბერძნული ისტორიოგრაფია: ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტე; პოლიბიოსი - პირველი მსოფლიო ისტორიის შექმნის მცდელობა; სტრაბონი - ისტორიისა და გეოგრაფიის სინთეზი
  ბ) რომაული ისტორიოგრაფია: იულიუს კეისარი, ტიტუს ლივიუსი, კორნელიუს ტაციტუსი; პლუტარქე და სვეტონიუსი - ბიოგრაფიული თხზულებანი; ამიანე მარცელინე
  გ) ბიზანტიური ისტორიოგრაფია: ევსები კესარიელი - ,,საეკლესიო ისტორია'' და გელასი კესარიელი; პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი; კონსტანტინე პორფიროგენეტი - გვირგვინოსანი ისტორიკოსი, ანა კომნინა, მიქაელ პანარეტოსი;
  დ) სომხური ისტორიოგრაფია: შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფია
  ე) ქართული ისტორიოგრაფია: რა არის ,,ქართლის ცხოვრება'', ძველი და ახალი ციკლის ,,ქართლის ცხოვრება''; ვახუშტი ბაგრატიონი; გვიანი შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსები (ფარსადან გორგიჯანიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე); ქართული ისტორიოგრაფია XIX-XX საუკუნეებში
  ვ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების პერიოდის ისტორიული აზრი: შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული ისტორიოგრაფია (გრიგოლ ტურელი, ბედა პატივდებული, ეინჰარდი. . .); არაბი და სპარსი ისტორიკოსები (იბნ ხალდუნი, ტაბარი, ალ-ფარიკი); ლორენცო ვალა, მაკიაველი; ფრენსის ბეკონი, ჟან ბოდენი
  ზ) ძველი მოგზაურების ჩანაწერები: ქართველი მოგზაურები (ჩახრუხაძე, რაფიელ დანიბეგაშვილი); პლანო კარპინი, მარკო პოლო; იბნ-ბატუტა; კასტელი, შარდენი, გიულდენშტენდტი

19 თემას უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა: შესავალი - თემის მთავარი პრობლემის მოკლე მიმოხილვა და ამ პრობლემისადმი საკუთარი პოზიციის გამოხატვა თეზისის სახით; ძირითადი ნაწილი - საკუთარი პოზიციის ასახსნელად ან დასამტკიცებლად არგუმენტებისა და მაგალითების მოყვანა; დასკვნა – თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება.

თ) განმანათლებლობის პერიოდის ისტორიული აზრი: ჯამბატისტა ვიკო, ვოლტერი, მონტესკიე; იუმი

ი) ისტორიული აზრი XIX საუკუნეში: თეოდორ მომზენი - ნობელიანტი ისტორიკოსი; ლეოპოლდ ფონ რანკე, იპოლიტ ტენი; პოზიტივისტები

კ) ისტორიული აზრი XX საუკუნეში: ბენედიტო კროჩე - ისტორიის თეორეტიკოსი; რობინ კოლინგვუდი - ,,ისტორიის იდეა''; ანალების სკოლა

- **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**
  ა) პირველადი და მეორადი წყაროები
  ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

- **როგორ იწერება ისტორიული თემა:** საკვლევი თემის არჩევა და თემაზე მუშაობის პროცესი, ისტორიული თხზულების სტრუქტურა, როგორ იწერება ისტორიული ნაშრომი (ნაშრომის ენა და გაფორმება, ბიბლიოთეკით სარგებლობა და წიგნზე მუშაობის დაგეგმვა)

IV. მოსწავლის წიგნის შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა

სტანდარტის შესაბამისი შედეგები

პარაგრაფის დასახელება თითოეულ პარაგრაფს ეთმობა 1 აკადემიური საათი	მოსწავლეს შეუძლია ანალიტიკური მსჯელობა ისტორიის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხებზე	მოსწავლეს შეუძლია ისტორიის დამხმარე დარგებზე მსჯელობა და მათი სპეციფიკის განსაზღვრა.	მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში ისტორიული აზრის განვითარების პროცესზე.	მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.	მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.	მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს პირველადი და მეორეული წყაროები.	მოსწავლეს შეუძლია ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.	მოსწავლეს შეუძლია ისტორიული თემის დაწერა.
ისტორიის საგანი. პროფესია – ისტორიკოსი			✓	✓				
ისტორიის ქრონოლოგია. კალენდარი	✓							
წელთაღრიცხვის სისტემები	✓							
ისტორიის პერიოდიზაციის სათავეებთან. პერიოდიზაციის პტოლემაიოსის სისტემა	✓		✓					
მსოფლიო ისტორიის „ოთხ სამეფოდ“ დაყოფა. პერიოდიზაციის სამწევროვანი სისტემა	✓		✓					
მარქსისტული პერიოდიზაცია. პერიოდიზაცია ცივილიზაციების მიხედვით	✓		✓					
საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია	✓		✓					
წყაროთმცოდნეობა		✓			✓			
არქეოლოგია		✓			✓			
ეთნოლოგია		✓			✓			
ისტორიული გეოგრაფია და ისტორიული კარტოგრაფია		✓			✓			
პალეოგრაფია		✓			✓			
ნუმიზმატიკა და ბონისტიკა		✓			✓			

	1	2	3	4	5	6	7	8
ჰერალდიკა		✓			✓			
გენეალოგია		✓			✓			
სფრაგისტიკა		✓			✓			
ვექსილოლოგია		✓			✓			
ისტორია და ინფორმატიკა		✓						
ისტორიული შინაარსის უძველესი ტექსტები			✓	✓	✓			
ძველბერძნული ისტორიოგრაფია. ჰეროდოტე. თუკიდიდე			✓	✓	✓			
ძველბერძნული ისტორიოგრაფია. ქსენოფონტი. პოლიბიოსი. სტრაბონი			✓	✓	✓			
რომაული ისტორიოგრაფია. იულიუს კეისარი. ტიტუს ლივიუსი. კორნელიუს ტაციტუსი			✓	✓	✓			
რომაული ისტორიოგრაფია. პლუტარქე და სვეტონიუსი – ბიოგრაფიული თხზულებანი. ამიანე მარცელინე			✓	✓	✓			
ბიზანტიური ისტორიოგრაფია. ევსები, გელასი და პროკოფი კესარიელები. აგათია სქოლასტიკოსი			✓	✓	✓			
ბიზანტიური ისტორიოგრაფია. კონსტანტინე პორფიროგენეტი და ანა კომნენე – გვირგვინოსანი ისტორიკოსები. მიქაელ პანარეტოსი			✓	✓	✓			
ფეოდალური ხანის სომხური ისტორიოგრაფია			✓	✓	✓			
ქართული ისტორიოგრაფია. „ქართლის ცხოვრება“			✓	✓	✓			
„ახალი ქართლის ცხოვრება“			✓	✓	✓			
გვიანი შუასაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). ფარსადან გორგიჯანიძე			✓	✓	✓			
გვიანი შუასაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). ვახუშტი ბაგრატიონი			✓	✓	✓			
გვიანი შუასაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). სეხნია ჩხეიძე. პაპუნა ორბელიანი. ომან ხერხეულიძე			✓	✓	✓			

	1	2	3	4	5	6	7	8
XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია			✓	✓	✓			
საქართველოს ისტორიის კვლევა XX საუკუნეში			✓	✓	✓			
შუა საუკუნეების ევროპული ისტორიული მწერლობა. გრიგოლ ტურელი			✓	✓	✓			
შუა საუკუნეების ევროპული ისტორიული მწერლობა. ბედა პატივდებული. აინჰარდი			✓	✓	✓			
შუა საუკუნეების მუსლიმური ისტორიული მწერლობა			✓	✓	✓			
პირველი ჰუმანისტი ისტორიკოსები. ფრანჩესკო პეტრარკა. ლორენცო ვალა			✓	✓	✓			
პოლიტიკური ისტორია. ნიკოლო მაკიაველი. ფრანჩესკო გვიჩარდინი			✓	✓	✓			
რენესანსული ისტორიული აზრის განვითარება ევროპაში. ჟან ბოდენი. ფრენსის ბეკონი			✓	✓	✓			
მოგზაურთა ჩანაწერები. ქართველ მოგზაურთა ჩანაწერები			✓	✓	✓			
შუა საუკუნეების მოგზაურთა ჩანაწერები. პლანო კარპინი, მარკო პოლო, იბნ ბატუტა			✓	✓	✓			
ახალი დროის ევროპელი მოგზაურები. კასტელი. შარდენი. გიულდენშტენდტი			✓	✓	✓			
XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. ჯამბატისტა ვიკო			✓	✓	✓			
XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. ფრანგი განმანათლებლები. ვოლტერი. მონტესკიე			✓	✓	✓			
XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. „შოტლანდიური განმანათლებლობა.“ დევიდ იუმი			✓	✓	✓			

	1	2	3	4	5	6	7	8
XIX საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. გერმანელი ისტორიკოსები – რანკე. მომზენი.			✓	✓	✓			
დროიზენი XIX საუკუნის პოზიტივისტი ისტორიკოსები. იპოლიტ ტენი			✓	✓	✓			
ისტორიის მეცნიერება XX საუკუნეში. პოზიტივიზმის კრიტიკა. რობინ ჯორჯ კოლინგვუდი. ბენედეტე კროჩე ანალების სკოლა			✓	✓	✓			
პირველადი და მეორეული წყაროები. წყაროების კრიტიკა					✓	✓		
წყაროების ინტერპრეტაცია				✓		✓		
მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო)				✓	✓	✓		
მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო)				✓	✓	✓		
მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო)				✓	✓	✓		
მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო)				✓	✓	✓		
ზეპირი ისტორია – მეთოდიკა და წყარო (პრაქტიკული სამუშაო)				✓	✓	✓	✓	
კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და მისი ეტაპები							✓	✓
ბიბლიოთეკებსა და არქივებში მუშაობა							✓	✓
წიგნზე მუშაობა							✓	✓
ისტორიული მასალა ინტერნეტში							✓	✓
როგორ იწერება ისტორიული ნაშრომი							✓	✓

V. ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

დებატები ისტორიის გაკვეთილზე

1. დებატების ორგანიზება, სრულყოფს და ავითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

❖ კრიტიკულად აზროვნების უნარს

კრიტიკული აზროვნება – ეს არის აზრებისა და იდეების ჩამოყალიბების, იდენტიფიკაციის, გარკვევისა და დასაბუთების პროცესი. ის შესაძლებლობას იძლევა ჩავუღრმავდეთ დებატების საკითხს და მივიდეთ მკაფიო, კარგად დასაბუთებულ და გააზრებულ არგუმენტებამდე.

❖ კვლევით ჩვევებს

არგუმენტების წარმოთქმისას აუცილებელია მტკიცებულება მათ დასასაბუთებლად. ხშირად არგუმენტებისათვის აუცილებელია გაზეთებიდან, წიგნებიდან, ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის დამოწმება.

❖ მასალის სისტემატიზაციის (მოწესრიგების) ჩვევას

დებატების დიდ ნაწილს გამოსვლის პროცესში იკავებს არგუმენტების სისტემატიზაცია (მოწესრიგება). საჯარო გამოსვლისას ეს უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე წერისას.

❖ მოსმენისა და ჩაწერის უნარს

დებატების მოსმენის უნარი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თუ ვერ მოისმინეთ ან ვერ გაიგეთ ოპონენტის არგუმენტი, შეუძლებელია მისი დაბეჯითებით უარყოფა.

2. მოსწავლეები იღებენ დიფერენცირებულ დავალებას

❖ დებატებში მონაწილეობს სამ-სამი კაცისგან შემდგარი ორი გუნდი.

❖ ერთი ან ორი მოსწავლე აზრს ზუსტად აფიქსირებს დებატების მიმდინარეობის დროს.

❖ დანარჩენ მოსწავლეებს ვთავაზობთ ჩაიწერონ ორივე მხარის არგუმენტები.

❖ დებატების შემდეგ ყველა განიხილავს არგუმენტების მნიშვნელობას, გამომსვლელთა უნარს, მკაფიოდ და დამაჯერებლად დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი, უნარს, პასუხი გასცენ საპირისპირო მხარის შეკითხვებს.

3. გაკვეთილზე შეიძლება გამოვიყენოთ დებატების მხოლოდ ცალკეული ელემენტებიც – გამოსვლები, კითხვებზე პასუხი, არგუმენტების სისტემის შექმნა.

4. დებატებისთვის თემის შერჩევისა და ჩამოყალიბებისას, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ის უნდა იყოს:

- ✓ წინააღმდეგობრივი, რათა გამოიწვიოს ინტერესი დებატებისადმი;
- ✓ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი, რათა თითოეულ მხარეს ჰქონდეს თანაბარი რაოდენობის ხარისხიანი არგუმენტები;
- ✓ მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი ტერმინებით;
- ✓ კვლევისათვის გამოსადეგი.

მოსწავლის სამახსოვრო

1. დებატებში მონაწილეობისას უნდა დაიცვათ სამი პირობა:

ა) აწარმოეთ დებატები, რათა ისწავლოთ. სწავლა გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია. დებატები განკუთვნილია იმისთვის, რომ დავეუფლოთ ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში;

ბ) იყავით კეთილსინდისიერნი. ჭეშმარიტების ძიებისას დებატების მონაწილეები კეთილსინდისიერები უნდა იყვნენ არგუმენტებისა და მტკიცებულების გამოყენებისა და კითხვებზე პასუხის გაცემის დროს;

გ) გამართეთ დებატები ურთიერთპატივისცემით. დებატები წარმოებს არა პიროვნებებზე, არამედ იდეებზე. არ შეიძლება დაამციროთ პიროვნება იმიტომ, რომ ის თქვენ არ გეთანხმებათ.

2. დებატების დროს უნდა დავიცვათ განსაკუთრებული თანმიმდევრობა. ეს ნიშნავს, რომ ყოველ მონაწილეს აქვს აზრის გამოთქმის, კითხვის დასმისა და არგუმენტის მომზადების შესაძლებლობა. გამომსვლელები იყოფიან დამამტკიცებლებად (ა1, ა 2, ა 3) და უარმყოფელებად (01, 02, 03).

გამომსვლელი	**დრო**	**ფორმა**
ა1	6 წუთი	აცნობს თემას, განსაზღვრავს და განმარტავს ძირითად ცნებებს, იძლევა თემის ანალიზს, განმარტავს მთელი ჯგუფის არგუმენტებს.
03	3 წუთი	03 დაუსვამს კითხვებს ა1-ს, ცდილობს უარყოს მისი არგუმენტები.
01	6 წუთი	თეზისი მიიღება სრულად, სხვა განსაზღვრებას არ წამოაყენებენ, იმ შემთხვევაში, თუ 01-ის ვარაუდები არ არის აბსოლუტურად მცდარი.
ა 3 და 01	3 წუთი	ა 3 დაუსვამს კითხვებს 01-ს.
ა 2	5 წუთი	უარყოფს 01-ის ყველა არგუმენტს, აძლიერებს დამამტკიცებელ პოზიციას და წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას.
01 და ა2	3 წუთი	01 გამოჰკითხავს ა 2-ს.
02	5 წუთი	უარყოფს ა1-ისა და ა2-ის არგუმენტებს. აძლიერებს უარყოფით პოზიციას და წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას.
ა 1 და 02	3 წუთი	ა1 დაუსვამს კითხვებს 02-ს.
ა 3	5 წუთი	უარყოფს უარყოფითი ხაზის არგუმენტებსა და მტკიცებულებას, აჩვენებს მის უკიდურეს წინააღმდეგობას, აძლიერებს და ასაბუთებს დამამტკიცებელ ხაზს.
03	5 წუთი	უარყოფს დამამტკიცებელი ხაზის არგუმენტებსა და მტკიცებულებას, აჩვენებს მის უკიდურეს წინააღმდეგობას, აძლიერებს და ასაბუთებს უარყოფით ხაზს.

3. თუ თქვენ არა ხართ გუნდის წევრი, მაშინ ყურადღებით ადევნეთ თვალი დებატებს და ჩაიწერეთ ტაბულაში ორივე მხარის არგუმენტები. გაყავით ფურცელი შუაზე. მარცხნივ ჩაწერეთ დამამტკიცებელი მხარის არგუმენტები, მარჯვნივ – უარმყოფელის.

გააკეთეთ სიმბოლოთი აღნიშნული გვერდების იმდენი ასლი, რამდენიც მოსწავლეც არის კლასში და შესაბამის გაკვეთილებზე დაურიგეთ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის ორგანიზება

ჯგუფში მუშაობის დაგეგმვა

❖ ყველაზე წარმატებული მოდელი – გაკვეთილის დასაწყისში მთელ კლასს ავუხსნათ დავალება, შევაგულიანოთ მოსწავლეები და მივცეთ მათ მოტივაცია სამუშაოსათვის; შემდეგ მოსდევს ჯგუფში მუშაობა და დასასრულს – განზოგადება მთელი კლასის მონაწილეობით.

❖ ჯგუფში მუშაობისთვის აუცილებელია, მოსწავლეები ხედავდნენ ერთმანეთს და ეს-მოდეთ ერთმანეთის; საჭიროა დავურიგოთ მასალა ჯგუფებს; სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

❖ სამუშაო ფურცელზე მითითება უნდა იყოს დაწერილი მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე და ზუსტად, რათა მათი შესრულება შესაძლებელი იყოს მასწავლებლის გარეშე.

❖ ჯგუფში მუშაობისას უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ სასწავლო მიზნების მიღწევებზე, არამედ თანამშრომლობის უნარის განვითარებაზეც.

თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები

❖ ჯგუფის წევრებმა უნდა მოუსმინონ თანაჯგუფელებს, თითოეული უნდა მონაწილ-ეობდეს მუშაობაში, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ითხოვდეს და იღებდეს დახ-მარებას.

❖ მასწავლებელი თვალს ადევნებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეასრულოს განსაზ-ღვრული როლი (ორგანიზატორ-ლიდერის, გამომსვლელის, განმაზოგადებლის, დროის მაკონტროლებლის და ა.შ.), ამასთანავე სხვადასხვა დავალების დროს როლები უნდა შეიცვალოს.

როგორ დავყოთ ჯგუფებად?

❖ ჯგუფის ოპტიმალური სიდიდე – 4-5 მოსწავლე; დიდი მოცულობის დავალებისთვის, რომელიც დაყოფილია რამდენიმე სავარჯიშოდ, გამოდგება უფრო დიდი ჯგუფებიც.

❖ ჯგუფები უნდა იყოს შერეული მოსწავლეთა ცოდნის დონის, სქესის და ა.შ. მიხედ-ვით, კლასის დაყოფამ უცვლელ ჯგუფებად შეიძლება ჩაშალოს ამგვარი მუშაობის პრინციპი, რადგან ყველა მოსწავლემ აქტიურად უნდა იმუშაოს.

რას აკეთებს მასწავლებელი იმ დროს, როცა მოსწავლეები მუშაობენ?

❖ თვალი ადევნეთ ჯგუფების მუშაობას, მაგრამ არ უხელმძღვანელოთ მათ. მოსწავლეები თავად აგებენ პასუხს საკუთარ თავზე. შეგიძლიათ მიეხმაროთ ჯგუფებს – მოგითხრონ მოსწავლეებმა გაკეთებულის შესახებ, თქვენ კი დაეხმარეთ მათ, დასვან გულახდილი კითხვები. მუშაობისას შეეცადეთ, მიაწოდოთ ახალი იდეები.

❖ თხოვეთ, რომ მოსწავლეებმა გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები, მოუსმინონ სხვებს და მიღებული ინფორმაციის გამოყენებით დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები.

❖ როცა მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად, თქვენ ხართ დამკვირვებელი. ყურადღება მიაქციეთ მათ, ვისაც უკვე აქვს კონკრეტული დავალების შესრულების ჩვევები. თავდაპირველად თქვენ უნდა მიაპყროთ ყურადღება ჯგუფის მუშაობის პროცესს და მხოლოდ დროთა განმავლობაში – ცოდნას.

❖ მუშაობის დროს გააკეთეთ კომენტარები. ინფორმაცია მოსწავლეთა გამოსვლის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული. ნუ მოერიდებით ხშირად, კონკრეტულად და ღიად კომენტირებას. ეს უნდა გააკეთოთ როგორც ჯგუფებად მუშაობის დროს, ასევე მიღებული შედეგების დაჯამებისას.

კონტროლი მუშაობასა და კონფლიქტების გადაჭრაზე

❖ თუ ჯგუფები ძნელად გასაკონტროლებელი ხდება, შეწყვიტეთ მუშაობა და განიხილეთ ეს საკითხი.

❖ მიუთითეთ, როგორი საქციელი ქმნის პრობლემებს, რომელი მოსწავლე არ ასრულებს თავის როლს და განმარტეთ, რომ ყველა პასუხისმგებელია დავალების შესრულებაზე. თითოეულ ჯგუფს 5 წუთით დაუნიშნეთ დამკვირვებელი. მოგვიანებით ეს დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. ჯგუფის მოქმედება მთელმა კლასმა უნდა განიხილოს.

მუშაობის მსვლელობა ჯგუფებში

❖ გაკვეთილის დაწყებამდე მოამზადეთ მასალა, შესაბამისად მოამზადეთ საკლასო ოთახი.

❖ მოკლედ მიმოიხილეთ თემა.

❖ თემის ათვისებისას შეიძლება განიხილოთ მხოლოდ ზოგიერთი დამახასიათებელი სფერო, რომელიც წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს; დაინტერესების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოიძიონ დამატებითი მასალა თემის შესახებ, წაიკითხონ ლიტერატურა და გამოკითხონ თვითმხილველები.

❖ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. ჯგუფების მუშაობა სასურველია მოზაიკის მეთოდით წარიმართოს– თითოეული ჯგუფი იღებს წყაროს თავისი თემისთვის, მაგრამ ისინი უნდა დამუშავდეს მსგავსი ხერხებით. ჯგუფებში სამუშაო თემები სასურველია გაითამაშონ.

❖ მიეცით განსაზღვრული დრო, რათა ჯგუფებმა შეძლონ დავალების გაცნობა.

❖ დარწმუნდით, გაიგო თუ არა ყველამ დავალება.

❖ მიეცით დრო დავალების შესრულებისათვის. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა, რაც აუცილებელია მუშაობისათვის.

❖ სთხოვეთ, რომ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელმა ყველას გააცნოს მუშაობის შედეგები.

❖ დააფიქსირეთ დასკვნები დაფაზე ან მოაწყვეთ დასკვნითი დისკუსია.

მოსწავლის სამახსოვრო

როგორ ვიმუშაოთ ჯგუფში

- ✓ ჩააბით საუბარში ჯგუფის ყველა წევრი, ისინიც კი, ვისაც თავისი აზრი არ გამოუთქვამს, გაუღვიძეთ მათ საუბარში მონაწილეობის სურვილი.
- ✓ მოუსმინეთ სხვის აზრებს.
- ✓ ეძიეთ კომპრომისი ჯგუფის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ განსხვავებულ აზრებს შორის.
- ✓ ნებისმიერ სიტუაციაში შეეცადეთ იყოთ თავშეკავებული.
- ✓ ხელს ნუ შეუშლით სხვებს და ნუ ეცდებით ხელში აიღოთ ჯგუფზე მუშაობის კონტროლი.
- ✓ ნუ გამოთქვამთ დამადანაშაულებელ რეპლიკებს და ნუ მოეპყრობით უარყოფითად სხვის მუშაობას.
- ✓ ხაზს ნუ გაუსვამთ თქვენს მიღწევებს და ნუ მოითხოვთ პრივილეგიებს.
- ✓ ნუ დაფარავთ თქვენს მტკიცე რწმენას და თამამად შესთავაზეთ იდეები სხვებს.

დისკუსია

მუშაობის დისკუსიური ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ თემა წინააღმდეგობრივია და მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული თვალსაზრისები, რომელთაგანაც არც ერთი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მივიღოთ ან უარვყოთ. ეს მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებულად გამოთქმის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ისწავლონ განსხვავებული თვალსაზრისის ტოლერანტულად აღქმა და გაგება.

დისკუსიის მონაწილეთა ამოცანაა – წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტები – „ვემხრობი“ და „წინააღმდეგი ვარ“ და მხოლოდ ამ გზით შეეცადონ დისკუსიაში მონაწილეთა დარწმუნებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ პირადი ხასიათის შეურაცხყოფა.

დისკუსიის ხელმძღვანელობისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ მოსწავლეთა გამონათქვამები არ შეიძლება იყოს ობიექტური. უნდა მივისწრაფოდეთ, რომ მოსწავლეები წარმოადგენდნენ თავიანთ თვალსაზრისს ტოლერანტული და მეგობრული ფორმით.
დისკუსიის მომზადებისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეები ძალიან სწრაფად შეეჩვევიან დისკუსიას, თუკი მათ ექნებათ შესაბამისი თემისათვის საჭირო ცოდნა, დრო, რათა გააანალიზონ თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია და თუკი განსახილველი საკითხები საინტერესო და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იქნება.
დისკუსიის მომზადებისა და ხელმძღვანელობისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პრობლემები და მიღწევები.

მიღწევები:

- მოსწავლეები განეწყობიან თავიანთი თვალსაზრისის ჩამოყალიბების, გამოთქმისა და დაცვისათვის;
- განუვითარდებათ საპირისპირო აზრის მოსმენისა და მიღების უნარი;
- მოსწავლეები სწავლობენ თავიანთი აზრის შინაარსიანად და კონკრეტულად გამოთქმას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში;
- შემოქმედებითი მიდგომა სამუშაოსადმი;
- მოსწავლეთა დაინტერესება: რაც უფრო საინტერესოა დისკუსია, მით უფრო ნაკლებია პასიური მონაწილეები;
- ყველას აქვს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

პრობლემები:

- მკაცრად უნდა მოწმდებოდეს დისკუსიის მსვლელობა, რათა ის არ გადაიზარდოს პირად შეურაცხყოფაში;
- შეიძლება წარმოიშვას სირთულეები დროის ლიმიტის დაცვასთან დაკავშირებით;
- შეიძლება გამოვლინდეს დისკუსიის ცალკეულ მონაწილეთა დომინირებული როლი;
- თუ სადისკუსიო თემა მოიცავს ახლო წარსულს, მოსწავლეებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ (მშობლების, ნათესავების, ნაცნობების და ა.შ. გავლენით) სტერეოტიპები მოცემულ საკითხში;
- მოსწავლეები ხშირად კატეგორიულები არიან მსჯელობისას და ვერ აღიქვამენ საპირისპირო თვალსაზრისს;
- დისკუსია მოითხოვს სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას.

დისკუსიის წესები

- ყოველ მონაწილეს გამოსვლისათვის ერთნაირად შეზღუდული დროის ლიმიტი აქვს (ამის შესახებ მოილაპარაკებენ მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ ოპტიმალურია – 1-დან 3 წუთამდე).
- გამოსვლები მიმდინარეობს ორგანიზებულად, წამყვანის ნებართვით.
- უნდა ეცადოთ თქვენი აზრი მოკლედ, კონკრეტულად და არგუმენტირებულად. გამოთქვათ დაიმახსოვრეთ, რომ საუკეთესო მტკიცებულება არის – ზუსტი, უდავო ფაქტები.
- არ შეიძლება გამომსვლელს შეაწყვეტინოთ საუბარი და მიაყენოთ შეურაცხყოფა.
- დაუსვით შემხვედრი კითხვები და დისკუსიაში ჩააბით რაც შეიძლება მეტი მონაწილე.
- დისკუსიის მიზანია – არა გამარჯვებულის გამოვლენა, არამედ კონსენსუსის (საერთო შეთანხმების) მიღწევა.
- თუ დასაბუთებულია, რომ თქვენი აზრი მცდარია, აღიარეთ ოპონენტის სიმართლე.
- უარყოფისა და დამტკიცების დროს ილაპარაკეთ მკაფიოდ, უბრალოდ, ზუსტად, სასურველია თქვენი სიტყვებით, და არა „ქაღალდის მიხედვით“.
- საჭიროა ყველა პოზიციის განხილვა.
- დისკუსიის მსვლელობისას მის მონაწილეებს შეუძლიათ შეიცვალონ თავიანთი პოზიცია.
- დასასრულს ყოველთვის უნდა გაკეთდეს განზოგადება.

მომზადება დისკუსიისათვის

თუ მოსწავლეები დისკუსიაში პირველად იღებენ მონაწილეობას, საჭიროა უფრო დეტალურად გავაცნოთ მათ დისკუსიის მსვლელობა და წესები, რომლებიც სასურველია დავურიგოთ თითოეულ მოსწავლეს.

დისკუსიის მსვლელობა

დისკუსიის დასაწყისში მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსწავლეებს დისკუსიის წესებს.
მასწავლებელი ხსნის დისკუსიას, წამოწევს განსახილველ საკითხებს, აძლევს სიტყვას დისკუსიის მოინაწილეს, აფიქსირებს დროს.

დისკუსიის დასასრული

დისკუსიის წამყვანი განაზოგადებს სადისკუსიო საკითხს და გააკეთებს დასკვნებს.

დისკუსიის მონაწილის სამახსოვრო

- ისაუბრეთ ღიად და მიუკერძოებლად.
- არ გადააკეთოთ სხვისი ნათქვამი თქვენ სასარგებლოდ.
- ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრები.
- ისაუბრეთ მოკლედ და კონკრეტულად.
- დისკუსიის დროს დაიცავით წესრიგი, ყურადღებით მოუსმინეთ სხვის აზრს, ნუ შეა წყვეტინებთ სხვას საუბარს.
- საუკეთესო მტკიცებულებაა – ფაქტები, არგუმენტები, ლოგიკა.
- დასაბუთებისას ან უარყოფისას ისაუბრეთ მკაფიოდ, ნათლად და გასაგებად.
- თუ თქვენი პოზიციის მცდარობა დასაბუთებულია, აღიარეთ იგი.
- თქვენი გამოსვლის დასრულებისას გააკეთეთ მოკლე განზოგადება.

მასწავლებლის სამახსოვრო

- მიეცით მოსწავლეებს ინსტრუქცია დისკუსიის მსვლელობის შესახებ.
- საჭიროა დისკუსიის წაყვანა – ამას აკეთებს მასწავლებელი ან წინასწარ მომზადებული მოსწავლე.
- დისკუსიის წამყვანმა არ უნდა გაუკეთოს კომენტარი გამოთქმულ აზრებს, არ უნდა ჩამოაყალიბოს, არ უნდა განაზოგადოს და ჩაასწოროს დისკუსიის მონაწილეთა ნათქვამი.
- დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს თავისუფალ, ლაღ ატმოსფეროში.
- დისკუსიის წამყვანმა თვალყური უნდა ადევნოს, რათა ყველა მსურველს მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.
- შეიძლება განისაზღვროს დრო თითოეული გამოსვლისათვის.
- დისკუსიის წამყვანმა თვალი უნდა ადევნოს წესრიგის დაცვას, დაუშვებელია საუბარი და ყურადღების გადატანა სხვა რამეზე.
- დისკუსიის დასასრულს წამყვანი განაზოგადებს და აკეთებს დასკვნებს. მოსწავლეები ჩაიწერენ წამყვანის განზოგადებასა და დასკვნებს.

რეფერატის მომზადება

თუ დისკუსიის თემა ფართოა და მოსწავლეებს მის მიმართ გაუჩნდათ ინტერესი, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს ეს თემა შემდგომში ინდივიდუალურად ან წყვილებში სამუშაოდ რეფერატის მოსამზადებლად. გამოკვლეული საკითხი შეიძლება იყოს კარგი საფუძველი შემდგომი მუშაობისათვის – ესეს, თემის დასაწერად.
თემა რეფერატისათვის შეარჩიეთ მასწავლებელთან შეთანხმებით.

რეფერატის მოსამზადებლად მოსწავლე უნდა გაეცნოს სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს და ლიტერატურას. მიზანშეწონილია შეადგინოს კონსპექტი, რომელიც შემდგომში გამოადგება ინფორმაციის განზოგადების, სინთეზის, ანალიზისა და დასკვნების გამოტანისთვის.

მოსწავლის სამახსოვრო

როგორ შევადგინოთ კონსპექტი

- ჩაინიშნეთ წიგნის ავტორი, სახელწოდება, გამოშვების წელი, ქვეყანა და გამომცემლობა, სადაც გამოვიდა წიგნი.
- ყურადღება მიაქციეთ წიგნის შექმნის დროს არსებულ ისტორიულ სიტუაციას. მას შესაძლებელია გავლენა მოეხდინა წიგნის შინაარსზე.
- ჩანაწერები შეიძლება გაკეთდეს „თქვენეულ ენაზე“, ე.ი. მას შემდეგ რაც აღქმულია დაწერილის აზრი, თქვენი სიტყვებით, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თემის არსი.
- მიზანშეწონილია ვაწარმოოთ ჩანაწერები ფურცლებზე ან მცირე ზომის ბარათებზე – ეს გაგიიოლებთ ინფორმაციის გამოყენებასა და სისტემატიზაციას. ასევე, მოგცემთ მეტ შესაძლებლობას თავისუფლად მოქმედებისათვის.
- გამოიყენეთ ხაზგასმის ხერხი, რათა მოინიშნოთ მთავარი. ყველაზე მნიშვნელოვანი შეგიძლიათ განსხვავებული შრიფტით დაწეროთ. გამოიყენეთ შემოკლებები.
- კონსპექტში დატოვეთ თავისუფალი ადგილი შემდგომი დამატებებისათვის, შენიშვნებისათვის, უცხო სიტყვების განმარტებისათვის, პიროვნებათა „გაშიფვრისათვის“.
- თუ კითხვის დროს ჩამოგიყალიბდათ თქვენი დასკვნები, მოსაზრებები, შეხედულებები, დასაზუსტებელი შეკითხვები, მაშინ ჩაინიშნეთ ისინი, რომ არ დაგავიწყდეთ. ხშირად კითხვის დროს გაგიჩნდებათ ღირებული, ორიგინალური იდეები, რომლებიც თქვენს გამოკვლევას უფრო საინტერესოს გახდის.
- დაიცავით ციტირების წესები. თუ თქვენს ტექსტში არის ციტატა, ის მოათავსეთ ბრჭყალებში. ციტატის ქვეშ მიუთითეთ წყარო და გვერდი.
- წიგნის კითხვისას ყურადღება მიაქციეთ ავტორის მითითებებს წყაროებსა და ლიტერატურაზე. შესაძლებელია, სასურველი იყოს თავადაც შეისწავლოთ ზოგიერთი მათგანი.

მოსწავლის სამახსოვრო

როგორ დაიწეროს რეფერატი

- გაეცანით სახელმძღვანელოებში არსებულ მასალას არჩეულ თემაზე.
- გაეცანით ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურას.
- ჩამოაყალიბეთ რეფერატის თემა და დააკონკრეტეთ პრობლემის არსი.
- გაიაზრეთ საკითხების განხილვის თანმიმდევრობა.
- შეადგინეთ რეფერატის გეგმა.

  შესავალში დაასაბუთეთ თემის არჩევანი, აჩვენეთ მისი მნიშვნელობა და აქტუალურობა.

  თემის შინაარსის გაშლისას, დაიცავით თხრობის თანამიმდევრობა და ლოგიკა. არ დაგავიწყდეთ სხვისი ნააზრევის მითითება.

  დასასრულს ჩამოაყალიბეთ დასკვნები, განმარტეთ, როგორია თქვენი წვლილი გაწეულ სამუშაოში.

  ნაშრომის ბოლოს შესაძლებელია იყოს დანართი: ცხრილები, დიაგრამები, ილუსტრაციები და სხვა მასალები. ყოველივე ეს შესაძლებელია ჩართოთ ძირითად ტექსტშიც.

  გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია ნაშრომს დაერთვის ბოლოში.

- თქვენი გამოკვლევის შედეგი მოიყვანეთ სისტემაში და დაახარისხეთ რეფერატის გეგმის შესაბამისად.
- მოიძიეთ და ჩართეთ ნაშრომში ილუსტრაციები და რუკები.
- გააკეთეთ დასკვნები, გადაამოწმეთ, შეესაბამებიან თუ არა იმ ფაქტებს, რომლებიც თქვენ გამოიყენეთ.
- რეფერატის წაკითხვის წინ გააცანით მსმენელებს გამოყენებული ლიტერატურა და რეფერატის გეგმა, შესაძლებელია გამოიყენოთ დიაგრამები ან გრაფიკები.
- მოხსენების დროს ისაუბრეთ ნელა და გარკვევით, არ დაგავიწყდეთ მთავარის გამოყოფა.

  შეეცადეთ მსმენელებს რეფერატის წაკითხვის შემდეგ მკაფიოდ და ამომწურავად გასცეთ კითხვებზე პასუხი.

პროექტზე მუშაობა

- ❖ პროექტი – არის განსაკუთრებული სახის ჯგუფური სამუშაო, რომლის შესრულებისთვისაც აუცილებელია ხანგრძლივი დრო (ერთი დღიდან რამდენიმე თვემდე).
- ❖ ეს არის დიდი სამუშაო რაიმე თემაზე, რომლის შინაარსს უპირატესად თავად მოსწავლეები განსაზღვრავენ.
- ❖ პროექტზე მუშაობა წარმოაჩენს მოსწავლეთა მიერ ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარს.
- ❖ მასწავლებლის როლი – იყოს ინიციატორი და მრჩეველი.
- ❖ პროექტი – არის საშუალება, რომელიც:

- ✓ ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და რეალიზაციაში.
- ✓ ეხმარება, ღრმად აითვისოს კონკრეტული სასწავლო მასალა სხვა საგნებთან და რეალურ ცხოვრებასთან კავშირში.
- ✓ ხელს უწყობს კეთილგანწყობილი და გულწრფელი სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანამშრომლობას.

- ❖ თავად პროექტი წარმოადგენს სასწავლო მიზანს – პროცესს, რომლის დროსაც სრულდება საერთო სამუშაო.
  მოსწავლეები, თანამშრომლობისას სწავლობენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და შეფასებას:

- ✓ პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას.
- ✓ უწყვეტ ურთიერთმოქმედებას.
- ✓ თითოეულის შესაძლებლობას, გაიაზროს თავისი წვლილი.
- ✓ პირად პასუხისმგებლობას ერთობლივად გაწეულ საქმიანობაში.
- ✓ სოციალური ურთიერთმოქმედების ჩვევების დაუფლებას.
- ✓ ჯგუფური (გუნდური) მუშაობის ჩვევების განვითარებას.

- ❖ **ჯგუფში მუშაობა:**

- ✓ ჯგუფი ყალიბდება ინტერესების პრინციპით – მოსწავლეები ეწერებიან საპროექტო ჯგუფში კონკრეტული თემით.
- ✓ მიზნის დასახვა.
- ✓ დაგეგმვა.

- ❖ **პროექტის რეალიზაცია**

- ✓ დაგეგმილი დავალების შესრულება.
- ✓ სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია:

1. პროექტის სახელწოდება და ავტორი (ავტორები).
2. შესავალი – პროექტის არსი, მიზანი და ამოცანები, ავტორის მოტივაციის გადმოცემა.

3. დასაბუთება და მუშაობა – სიტუაციის აღწერა, წარმოდგენა კონკრეტული თემ-ისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, მსჯელობა მოცემული თემის ირგვლივ და შედეგები, გამოყენებული მეთოდების დასაბუთება და აღწერა.
4. ანგარიში სამუშაოს მსვლელობაზე – ჰიპოთეზებზე, საკითხის გადაჭრის საშუ-ალების არჩევანზე, სამუშაოს თანმიმდევრობაზე და შედეგების შეფასების კრი-ტერიუმებზე, შემსრულებელთა ინდივიდუალურ წვლილზე.
5. შედეგების ანალიზი – რა არის მიღწეული, რა სფეროში იყო წარუმატებლობა და ა.შ.
6. განზოგადება და დასკვნები – პირველადი ჰიპოთეზის დამტკიცება ან უარყოფა, სამუშაოს მსვლელობის მოკლე მიმოხილვა, გამოყენებული მეთოდების შეფასე-ბა, სამუშაოს ხარისხისა და შედეგების საკუთარი შეფასება, ასევე პროექტის განხორციელების ეფექტის მონახაზი და სამუშაოს გაგრძელების შესაძლე-ბლობა.

❖ პროექტის შეფასება

- ✓ შეფასების უმნიშვნელოვანესი სახეობა არის – საკუთარი შეფასება – რომელსაც ადგილი აქვს პროექტის დამუშავების დროის მანძილზე. მოსწავლეები აფასებენ შეგროვებულ ინფორმაციას, ერთმანეთს, თანამშრომლობას, თავიანთ წვლილს და ჯგუფის ერთობლივ სამუშაოს;

- ✓ მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მუშაობას როგორც კონსულტანტი. იგი ეხ-მარება მოსწავლეებს შეამჩნიონ და აღმოფხვრან წარუმატებლობა; რეკომენდა-ციას უწევს მოქმედების ხერხებს. მისი შეფასების მიზანია ურჩიოს, დაეხმაროს;

- ✓ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები – რას ელიან მათგან. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მოსწავლეებთან ერთად;

- ✓ პროექტის ხარისხი მთლიანობაში რომ შეფასდეს, უნდა გავითვალისწინოთ პრო-ექტის დამუშავების როგორც პროცესი, ასევე შედეგი (შეესაბამება თუ არა ის დასახულ მიზანს).

ინტერვიუ
(თემა – განათლება)

❖ მოსწავლეები წინასწარ იღებენ საშინაო დავალებას:
დაიწყონ მასალების შეგროვება თემაზე მაგ.: „განათლების სტრუქტურა და შინაარსი საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დროს“.

❖ თემის ასათვისებლად შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი:
✓ ინტერვიუ.
✓ შეგროვებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება.
✓ ჯგუფებში მუშაობა.

❖ პირველი დავალება მასალის შეგროვებაა: ინტერვიუ ჩამოართვით მშობლებს, მეზობლებს, ნაცნობებსა და სხვა ადამიანებს, რომლებმაც განათლება მიიღეს საბ-ჭოთა პერიოდში.

❖ გაკვეთილზე მუშაობენ ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი მიიღებს ერთნაირ სამუშაო ფურცლებს და წყაროებს.

მასწავლებლის სამახსოვრო

ინტერვიუ იშვიათად გამოიყენება ისტორიის გაკვეთილზე, რადგან ცოტაა ისეთი თემა, რომელიც ამ მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა. თუმცა ახლო წარ-სულის შესასწავლად ეს მეთოდი შეიძლება ძალიან წარმატებულად გამოვიყენოთ.

ინტერვიუს უპირატესობა:

- იძლევა თემის უფრო დეტალურად ათვისების შესაძლებლობას;
- შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ არაოფიციალური ცნობები, რომლებიც ადრე არ გამოქვეყნებულა;
- შესაძლებლობას იძლევა მოვისმინოთ სხვადასხვა აზრი ერთ საკითხზე;
- შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, განივითარონ ურთიერთობის ჩვევები ინდივიდუალური საუბრისას.

ინტერვიუს მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ:

- ინტერვიუ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წინასწარ მიცემული საშინაო დავა-ლება ახალი თემის ასათვისებლად,ასევე გაკვეთილზე, წინასწარ ავირჩევთ მო-სწავლეებს შორის „ექსპერტებს“, „ჟურნალისტებსა“ და მსმენელებს, და წინას-წარ შევამზადებთ მათ;
- მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა ახსნან ინტერვიუს მიზანი;
- მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კითხვების ნიმუშები, რომლებიც უნდა დავუს-ვათ გამოსაკითხ პირებს;
- მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ „ჟურნალისტის“ სამახსოვრო (როგორ წარვმართოთ ინტერვიუ).

„ჟურნალისტის“ სამახსოვრო

- ✓ ინტერვიუს ჩამორთმევამდე, მოიძიეთ ლიტერატურა და სხვა ცნობები თქვენთვის საინტერესო საკითხზე, თემაზე, პიროვნებაზე.
- ✓ ზუსტად განსაზღვრეთ ინტერვიუს მიზანი.
- ✓ შეკითხვები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და გასაგებად.
- ✓ შეკითხვები უნდა დასვათ კორექტულად, გაითვალისწინეთ იმ პიროვნების ასაკი, ვისაც ინტერვიუს ჩამოართმევთ.
- ✓ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დასვათ მისახვედრი შეკითხვები და ამით თავიდან აიცილოთ იმ პიროვნების დაძაბულობა, ვისაც ინტერვიუს ართმევთ.
- ✓ დაიმახსოვრეთ, რომ ღიმილი ყოველთვის უფრო მეტ კეთილგანწყობას გამოიწვევს თქვენ მიმართ.

შეკითხვების ნიმუშები ინტერვიუსათვის

- ✓ როდის და რომელ სკოლაში სწავლობდით?
- ✓ გქონდათ განათლების მიღების სხვა საშუალება?
- ✓ შეგეძლოთ თუ არა დამატებით მიგეღოთ მუსიკალური და მხატვრული განათლება?
- ✓ რომელ საგნებს ექცეოდა სკოლაში მეტი ყურადღება?
- ✓ როგორი შთაბეჭდილებები, მოგონებები დაგრჩათ თქვენი გაკვეთილებიდან (პოზიტიური, ნეგატიური)?
- ✓ რა უფრო მეტად დაგამახსოვრდათ თქვენი სკოლის ცხოვრებიდან?
- ✓ სად სწავლობდით სკოლის დამთავრების შემდეგ? როგორი განათლება მიიღეთ თქვენ?
- ✓ შესაძლებელი იყო საზღვარგარეთ განათლების მიღება?
- ✓ თქვენ რომ შეგეძლოთ ყველაფრის თავიდან დაწყება, რას შეცვლიდით განათლების სისტემაში (რომელ საგნებს შეცვლიდით, შეამცირებდით საათების რაოდენობას, რას დაამატებდით)?
- ✓ ხედავთ განსხვავებას თქვენი დროის განათლების სისტემასა და დღევანდელს შორის? თუ ხედავთ, მაშინ რა განსხვავებებია?
- ✓ გიხდებოდათ უკანასკნელ წლებში თქვენი ცოდნის შევსება ან თავიდან სწავლა? რა მიზეზით?

მიზნები

- ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებს წარმოდგენა განათლებაზე საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დროს.
- ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული მიდგომა წარსულის შესახებ არსებული ინფორმაციისადმი.
- განუვითარდეთ ურთიერთობის ჩვევები ინდივიდუალურ საუბარში.
- განუვითარდეთ ინდივიდუალური საუბრისას აუცილებელი ინფორმაციის მიღების უნარი.
- ჩამოუყალიბდეთ წარსულის მოვლენისადმი თანამოსაუბრის პირადი დამოკიდებულების განსაზღვრის უნარი.
- განუვითარდეთ მიღებული ინფორმაციის განზოგადების, სინთეზირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი.

წყარო 1.

„სკკპ გააგრძელებს სახალხო განათლების სისტემის სრულყოფას სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივების, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესით წამოწეული მოთხოვნების გათვალისწინებით. ქვეყანაში მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა ეყრდნობა ერთიანი შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ლენინური პრინციპების შემოქმედებით განვითარებას, და მისი მიზანია – კიდევ უფრო აამაღლოს ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის დონე“.

(Програма КПСС (новая редакция) // Материалы XXVI съезда КПСС. М.,1986, с.167.)

წყარო 2.

„ერთ-ერთ გადამჭრელ პირობას სახალხო განათლების წარმატებით განვითარებისათვის წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანმიმართული პარტიული ხელმძღვანელობა. საშუალო განათლების მიღების აუცილებლობა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე წარმოადგენს სასკოლო საქმეში პარტიის პოლიტიკის შედეგს, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დადგენილებების ცხოვრებაში განხორციელებას. < . . . > საბჭოთა სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ამოცანაა – ჩამოვუყალიბოთ ახალგაზრდა თაობას მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, აღვზარდოთ კომუნიზმის საქმისათვის იდეურად მტკიცე, შეუპოვარი მებრძოლები. თითოეული სასწავლო საგანი აიარაღებს მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნითა და მსოფლმხედველობითი ხასიათის განზოგადებებით, ამზადებს მათ დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი დებულებების ათვისებისათვის“.

(XXVI съезд КПСС и развитие народного образования в СССР. М., 1982. с.33, 96.)

ჯგუფში მუშაობის ეტაპები

1. მუშაობა 1 სამუშაო ფურცელთან (ინტერვიუს სტატისტიკური დამუშავება).
2. თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი ამზადებს მოკლე ცნობას, ავსებს განმაზოგადებელ ტაბულას დაფაზე ან დიდ ფურცელზე.
3. ეყრდნობა რა მოსწავლეების მიერ შეგროვებულ მასალას, მასწავლებელი განაზოგადებს გეგმის მიხედვით:
   - როგორ ადამიანებს ჩამოართვეს ინტერვიუ (სქესი, ასაკი, განათლება);
   - რომელი საგნების ამოღება სურდათ მათ სასკოლო პროგრამიდან;
   - რომელი საგნების ათვისება სურდათ მათ დამატებით;
   - რატომ სურდათ მათ დამატებით აეთვისებინათ სწორედ ეს საგნები;
   - რითი განსხვავდება იმ დროის განათლების შინაარსი თანამედროვესაგან.
4. მოსწავლეები, განიხილავენ რა თავიანთ ინტერვიუებს, დაადასტურებენ, რა პრობლემები დარჩათ კიდევ გასარკვევი, რომელი ცნობები, მასალები არა აქვთ საკმარისი. ყოველივეს ჩაიწერენ სამუშაო რვეულში ან 1 სამუშაო ფურცელზე.
5. თითოეული ჯგუფი ნაშრომის შესადგენად უღებს წყაროებსა და აუცილებელ ინფორმაციას, ტაბულის შევსებისას (სამუშაო ფურცელი 2).
6. შესაძლო შედეგი:
   - თემის ათვისების შემდეგ მოსწავლეებმა სახლში უნდა დაწერონ თემა-აღწერა.
   - თითოეული ჯგუფი მოამზადებს ჟურნალს სკოლის ცხოვრებაზე საბჭოთა ეპოქაში.
   - თითოეული ჯგუფი დამატებით აგროვებს ექსპონატებს და ამზადებს გამოფენას განათლების შესახებ საბჭოთა ეპოქაში.

სამუშაო ფურცელი #1

1. **ინტერვიუს სტატისტიკური მიმოხილვა**
გამოკითხულთა საერთო რიცხვი. მამაკაცები; ქალები.

2. **როდის მიიღეს განათლება**
50-60-იან წლებში; 70-80-იან წლებში ; 80-90-იან წლებში.

3. **მიღებული განათლება**
8-წლიანი; საშუალო სპეციალური; საშუალო; უმაღლესი.

4. **სასწავლო პროგრამის რომელი საგნები მიაჩნდათ ზედმეტად საბჭოთა პერიოდში?**

5. **რომელი საგნის დამატებას ისურვებდნენ თავიანთი განათლებისათვის საბჭოთა პერიოდში?**

6. **რა განსხვავება აღნიშნეს მათ განათლების შინაარსსა და სტრუქტურაში დღევანდელსა და თავიანთი დროის განათლებას შორის?**

7. **რომელი კითხვები დარჩა პასუხგაუცემელი ინტერვიუსა და ნაშრომის დაწერის შემდეგ?**
1. . . . . .
2. . . . . .
3. . . . . .

სამუშაო ფურცელი #2

შეადარეთ საბჭოთა პერიოდის განათლების სისტემა თანამედროვეს.

	საბჭოთა პერიოდი	თანამედროვე
1. განათლების მიზნები		
2. განათლების სტრუქტურა		
3. განათლების შინაარსი		
4. განათლების პრესტიჟი		
5. დადებითი განათლებაში		
6. უარყოფითი განათლებაში		
7. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საქმიანობა სასწავლო დაწესებულებებში		

დაწერეთ მოთხრობა-აღწერა თემაზე: „განათლების სტრუქტურა და შინაარსი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს“.

მოსწავლეთა მიერ შედგენილი განათლების სისტემის სქემის ნიმუში



განათლების სისტემა 50-80-იან წლებში



განათლების სისტემის სტრუქტურა და შინაარსი საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დროს

(მოსწავლის შემაჯამებელი ნაშრომი)

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ადამიანს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო სკოლამდელი, ზოგადი საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება.

სკოლამდელი განათლების მიღება შეიძლებოდა სახლში ან საბავშვო ბაღში. შვიდი წლიდან უნდა შესულიყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელიც შეიცავდა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლას. საშუალო სპეციალური განათლების მიღება შეიძლებოდა რვაწლედის ან ათი კლასის დამთავრების შემდეგ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ან ტექნიკუმში, ხოლო უმაღლესი განათლება – მხოლოდ ათი კლასის შემდეგ აკადემიაში, ინსტიტუტში ან უნივერსიტეტში. სკოლაში იგივე საგნები ისწავლებოდა, რაც დღეს, მაგრამ მეტი ყურადღება ეთმობოდა რუსული ენის, მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლას.

ეროვნულ საშუალო სკოლებში მოსწავლეები ერთი წლით მეტს სწავლობდნენ, ვიდრე რუსულში. ამ სკოლებშიც დიდი ყურადღება ექცეოდა რუსულ ენას და ეს ხდებოდა ეროვნული ენის ხარჯზე. ცოტას სწავლობდნენ სკოლებში უცხო ენებს და არ ისწავლებოდა ინფორმატიკა. განათლების საბჭოთა სისტემის მიზანი იყო მოსწავლეებში მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნიზმის იდეურად მტკიცე მშენებლების აღზრდა. სკოლაში მოქმედებდა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, რომლებსაც უნდა აღეზარდა მოსწავლეები „კომუნისტური სულისკვეთებით“.

მაგრამ ეს ორგანიზაციები დაკავებულები იყვნენ აგრეთვე იმით, რომ აწყობდნენ დასვენების სასკოლო საღამოებს, კონკურსებს, ვიქტორინებს, ტურისტულ ლაშქრობებს ადა სხვა გასართობ ღონისძიებებს, უფროსები სიამოვნებით იხსენებენ სასკოლო და სტუდენტურ წლებს, მაგრამ ნაკლებად – გაკვეთილებსა და ლექციებს; უფრო მეტად იმას, რაც იყო გაკვეთილებისა და ლექციების მიღმა: „მაშინ ჩვენ გვქონდა ტურისტული შეკრებები, მეგობრობის საღამოები. ჩვენთან ჩამოდიოდნენ სტუმრები სხვა რესპუბლიკებიდან. მოსაწყენად არ გვეცალა“.

მასწავლებლის სამახსოვრო სემინარის შესახებ

სემინარი – არის მეცადინეობის ფორმა, რომლის დროსაც მოსწავლეები მასალის დამოუკიდებლად ათვისების შემდეგ ასრულებენ დავალებას, კოლექტიურად განიხილავენ წინასწარ დასმულ კითხვებს.
მასწავლებელმა, რომელიც სემინარული მუშაობის ორგანიზებას ახდენს, უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- ❖ არა უგვიანეს ორი კვირისა სემინარამდე უნდა გააცნოს კლასს სემინარული მუშაობის გეგმა;
- ❖ გეგმასთან ერთად მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს რეკომენდირებული ლიტერატურის სია;
- ❖ სასურველია ზუსტად მიუთითოთ ამოცანები თითოეულ წყაროსთან დამოუკიდებლად მუშაობის დროს:
- • რას უნდა მიაქციონ ყურადღება;
- • რა ფორმით შეასრულონ სამუშაო – დააკონსპექტონ, შეადგინონ გეგმა, დაწერონ რეფერატი, დაწერონ თეზისები, შეადგინონ თემატური ბარათები და ა.შ.
- • ლიტერატურის სიაში ძირითადი ლიტერატურა უნდა გამოიყოს დამატებითისაგან;
- ❖ ცალკეულ მოსწავლეებს ან ჯგუფებს შეიძლება დამატებითი დავალება მივცეთ: შეაგროვონ მასალა რაიმე საკითხზე, მოამზადონ საინფორმაციო ცნობა და ა.შ.
- ❖ მასწავლებელი ზედმეტად არ უნდა ჩაერიოს სემინარის მსვლელობაში, მაგრამ უნდა ეცადოს მის წარმართვას პროვოკაციული შეკითხვების დასმით;
- ❖ გამოსვლისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ჩანაწერები, მაგრამ სიტყვა-სიტყვით არ უნდა იკითხონ ნაწერი;
- ❖ მოსწავლეთა დისკუსიაში ჩასაბმელად, კლასის მომზადების დონის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ვარიანტები:
- • გამოვიძახოთ კონკრეტული მოსწავლეები საუბრის დასაწყებად;
- • შევთავაზოთ გამოსვლა მსურველებს;
- • უპირველეს ყოვლისა, შევთავაზოთ გამოსვლა ნაკლებად აქტიურ და სუსტად მომზადებულ მოსწავლეებს, რადგან უკეთ მომზადებულებს შეუძლიათ შეიტანონ შემდეგ დამატება და ამით აამაღლონ გამოსვლების დონე.
  სემინარი მიზანშეწონილია მოვაწყოთ თემის ათვისების შუალედში ან დასასრულს, როცა მოსწავლეებს უკვე ათვისებული აქვთ განსახილველი თემის ცოდნის მინიმუმი.

სემინარის მნიშვნელობა:

- ✓ სტიმულს აძლევს და ამოწმებს მოსწავლეთა გაგებისა და ანალიზის უნარს;
- ✓ კამათისა და დისკუსიისას მოსწავლეები უღრმავდებიან, სისტემატიზაციას ახდენენ და ამყარებენ თავიანთ ცოდნას;
- ✓ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიურად გამოიყენონ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია;
- ✓ სასემინარო მეცადინეობის მომზადებისას მოსწავლეები იძენენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს;
- ✓ დისკუსიის მსვლელობისას მიღებული ცოდნა უფრო მყარია.

რა უნდა გავითვალისწინოთ სემინარისათვის მზადებისას

- ✓ სემინარის მომზადება მოითხოვს დიდ დროსა და დიდი მოცულობის წინასწარ შესასრულებელ სამუშაოს; შეიძლება წამოიჭრას სირთულეები, თუ სემინარის ხელმძღვანელი და ჯგუფი შეუთანხმებლად მუშაობს, ჯგუფი ინერტულია, პასიურია.

სემინარის ჩატარების გეგმა

1. **შესავალი.** მასწავლებელი ლაკონიურად აყალიბებს თემას, მოკლედ ხსნის მისი ათვისების მიზნებსა და ამოცანებს.

2. **ფაქტების გადმოცემა.** სემინარის ყველა მონაწილე რიგრიგობით ასახელებს ფაქტებს სახლში მომზადებული მასალიდან. სემინარის ხელმძღვანელი (მასწავ-ლებელი) ჩამოწერს ფაქტებს დაფაზე, დააჯგუფებს თემების მიხედვით. მოსწავლეები შეაფასებენ დაწერილს და შეაქვთ შესწორებები, თუკი აუცილებელია.

3. **ჰიპოთეზის წამოყენება.** მოსწავლეები წამოაყენებენ ჰიპოთეზებსა და დაას-აბუთებენ. ეს კეთდება წყვილებად, ნათქვამი ფიქსირდება ჩანაწერებში; დასას-რულს ყველა წყვილი წამოაყენებს ერთ, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ჰიპოთეზას დასაბუთებით. მასწავლებელი დაფაზე აფიქსირებს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ ჰიპოთეზებს.

4. **დისკუსია კლასში.** ყველა წამოყენებული ჰიპოთეზის შეფასების შემდეგ დაფაზე რჩება ორი-სამი ჰიპოთეზა.

5. **გამოსვლის ფორმები:**
   ა) ზეპირი გამოსვლა;
   ბ) პლაკატების, კარიკატურების და ა.შ. გამოყენება;
   გ) თემის ათვისების დროს მომზადებული ჟურნალების, გამოფენების და ა.შ. გამოყენება.

6. **განზოგადება, დასკვნები (გააკეთებს სემინარის ხელმძღვანელი).**

7. **დასკვნითი ესე** (კლასში ან საშინაო დავალების სახით).

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დიდი რაოდენობის იდეების გენერაციის საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში. ამ მეთოდის გამოყენება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო საქმეში მონაწილეობის გზით პრობლემის ერთობ-ლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

ეს არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს:

- **კომუნიკაციის**
- **შემოქმედებითი აზროვნების**
- **საკუთარი აზრის გამოთქმის**
- **ინფორმაციის დახარისხების**
- **მსჯელობის, ანალიზის**
- **შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას.**

გონებრივი იერიშის ჩატარების წესი:

მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნის შესაბამისად ხდება თემის წინასწარი შერჩევა და შეკითხვის სახით ჩამოყალიბება. შეკითხვას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთათვის გასაგები ფორმა და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. გონებრივი იერიში ორ ეტაპად ხორ-ციელდება.

I – იდეების გენერაციის ეტაპი

სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელი სვამს შეკითხვას. შეკითხვის დას-მის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. იდეების გენერაციის სტადიაზე დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

1. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მოსწავლეებმა უნდა გა-მოთქვან მოსაზრებები, როცა მათ სურთ. მათ შეუძლიათ გამოთქვან რამდენიმე მოსაზრება. იდეა შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის გან-ვითარების შედეგი.

2. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს არ უნდა დავუშვათ კამათი, მოსაზრების კრიტიკა ან შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით – ყველა მოსაზრება მისაღებია.

3. იდეების გენერაციის სტადიაზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა უნდა მოხდეს გენერაციის ეტაპის დასრულების შემდეგ (შეფასების ეტაპი).

4. ყველა იდეა უნდა დაიწეროს დაფაზე ან დიდ ქაღალდზე, მათ შორის, ყველაზე მიუღებელიც კი.

5. შეფასების წინ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ დაფიქრების საშუალება.

6. იდეების გენერაციის პერიოდის ხანგრძლივობა შეიძლება სხვადასხვა იყოს. გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ როდის (იმავე გაკვეთილზე თუ მომდევნო დღეს) უნდა დაიწყოს შეფასების ეტაპი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები დაფაზე ან კედელზე გაკრულ დიდ ქაღალდზე უნდა ეწეროს.

II – იდეების შეფასების ეტაპი

ამ ეტაპის დასაწყისში მოკლედ უნდა შეფასდეს გამოთქმული მოსაზრებები. მოსწავლეებს უნდა დავუსვათ შეკითხვები და გავარკვიოთ, თუ რომელი მოსაზრებებია მსგავსი და შესაძლებელია თუ არა მათი გაერთიანება-განზოგადება, მსგავსი იდეების გაერთიანების შემდეგ შესაძლებელია მცირე დისკუსიის მოწყობა მათ ავკარგიანობაზე. ამის შემდეგ თითოეულ მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება, ამოირჩიოს რამდენიმე, მისი აზრით, ყველაზე ფასეული იდეა და განალაგოს ისინი მნიშვნელობის მიხედვით (ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა შეაფასოს ყველაზე მაღალი ქულით). ქულების შეჯამების შემდეგ გამოიკვეთება რამდენიმე იდეა, რომელიც, საერთო ჯამში, კლასმა ყველაზე ღირებულად დაასახელა. მასწავლებელმა, სასწავლო მიზნის გათვალისწინებით, შესაძლოა შეცვალოს შეფასების ეტაპი. მაგ., ძირითადი აქცენტი გადაიტანოს დისკუსიაზე, შეაფასოს იდეები მოსწავლეებთან შეთანხმების გზით. თუმცა, ეს შეთანხმება არ უნდა იყოს ხელოვნური და მასწავლებლისგან თავსმოხვეული.

მომზადება პრეზენტაციისათვის
ჰიპოთეზის წამოყენება და მისი დამტკიცება

მასწავლებლის სამახსოვრო ისტორიის გაკვეთილზე ჰიპოთეზის წამოყენებისა და დამტკიცების შესახებ

ისტორიის გაკვეთილზე ჰიპოთეზების გამოყენება ეხმარება ცოდნაზე დამყარებული კრიტიკული აზროვნების ჩვევების ან მსჯელობის უნარის განვითარებას. მექანიკური დამახსოვრება და გადმოცემა შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეს გამოიმუშაოს ფაქტებისა და პიროვნებათა სახელების ენციკლოპედიური ცოდნა, მაგრამ მოსწავლეს უნდა შეეძლოს, შექმნას ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სისტემა, რომელიც მან კრიტიკულად უნდა შეაფასოს ახალი ინფორმაციით.

მიზნები

- შევიქმნათ წარმოდგენა, რა არის ისტორიული ჰიპოთეზა.
- ჰიპოთეზის წამოყენებისა და შემოწმების უნარის სრულყოფა.
- არგუმენტების წამოყენებისა და შეფასების უნარის სრულყოფა.
- საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარის სრულყოფა.

ჰიპოთეზებთან მუშაობისათვის ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ მნიშვნელოვან საგანს:

1) ფაქტი განსხვავდება ფაქტის მტკიცებისაგან, მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტის გამონათქვამი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში: „თქვენი ვაჟიშვილები არ გაიგზავნებიან სხვის ომში მონაწილეობისათვის“, – ფაქტია, მაგრამ ისტორიკოსები, მასზე დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი არ გეგმავდა ომში აშშ-ს შეიარაღებული ძალების ჩართვას;

2) ჰიპოთეზა ისტორიაში – იგივე არ არის, რაც დასკვნა. ისტორიაში ჰიპოთეზას შეუძლია ახსნას, როგორია მოვლენის მიზეზები, როგორია მოვლენის ხასიათი, ასევე გამოააშკარავოს საკამათო და ძნელად დასამტკიცებელი ფაქტები. ჰიპოთეზას შეუძლია ღიად დატოვოს საკითხი, თუ არ არის საკმარისი ფაქტები, რომლებიც მას დაამტკიცებენ ან უარყოფენ. ჰიპოთეზა ხსნის შესაძლებლობას ფაქტების არაერთგვაროვანი შეფასებისა და აზრთა სხვადასხვაობისათვის.

იმისთვის, რომ მოსწავლეებმა გამოიმუშაონ კრიტიკულად აზროვნების უნარი, ჰიპოთეზის წამოყენებისა და დამტკიცებისას უნდა გამოიყენონ აზროვნების სხვადასხვა უნარი, რომელიც შეიძლება შემოწმდეს როგორც წერილობით – ესეს ან ტესტირების საშუალებით, ისე ზეპირად:

- დავუსვათ კითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა ჰიპოთეზის წამოყენებას მოითხოვს;
  კითხვები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი იყოს მათზე რამდენიმე არაერთგვაროვანი პასუხის გაცემა. მაგალითად: „ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იგრძნობა დღემდე საბჭოთა რეჟიმის შედეგები?“

- წამოვაყენოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ჰიპოთეზები, რათა პასუხი გაეცეს ამ კითხვებს;

ჰიპოთეზა უნდა შეიცავდეს ერთსა და იმავე მოვლენაზე დამატებითი ან საწინააღმდეგო მტკიცებულების წამოყენების შესაძლებლობას, მაგალითად: „საბჭოთა რეჟიმი საკმაოდ ხანგრძლივად არსებობდა, იმისათვის რომ ღრმად გაედგა ფესვები ადამიანთა ცხოვრებასა და შეგნებაში“. ან „დღემდე არიან შრომისუნარიანი ასაკის ადამიანები, რომლებიც სწავლობდნენ და თავიანთი კარიერა დაიწყეს საბჭოთა რეჟიმის პირობებში, მათ უნარი არ შესწევთ, სწრაფად შეიცვალონ თავიანთი შეხედულებები და აზრთა წყობა“.

- წამოვაყენოთ ლოგიკური არგუმენტები ჰიპოთეზის დასამტკიცებლად;
  არგუმენტი – არის ფაქტის ან ფაქტების ერთიანობის დამამტკიცებელი საბუთი. განსაზღვრულ პერიოდში სახელმწიფოს პოლიტიკის ცოდნა წამოყენებული ჰიპოთეზის დამტკიცების საშუალებას იძლევა. მაგალითად, პირველი მტკიცებისათვის არგუმენტი შეიძლება საბჭოთა სისტემის ყოვლისმომცველი კონტროლი იყოს, რომელიც უფლებას არ აძლევდა არც ცალკეულ ადამიანებს და არც სახელმწიფოს მთელ რეგიონებს, განვითარებულიყო გამორჩეულად.

- გამოვიყენოთ ფაქტების ცოდნა არგუმენტის დასამტკიცებლად;
  უნდა გვახსოვდეს, რომ ფაქტი განსხვავდება ფაქტის დამტკიცებისაგან. ფაქტი – ეს კონკრეტული ამბავია, მოვლენა ან გამონათქვამი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ადგილი და დრო.

- უარვყოთ საპირისპირო მტკიცებულება და დასაბუთება;
  თემამ საბჭოთა რეჟიმზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შეიძლება მოითხოვოს დასაბუთებისათვის საბჭოთა პერიოდის ოფიციალური ლოზუნგები, მაგალითად: „სსრკ მშვიდობიანობის ბურჯია მთელ მსოფლიოში“ და ა.შ.

- დავუსვათ ანალიტიკური შეკითხვები ახალი დამატებითი ინფორმაციის ირგვლივ, რათა შევამოწმოთ ჩვენი ჰიპოთეზა და მისი დასაბუთება.
  თუ ჰიპოთეზა – ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის შედეგების არსებობის შესახებაა, მაშინ მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი იქნება, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია სოციალიზმის შედეგებზე სხვა ადგილებში ან სიტუაციის განსხვავებაზე თავად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. მნიშვნელოვანია, რომ ახალი ინფორმაცია ავსებდეს უკვე არსებულ შერჩეულ ფაქტებს და კავშირი ჰქონდეს წამოყენებულ ჰიპოთეზასთან.

მოსწავლის სამახსოვრო
ისტორიულ ჰიპოთეზებთან მუშაობისათვის

ჰიპოთეზა [ბერძნ. hypothesis ვარაუდი] – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის დამტკიცებული. (ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, სასკოლო გამოცემა, თბ., 1999, გვ. 242.)

ისტორიულ მეცნიერებაში ჰიპოთეზებთან მუშაობისათვის ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ მნიშვნელოვან საგანს:

1) ფაქტი განსხვავდება ფაქტის მტკიცებისაგან, მაგალითად აშშ-ს პრეზიდენტის გამონათქვამი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში: „თქვენი ვაჟიშვილები არ გაიგზავნებიან სხვის ომში მონაწილეობისათვის“, – ფაქტია, მაგრამ ისტორიკოსები, მასზე დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ აშშ-ს პრეზიდენტი არ გეგმავდა ომში აშშ-ს შეიარაღებული ძალების ჩართვას;

2) ჰიპოთეზა ისტორიაში – იგივე არ არის რაც დასკვნა. ისტორიაში ჰიპოთეზას შეუძლია ახსნას, როგორია მოვლენის მიზეზები, როგორია მოვლენის ხასიათი, ასევე გამოააშკარავოს საკამათო და ძნელად დასამტკიცებელი ფაქტები. ჰიპოთეზას შეუძლია, ღიად დატოვოს საკითხი, თუ არ არის საკმარისი ფაქტები, რომლებიც მას დაამტკიცებენ ან უარყოფენ. ჰიპოთეზა ხსნის შესაძლებლობას ფაქტების არაერთგვაროვანი შეფასებისათვის და აზრთა სხვადასხვაობისათვის.

ჰიპოთეზის დამუშავებისა და დამტკიცებისას იცავენ სამ საფეხურს.

1. ჰიპოთეზის წამოყენება (განზოგადებული ვარაუდი რომელიმე ეპოქაზე, მოვლენაზე ან პროცესზე მთლიანად).
2. მოიძებნოს არგუმენტები, რომლებიც დაამტკიცებს ან უარყოფს თქვენს ჰიპოთეზას (მტკიცებულების წამოყენება ფაქტებზე ან ფაქტების ერთიანობაზე).
3. მოიძებნოს ერთი ან რამოდენიმე ფაქტი, რომლებიც დაადასტურებენ იმას, რასაც თქვენ ამტკიცებთ.

ალტერნატივებთან მუშაობის სამახსოვრო

ალტერნატივებთან მუშაობისას სასურველია შემდეგი თანმიმდევრობის დაცვა.

1. ჩამოვაყალიბოთ ყოველი შემოთავაზებული ვარიანტის არსი.
2. განიმარტოს ყოველი ვარიანტის ისტორიული დასაბუთება.
3. განიმარტოს დამოკიდებულება სხვადასხვა ალტერნატივისადმი, შეირჩეს ყველაზე უფრო შესაბამისი.
4. გაირკვეს უარყოფილი ვერსიების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
5. დასაბუთდეს გაკეთებული არჩევანი.

VI. აქტივობების ტიპების პრაქტიკული გამოყენების ნიმუშები. მეთოდური რეკომენდაციები კონკრეტული გაკვეთილებისათვის

სანიმუშო გაკვეთილების აღწერა

1. თემის სათაური: ისტორიის ქრონოლოგია. კალენდარი (პარაგრაფი 2)

1 საათი

გაკვეთილის მიზანი:

- დროის დაყოფის, კალენდრის შექმნის აუცილებლობის გააზრება;
- ისტორიული წყაროების განხილვისა და პრობლემების გამოყოფის, მათი გაანალიზების უნარის გამომუშავება;
- შედარება-შეპირისპირების, მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დისკუსიის წარმართვის, არგუმენტირების ჩვევების დაუფლება.

გაკვეთილის მეთოდი:

- ჯგუფში მუშაობა;
- პრეზენტაცია;
- დისკუსია.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლე აანალიზებს სხვადასხვა კალენდარს შორის არსებულ განსხვავებებს;
- აცნობიერებს დროის დაყოფის პირობითობას.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. **შესავალი** – მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას და მის ირგვლივ შესასრულებელ სამუშაოს – 3-5 წთ.
2. **კლასს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას** –15 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-2 და დამატებითი ცნობები, გააკეთონ დასკვნები; იმუშაონ შეკითხვებზე;
3. **სამუშაო ჯგუფების პრეზენტაცია** – 10-15 წუთი;
4. **კლასი აფასებს წარმოდგენილ პრეზენტაციებს** – უსვამს შეკითხვებს წარმოდგენილ შეხედულებებს, მსჯელობს მათ გარშემო და აკეთებს დასკვნებს – 8-10 წთ.

საშინაო დავალება:

შემდეგი გაკვეთილისთვის დაამუშაონ პარაგრაფის ტექსტი; წერილობით განმარტონ, რას ნიშნავს რელიგიური და ანტირელიგიური კალენდარი.

2. თემის სათაური: ბიზანტიური ისტორიოგრაფია. ევსები, გელასი და პროკოფი კესარიელები. აგათია სქოლასტიკოსი (პარაგრაფი 24)

1 საათი

გაკვეთილის მიზანი:

- ბიზანტიური ისტორიული მწერლობის ძირითადი კანონებისა და ჟანრების გამოყოფა;
- ისტორიული წყაროების განხილვისა და პრობლემების გამოყოფის, მათი გაანალიზების უნარის განვითარება;
- შედარება-შეპირისპირების, მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევის განვითარება;
- დისკუსიის წარმართვის, არგუმენტირების ჩვევების დაუფლება.

გაკვეთილის მეთოდი:

- ჯგუფში მუშაობა;
- პრეზენტაცია;
- დისკუსია;
- დამოუკიდებელი სამუშაო (შედარებითი ანალიზის წერილობით ჩამოყალიბება).

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლე იკვლევს პროკოფი კესარიელის „ოფიციალურ“ ისტორიებსა და „საიდუმლო“ ისტორიებს, ადარებს მათ;
- პარაგრაფის ტექსტისა და წყაროების ანალიზის შედეგად მოსწავლე აყალიბებს საკუთარ აზრს ბიზანტიური ისტორიული მწერლობის ძირითადი ჟანრებისა და კანონების შესახებ.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. **შესავალი** – მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას და მის ირგვლივ შესასრულებელ სამუშაოს – 3-5 წთ.
2. **კლასს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას** – 15 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-4, გააკეთონ დასკვნები; იმუშაონ შეკითხვებზე;
   სამუშაო ჯგუფების პრეზენტაცია – 10-15 წუთი;
3. **კლასი აფასებს წარმოდგენილ პრეზენტაციებს** – უსვამს შეკითხვებს წარმოდგენილ შეხედულებებს, მსჯელობს მათ გარშემო და აკეთებს დასკვნებს – 8-10 წთ.

საშინაო დავალება:

შემდეგი გაკვეთილისთვის დაამუშაონ პარაგრაფის ტექსტი;
პროკოფი კესარიელის „ოფიციალური“ ისტორიებისა და „საიდუმლო“ ისტორიების შედარების საფუძველზე დაწერონ თემა: **„პანეგირიკი ბიზანტიურ ისტორიულ მწერლობაში“.**

3. თემის სათაური: ახალი დროის მოგზაურები. კასტელი. შარდენი. გიულდენ-შტენდტი (პარაგრაფი 43)

1 საათი

გაკვეთილის მიზანი:

- მოგზაურთა ჩანაწერების, როგორც ისტორიული მწერლობის ერთ-ერთი ჟანრის და უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროს დანიშნულების, განმარტება;
- ისტორიული წყაროების განხილვისა და პრობლემების გამოყოფის, მათი გაანალიზების უნარის გამომუშავება;
- შედარება-შეპირისპირების, მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დისკუსიის წარმართვის, არგუმენტირების ჩვევების დაუფლება.

გაკვეთილის მეთოდი:

- ჯგუფში მუშაობა;
- პრეზენტაცია;
- დისკუსია.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლე აანალიზებს წყაროებს;
- მოსწავლეს უყალიბდება წარმოდგენა ისტორიული მწერლობის სხვადასხვა ჟანრსა და მათ დანიშნულებაზე;
- მოსწავლეს შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება საკითხების ანალიზისთვის.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. **შესავალი** – მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას და მის ირგვლივ შესასრულებელ სამუშაოს – 3-5 წთ.
2. **კლასს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას** – 15 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-3, გააკეთონ დასკვნები; იმუშაონ დავალებებზე;
3. **სამუშაო ჯგუფების პრეზენტაცია** – 10-15 წუთი;
4. **კლასი აფასებს წარმოდგენილ პრეზენტაციებს** – უსვამს შეკითხვებს წარმოდგენილ შეხედულებებს, მსჯელობს მათ გარშემო და აკეთებს დასკვნებს – 8-10 წთ.

საშინაო დავალება:

შემდეგი გაკვეთილისთვის დაამუშაონ პარაგრაფის ტექსტი, დაწერონ თემა: „ევროპელი მოგზაურები საქართველოს შესახებ“.

4. თემის სათაური: XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. ფრანგი განმანათლებლები. ვოლტერი. მონტესკიე (პარაგრაფი 45)

1 საათი

გაკვეთილის მიზანი:

- განმანათლებლობის როლის განმარტება მე-18 საუკუნის ისტორიული აზრისა და ისტორიული მწერლობის განვითარებაში;
- ისტორიული წყაროების განხილვისა და პრობლემების გამოყოფის, მათი გაანალიზების უნარის განვითარება;
- შედარება-შეპირისპირების, მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დისკუსიის წარმართვის, არგუმენტირების ჩვევების დაუფლება.

გაკვეთილის მეთოდი:

- ჯგუფში მუშაობა;
- დებატები.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლე აანალიზებს წყაროებს, გამოყოფს ძირითად დებულებებს;
- მოსწავლეს შეუძლია განსხვავებული (ურთიერთსაპირისპირო) მოსაზრებების გაანალიზება, შეჯერება;
- მოსწავლეს შეუძლია დებატებში საკუთარი პოზიციის დასაბუთება.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. **შესავალი** – მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას და მის ირგვლივ შესასრულებელ სამუშაოს – 3-5 წთ.
2. **კლასს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას** –15-20 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-3; გააკეთონ დასკვნები; იმუშაონ დავალებებზე;
3. **დებატები:** გამართეთ დებატები თემაზე: „მონტესკიეს მოსაზრებების კოლინგვუდისეული კრიტიკა“ – 20-25 წუთი;

5. თემის სათაური: მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე. როგორ აყალბებდნენ ისტორიას (პარაგრაფი 54)

1 საათი

გაკვეთილის მიზანი:

- ჯგუფში მუშაობისას თანამშრომლობის უნარის სრულყოფა;
- წარსულსა და თანამედროვეობაზე ინფორმაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

გაკვეთილის მეთოდი:

- ინტერვიუ (ინფორმაციის მოძიება და დამოუკიდებლად დამუშავება);
- ჯგუფში მუშაობა (წყაროების კრიტიკული დამუშავება).

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლე აანალიზებს და აფასებს ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულ ინ-ტერპრეტაციას;
- მოსწავლე აანალიზებს პირველად და მეორეულ წყაროებს;
- მოსწავლე გეგმავს და ატარებს ისტორიულ კვლევას;
- მოსწავლე ივითარებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და ზეპირად გადმოცემის უნარს.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. **შესავალი** – მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას და მის ირგვლივ შესასრულებელ სამუშაოს – 3-5 წთ.
2. **კლასს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას** –10-15 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-5; გააკეთონ დასკვნები; უპასუხონ შეკითხვებს;
3. **გამართეთ დისკუსია** თემაზე: რამდენადაა თითოეული ისტორიული წყარო იმ ეპოქის ნიშნების მატარებელი, რომელშიც იქმნება. შეიძლება თუ არა წყაროს განხილვა ეპოქის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს ჩაიწერონ ინფორმაცია XX ს-ის 50-იანი წლების შესახებ უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ჩაწერილი ინტერვიუ შემდეგ გაკვეთილზე გააცნონ თანაკლასელებს. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მე-5 წყაროზე დაყრდნობით, იმსჯელონ სტალინის ეპოქის უკანასკნელი პერიოდის შესახებ. გამოიყენონ „ჟურნალისტის სამახსოვრო“ (იხ. გვ. 46).

„ჟურნალისტის“ სამახსოვრო

- ✓ ინტერვიუს ჩამორთმევამდე, მოიძიეთ ლიტერატურა და სხვა ცნობები თქვენთვის საინტერესო საკითხზე, თემაზე, პიროვნებაზე.
- ✓ ზუსტად განსაზღვრეთ ინტერვიუს მიზანი.
- ✓ შეკითხვები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და გასაგებად.
- ✓ შეკითხვები უნდა დასვათ კორექტულად, გაითვალისწინეთ იმ პიროვნების ასაკი, ვისაც ინტერვიუს ჩამოართმევთ.
- ✓ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დასვათ მისახვედრი შეკითხვები და ამით თავიდან აიცილოთ იმ პიროვნების დაძაბულობა, ვისაც ინტერვიუს ართ-მევთ.
- ✓ დაიმახსოვრეთ, რომ ღიმილი ყოველთვის უფრო მეტ კეთილგანწყობას გამოიწ-ვევს თქვენ მიმართ.

VII. დამატებითი მასალა ცალკეული გაკვეთილებისთვის

დამატებითი მასალა გაკვეთილისთვის „ეთნოლოგია“

1. ქსენოფონტი (ძვ.წ. 427-355) ქართველური ტომების შესახებ:

ქსენოფონტი (ძვ.წ. 427-355) ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ათენელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე თავის მთავარ თხზულებაში „ანაბასისი“, რომელიც მდიდარია ეთნოგრაფიული ცნობებით, მოგვითხრობს ქართველური ტომების შესახებ.

ხალიბთა შესახებ: „ეს იყო უმამაცესი ხალხი მათ შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავისი ლაშქრობის დროს. ეს ყველაზე უკეთ მათ იგრძნეს, ვინც მათთან ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდა. ხალიბები ატარებდნენ სელის ჯავშანს. ამ ჯავშნის ქვედა ნაწილი შედგებოდა სქლად ნაქსოვი ზონრებისაგან. მათ ჰქონდათ აგრეთვე ანქერი და მუზარადი, ქამრებზე კი ეკიდათ ხმლები დაახლოებით სპარტულ მახვილთა ზომისა. ამ ხმლებით ისინი ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი მოიხელთებდნენ. ისინი თავებსაც კვეთდნენ და მიჰქონდათ წინ, ცეკვითა და სიმღერით, მტრის დასანახად. მათი შუბების სიგრძე 15 ბერძნულ არშინს აღწევდა და ერთ მხარეზე გამახვილებული რკინა ჰქონდა. ისინი თავიანთ ადგილებზე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ელინები მახლობლად გაივლიდნენ, დაედევნებოდნენ და ებრძოდნენ“.

„ტაოხების ქვეყანაში ელინთა ჯარის შესვლის დროს მთელი ხალხი დადგა ფეხზე. ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ. ტაოხები თავისუფლების დაკარგვას სიკვდილს ამჯობინებდნენ და მტერს ტყვედ არ ნებდებოდნენ“.

2. ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. 64- ახ.წ. 23) ქართველების შესახებ:

„დიოსკურიაში სავაჭროდ ჩადიოდნენ სვანებიც, ყველა ტომზე აღმატებულნი სიმამაცით და ძალით. ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს, უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო, 300 მამაკაცისაგან შემდგარი, როგორც ამბობენ, ჰკრეფენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით, მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული. ამასთანავე ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე...

სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან; ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკავიათ უპირატესად მოხსენებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა, განსაკუთრებით ვარგისი და კარგი დასასახლებლად“.

3. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536-582) ლაზთა შესახებ:

„ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ხელმძღვანელობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

4. **მარკო პოლო (1254-1324), ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური, ქართველების შესახებ:**

„ქართველები ლამაზი, მამაცი, ბრწყინვალე მოისრები და ბრძოლებში ქებული მეომრები არიან. მათი სარწმუნოება ბერძნულ-ქრისტიანულია. თმას მოკლედ იკრეჭენ. ეს ის ქვეყანაა, რომლის გავლითაც ალექსანდრე მაკედონელი უნდა გაბრუნებულიყო დასავლეთში, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. ამის მიზეზია არა მარტო გზათა სივიწროვე, არამედ მთასა და ზღვას შორის გაწოლილი ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცე. ამიტომაც ალექსანდრემ ვერ შეძლო მისი გავლა და ააგო სიმაგრე, რასაც რკინის კარები ეწოდება (დარუბანდი) ...ხალხი ეწევა ვაჭრობასაც და ხელოსნობასაც ...თათრებმაც კი ვერ შეძლეს ამ ქვეყნის მთლიანად დაპყრობა“.

5. **პიეტრო დე ლა ვალე (1586-1652), XVII ს-ის იტალიელი მოგზაური ქართველების შესახებ**

„ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი. ცდილობენ შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ ... საერთოდ წყანარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან; მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება“.

6. **ჟან შარდენი (1643-1713), ფრანგი მოგზაური, ქართველი ქალების შესახებ:**

„ქართველი ქალები ძალიან ლამაზები არიან. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით ... აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება, არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი; მაგრამ ამავე დროს ამაყნი, ქედმაღალნი, დაუნდობელნი და ულმობელნი...“

7. **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831), გერმანელი ფილოსოფოსი კავკასიური რასის შესახებ:**

ჰეგელი კავკასიურ რასას უძველესად აღიარებდა, სადაც გონი აღწევს უმაღლეს განვითარებას. „მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსულუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას ... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას, და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მონღოლები წყალდიდობასავით მოშავდებიან, წამიერად ანგრევენ და სამაგიეროდ არაფერს არ აშენებენ, მხოლოდ აფერხებენ პროგრესს. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“.

8. გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა-მამა (1803-1870) თავის წიგნში „კავკასია“ ქართველების შესახებ

„ქართველი – ეს არის თავით ფეხებამდე აბრეშუმისა თუ ხავერდის ტანისამოსში გახვეული მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი“ ... დიუმა, აღტაცებული ქართველი მამაკაცების გარეგნობით, იმერლების, გურულებისა და მეგრელების შესახებ ამბობს: „ევროპაში წარმოდგენაც არ აქვთ კოლხეთის ხალხთა სილამაზეზე. განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მსახურსაც კი თავადიშვილის იერი აქვს ... ქართველი მამაკაცები, ჩემი აზრით, არა მარტო თვითონ არიან ულამაზესი მამაკაცები მთელ დედამიწის ზურგზე, არამედ მათ აგრეთვე საუცხოო ტანისამოსი აცვიათ ... მეგრელი ქალები, მეტადრე ქერა შავთვალა და შავგვრემანი ცისფერთვალება ქალები, ულამაზესი არიან დედამიწის ზურგზე ... ქართველ ხალხს ისევე უყვარს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხებს საჩუქრების მიღება“...

დამატებითი მასალა გაკვეთილისთვის „ისტორიული გეოგრაფია და ისტორიული კარტოგრაფია“

1. უძველესი რუკები

უძველესი რუკები ძველი აღმოსავლეთიდანაა შემორჩენილი. ძვ.წ. XXV ს-ით თარიღდება თიხის ფირფიტაზე შესრულებული რუკა, რომელზედაც გამოსახულია მდინარე ევფრატის შუა წელი, ლიბანისა და ზაგროსის მთები. ძვ.წ. XXII ს-ის ერთ-ერთ ძეგლზე ნაპოვნია წინა აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების აღწერილობა. ძვ.წ. VI ს-ს მიაკუთვნებენ მსოფლიოს უძველეს რუკას, რომელიც ბაბილონშია შედგენილი. ძვ.წ. V ს-ით თარიღდება ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჩინური რუკა. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ მეცნიერულ კარტოგრაფიას საფუძველი ძველმა ბერძნებმა ჩაუყარეს. უძველესი ბერძნული რუკები, რომელთა შესახებ ცნობებია შემორჩენილი, VI ს-ის I ნახევარს განეკუთვნება. ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ანაქსიმანდრე მილეტელმა (დაახლ.ძვ.წ. 610-546 წწ.) შექმნა პირველი გლობუსი და შეადგინა პირველი გეოგრაფიული რუკა სპილენძის დაფის სახით, მასზე დატანილი მატერიკების, კუნძულების და მდინარეთა დაკლაკნილი ხაზების ნაკვთებით, რომელიც შესაძლოა, შემდგომში ანტიკური კარტოგრაფიის საფუძველი გახდა. ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეკატეოს მილეტელმა (ძვ.წ. დაახლ. 549-480 წწ.) სრულყო ეს რუკა და მას მეცნიერული კომენტარი დაურთო თავის თხზულებაში – „დედამიწის ირგვლივ“, რომელიც ერთ-ერთი პირველი გეოგრაფიული ნაწარმოები იყო. იგი შედგებოდა ორი წიგნისაგან და შეიცავდა ევროპის, აზიის და ლიბიის აღწერილობას. ჰეკატეოს მილეტელმა პირველმა შეადგინა ხმელეთის დასახლებული ნაწილის კარტოგრაფიული გამოსახულება. მართალია, ეს რუკა აღმოჩენილი არ არის, მაგრამ, ჰეროდოტეს და სხვა ავტორთა აღწერილობით, შესაძლებელი ხდება მასზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. ანტიკური სამყაროს ხალხების გეოგრაფიული ცოდნის კრებულს წარმოადგენს ძველბერძენი სწავლულის, კლავდიუს პტოლემაიოსის (87-165) მნიშვნელოვანი ნაშრომი „გეოგრაფია“, ანტიკური გეოგრაფიული აზროვნების მწვერვალი.

პტოლემაიოსი მათემატიკური გეოგრაფიის მომხრე იყო და მისი ნაშრომი მსოფლიო ატლასის შედგენის დეტალური სახელმძღვანელოა, რომელშიც მითითებულია თითოეული პუნქტის ზუსტი კოორდინატები. თხზულებას თან ერთვოდა 28 რუკისაგან შედგენილი ატლასი, რუკების ვრცელი აღწერილობით. ატლასის ხელნაწერები არ არის შემორჩენილი, ის პირველად XIII ს-ში ბიზანტიაში გადახაზეს. ძველი ბერძნებისაგან რუკების შედგენა რომაელებმა გადაიღეს, რომლებმაც დაიწყეს საგზაო რუკების – ინტერარიების შედგენა. ინტერარია თავისებური ცნობარი იყო, სადაც მოცემული იყო მანძილი უმნიშვნელოვანეს დასახლებულ პუნქტებს შორის. შუა საუკუნეებში ინტერარიებს მონასტრებში ამზადებდნენ პილიგრიმებისთვის. ანტიკური ეპოქის კარტოგრაფიის შემორჩენილ ნიმუშთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ე.წ. პოიტინგერის ტაბულები – რომაული საგზაო რუკები, რომლებიც ძ.ვ. IV ს-ის შუა ხანების ორიგინალიდან XI ან XII საუკუნეებში გადაღებულ ასლს წარმოადგენს. ეს ასლები XV ს-ში აღმოჩნდა. ტაბულებმა სახელწოდება მიიღო თავისი მფლობელის გერმანელი ჰუმანისტისა და კოლექციონერის კონრად პოიტინგერისაგან (1465 –1547). მასზე გამოსახულია რომის იმპერია და რომაელებისათვის ცნობილი სხვა ტერიტორიები. ამ საგზაო რუკას უაღრესად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, მას იყენებდნენ ვაჭრები, მოგზაურები, მეომრები, პილიგრიმები. პოიტინგერის ტაბულებს დღემდე არ დაუკარგავთ სამეცნიერო მნიშვნელობა. რომის იმპერიაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მსხვილმასშტაბიანმა კარტოგრაფიამ, რომელსაც საფუძვლად დაედო ადგილის გადაღება, რომაელი მიწათმზომები – აგრიმენზორები რომ აწარმოებდნენ. აგრიმენზორებმა შეიმუშავეს მეთოდები, რომლებსაც თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებშიც იყენებენ, მაგალითად, სწორკუთხოვანი კოორდინატების სისტემა და კვადრატების ბადე. მაგრამ შუა საუკუნეებში მას მხოლოდ XV ს-ში მიმართეს. ანტიკური გეოგრაფიული ტრადიციები ადრეულ შუა საუკუნეებშიც აგრძელებდნენ არსებობას, მაგრამ ძალიან გაღარიბებული სახით.

2. შუა საუკუნეების კარტოგრაფია

შუა საუკუნეების კარტოგრაფიის ისტორიას პირობითად სამ ძირითად პერიოდად ყოფენ: ადრეული ანუ სამონასტრო რუკების ბატონობის პერიოდი (VI-XIII სს); პრაქტიკული კარტოგრაფიის დასაწყისი, ანუ პორტულანების პერიოდი (XIV ს. და XV ს-ის I ნახევარი); და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის კარტოგრაფია, ანუ თანამედროვე კარტოგრაფიის დასაწყისი.

VI-XIII საუკუნეებში ანტიკური სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობის მცველებად ბერები გვევლინებიან. ანტიკურობის კოსმოგრაფიულ, კოსმოგონიურ და გეოგრაფიულ წარმოდგენებს ეკლესია კარს უღებდა იმდენად, რამდენადაც ისინი მისაღები იყო თეოლოგიური მიზნებისათვის. ასეთ პირობებში გაიშალა სამონასტრო კარტოგრაფია, ეს იყო მსოფლიოს რუკები, რომლებიც დედამიწის შესახებ ბიბლიური წარმოდგენების ილუსტრირებას ახდენდნენ. სამონასტრო რუკებში სამყარო აღიქმებოდა როგორც ღმერთის სასწაულებრივი ქმნილება. ამ რუკებზე გაერთიანებული იყო გეოგრაფია და ისტორია, მითი და რეალობა, დრო და სივრცე. მოცემულ შემთხვევაში გეოგრაფიის დანიშნულება იყო, ადამიანისათვის სიმბოლურად განემარტა და ეჩვენებინა გზა არა უცხო ქვეყნებისა და ქალაქებისაკენ, არამედ გზა სულიერი გადარჩენისაკენ. IX-X საუკუნეებში გეოგრაფიულმა კულტურამ და ცოდნამ დიდ წარმატებებს მიაღწია არაბთა სახალიფოს ქვეყნებში, სადაც ძველ ბერძენ გეოგრაფთა შრომები ბიზანტიელთა წყალობით გახდა ცნობილი. არაბ გეოგრაფებს ეკუთვნით XII ს-ში ცნობილი მსოფლიოს დეტალური რუკა, რომელსაც დაწვრილებითი კომენტარები ახლდა. ამ რუკას როჯერის ტაბულასაც უწოდებენ, ვინაიდან არაბმა გეოგრაფმა და მოგზაურმა ალ-იდრისმა (1100-1165) ის სიცილიის მეფის როჯერ II-ის დავალებით შექმნა. მან აგრეთვე შექმნა ნაშრომი „გასართობი სხვადასხვა მხარეში მოგზაურობას დანატრებულისათვის“, რომელიც შეიცავს საინტერესო მასალას ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. მეცნიერები არ გამორიცხავენ იმ აზრს, რომ დასავლეთევროპელი ხალხები არაბულ კარტოგრაფიას შესაძლებელია გასცნობოდნენ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს და მათი მიღწევები დაერთოთ სანავიგაციო კარტოგრაფირების თავიანთი გამოცდილებისათვის.

შუა საუკუნეების ქალაქების სასაქონლო მეურნეობის, ვაჭრობის, საერო ცოდნის და კულტურის განვითარებამ XIV საუკუნესა და XV ს-ის პირველ ნახევარში მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური წინაპირობები შეუქმნა პრაქტიკული კარტოგრაფიის მძაფრ განვითარებას, რაც აისახა საგზაო რუკა-ინტერარიებში. მაგრამ შუა საუკუნეების პრაქტიკული კარტოგრაფიის ნამდვილი აღმავლობა დაკავშირებულია არა საგზაო, არამედ სანავიგაციო რუკებთან – პორტულანებთან. პორტულანების შედგენა XIII ს-ის დასასრულიდან დაიწყეს იტალიასა და ესპანეთში. პორტულანების მასალად უპირატესად პერგამენტი გამოიყენებოდა, რადგან ის ქაღალდზე და ნაჭერზე უფრო გამძლე იყო. თავდაპირველად პორტულანებს ლათინურად წერდნენ, მოგვიანებით შემდგენლები გადავიდნენ თავიანთ მშობლიურ იტალიურ, კატალონურ, ესპანურ ენებზე. პორტულანების შემდგენელთა უმრავლესობა ვერ ითვალისწინებდა, რომ დედამიწა სფეროსებური იყო და არ იყენებდნენ კარტოგრაფიულ პროექციას. პორტულანებზე გულდასმით აღინიშნებოდა სანაპირო ზოლის მონაცემები, მაგრამ თანდათან, ხმელეთის სიღრმის გადმოცემისას, ღარიბდებოდა, რაც იმით აიხსნება, რომ იმ დროისათვის სანაპირო ზოლები უკეთ იყო შესწავლილი მოგზაურთა მიერ. პორტულანების სამშობლოდ მიჩნეულია იტალია, თუმცა ამ საკითხზე მეცნიერებაში კამათი გრძელდება, რადგან ზოგიერთი მკვლევარი მათ ფესვებს არაბულ კარტოგრაფიაში ეძიებს. როგორც არ უნდა გადაიჭრას ეს დავა, არაბული პრაქტიკული კარტოგრაფიის გავლენა დასავლეთევროპულზე ეჭვს არ იწვევს. პორტულანებმა უდიდესი როლი შეასრულეს კარტოგრაფიის და ზღვაოსნობის განვითარებაში. მათ საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე კარტოგრაფირებას. XV ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ახალი ეტაპი კარტოგრაფიის ისტორიაში, რაც დაკავშირებულია გეოგრაფიულ აღმოჩენებთან, ევროპელთა გეოგრაფიული ცოდნის გაფართოებასთან, წიგნის ბეჭდვის გამოგონებასთან, ევროპელთა მიერ სტრაბონისა და პტოლემაიოსის მეცნიერული მემკვიდრეობის ათვისებასთან. წიგნის ბეჭდვასთან ერთად ფართოდ გავრცელდა გრავირებული ნაბეჭდი რუკები.

3. ისტორიული რუკების სახეობები

შინაარსის მიხედვით გამოიყოფა ისტორიული რუკების შემდეგი სახეობები: 1) ისტორიულ-გეოგრაფიული, 2) ისტორიულ-ეთნოგრაფიული, 3) ისტორიულ-პოლიტიკური, 4) ისტორიულ-ეკონომიკური, 5) სამხედრო–ისტორიული, 6) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლების ისტორიული რუკები, 7) კულტურის ისტორიის, 8) ისტორიულ-დემოგრაფიული, 9) ისტორიულ-არქეოლოგიური, 10) გეოგრაფიული აღმოჩენების და გამოკვლევების ისტორიის რუკები, 11) ისტორიული რუკა–პერსონალიები, 12) ისტორიულ-სამედიცინო რუკები, 13) რელიგიური ისტორიის რუკები.

ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა წარმოადგენს ზოგადგეოგრაფიულ რუკას წარსულის განსაზღვრულ მომენტში; ისტორიულ-ეთნოგრაფიული რუკები გვიჩვენებს ხალხების განსახლებას, მათი მიგრაციის გზებს და მიმართულებებს. ეს ისტორიული რუკების ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გავრცელებული სახეა; ისტორიულ-პოლიტიკურ რუკაზე ძირითადი ყურადღება ექცევა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ საზღვრებს და მათი ცვლილებების ასახვას;

ისტორიულ-ეკონომიკური რუკები გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკას და მის განვითარებას განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში; ისტორიული რუკების დიდ ჯგუფს შეადგენს სამხედრო-ისტორიული რუკები, რომლებიც წარმოაჩენენ მებრძოლ მხარეთა დაპყრობით გეგმებს და მათ განხორციელებას სამხედრო მოქმედებათა მსვლელობისას; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლების ისტორიის რუკათა სახეობა საბჭოთა კავშირში შეიქმნა და იგი მის ფარგლებს დიდად არ გასცილებია; კულტურის ისტორიის რუკები ასახავენ კულტურის განვითარებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, გამოყოფენ განათლებისა და კულტურის ცენტრებს, უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილებს და ა.შ. ქვეყნის კულტურის განვითარების დინამიკა შეიძლება რუკათა სერიით იყოს გამოსახული; ისტორიულ-დემოგრაფიული რუკები ასახავენ ქვეყნის მოსახლეობის ისტორიულ გეოგრაფიას, მის განსახლებას წარსულში, გადაადგილებას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის ზემოქმედების გამო; ისტორიულ-არქეოლოგიური რუკები წარმოაჩენენ სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურათა გავრცელებას, არქეოლოგიურ ძეგლთა ადგილმდებარეობას კარტოგრაფირების პერიოდში; რუკათა ფართო ჯგუფს შეადგენს გეოგრაფიულ აღმოჩენათა რუკები. ისინი გვიჩვენებენ მოგზაურობათა მარშრუტს, გეოგრაფიულ ობიექტთა აღმოჩენის თანმიმდევრობას და ა.შ. ცალკეულ გამოჩენილ პირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება ისტორიული რუკა–პერსონალიები. ასეთი რუკები გვიჩვენებს ადგილებს, რომლებიც ისტორიულ მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან არის დაკავშირებული; ისტორიულ რუკათა იშვიათი სახეობაა ისტორიულ-სამედიცინო რუკები. ისინი გვიჩვენებენ წარსულში სხვადასხვა დაავადებათა გავრცელების არეალს, მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფას და ა.შ. მისი მაგალითია ინგლისში 1348 წელს შავი ჭირის გავრცელების რუკა; დასავლეთ ევროპაში ფართოდაა მიღებული რელიგიის ისტორიის კარტოგრაფირება.

ლექსიკონი

r **პილიგრიმი** – წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი მორწმუნე; მოხეტიალე მლოცველი

r **პორტულანები** (ფრ. portulan < იტალ. portolano) – ძველი საზღვაო რუკები

r **კატალანური ენა** ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის ენაა. ესპანეთის პროვინცია კატალონიის გარდა, იგი გავრცელებულია საფრანგეთის სამხრეთში, ანდორაში, ესპანეთის ბალეარის კუნძულებზე. კატალანური ენა ახლოს დგას ესპანურ და პროვანსულ ენებთან.

დამატებითი მასალა გაკვეთილისთვის „ნუმიზმატიკა და ბონისტიკა“

1. მონეტის ისტორია

ელექტრუმის ლიდიური მონეტა. ძვ.წ. VII ს. ლომის თავი და თათები ლიდიის სამეფოს სიმბოლოა.

თუკი პირველი მონეტების გამოჩენას ქრისტეს შობამდე VII საუკუნით ათარიღებენ, ლითონის, განსაკუთრებით კი ვერცხლის, ფულის ერთეულად გამოყენების ტრადიციის კვალს გაცილებით უფრო შორეულ წარსულში, კერძოდ, ქრისტეს შობამდე 24-ე საუკუნის მესოპოტამიაში მივყავართ.

შუამდინარეთის მეფეთა „კანონთა კრებულებმა“ შემოგვინახა ცნობები ვერცხლის ფიქსირებული წონითი ერთეულით გამოხატული გადახდის ფორმის შესახებ. მაგალითად, ჩრდილო მესოპოტამიის ერთ-ერთი მეფის (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი) კანონთა კრებული ითვალისწინებდა ჯარიმას 1 მინა ვერცხლის ოდენობით (დაახლოებით ნახევარი კილოგრამი) იმ შემთხვევისთვის, თუ კაცი მეორეს ცხვირზე უკბენდა. ამავე კანონთა კრებულის თანახმად, სილის გაწნა ექვსჯერ ნაკლები თანხით, 10 შეკელით ისჯებოდა.

როგორ მოქმედებდა ვერცხლის სტანდარტი? გადახდისას ვერცხლი იწონებოდა სასწორზე, კანონით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად. არქეოლოგების მიერ მესოპოტამიასა და ირანში აღმოჩენილი ვერცხლის საგანძური ადასტურებს, რომ ვერცხლის, როგორც გადახდის საშუალების მიმოქცევისა და ვერცხლის აწონის გასაადვილებლად, ლითონს ასხამდნენ დიდ ზოდებად, ანაწევრებდნენ მცირე ნაჭრებად ან ჭიმავდნენ მავთულებად (იხ. სურათი). ზოგჯერ ვერცხლის მავთულებს განსაზღვრული წონის რგოლებადაც კრავდნენ.

უამრავი დოკუმენტი ადასტურებს, რომ ძველ ეგვიპტეში ლითონს, თითქმის ისევე, როგორც შუამდინარეთში, ფულის ფუნქცია ენიჭებოდა. ეგვიპტე მოკლებული იყო ვერცხლის საკუთარ რესურსებს, მაგრამ სამაგიეროდ მდიდარი იყო ნუბიიდან შემოტანილი ოქროთი. მითანის ერთ-ერთი მეფის (ძვ.წ. XIV ს.) თქმით, ეგვიპტეში „რიცხოვნებით ოქრო მტვერს აღემატება“. ძველეგვიპტური ტექსტებიდან ჩანს, რომ ვერცხლის აღმნიშვნელი სიტყვა უფრო ფართო, ზოგადად, ფულის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ნივთები ელ-ამარნაში (ეგვიპტე) ნაპოვნი განძიდან. ძვ.წ. XIV ს.

(ძველ მსოფლიოში) ოქროსა და ვერცხლის წყაროების ფლობა სიმდიდრისა და ხშირად ძალაუფლების ფლობის ტოლფასი იყო. ამის ნათელი მაგალითია ლიდიის სამეფო დასავლეთ მცირე აზიაში. ლიდიის უკანასკნელი მეფის, კრეზის (მისი მეფობა დასრულდა დაახლოებით ძვ.წ. 547 წელს, მას შემდეგ, რაც ლიდია სპარსეთმა დაიპყრო) შემძლეობა და კეთილდღეობა საარაკო იყო ანტიკურ სამყაროში. ლიდიის ზღაპრული სიმდიდრის წყარო მდინარე პაქტოლუსი და ადგილობრივი საბადო იყო, სადაც ძვირფას ლითონს, ელექტრუმს (ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივ შენაერთს) მოიპოვებდნენ. სწორედ ამ ლითონისგან ამზადებდნენ ლიდიელები ნივთებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, კაცობრიობის ისტორიაში პირველ მონეტებად მოიაზრება, ისევე, როგორც დაახლოებით ძვ.წ. 600 წლით დათარიღებული ისრის ფორმის ბრინჯაოს ნივთები შავიზღვისპირეთიდან წარმოადგენენ მონეტის წინარე სახეობას (ამავე პერიოდში, სრუ-

ლიად დამოუკიდებლად, ჩინელებიც იწყებენ ბრინჯაოს „მონეტების მოჭრას“).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე ლიდიისაგან დამოუკიდებლად მონეტა ჩნდება ძველი სამყაროს კიდევ ერთ წერტილში – კუნძულ ეგინაზე (საბერძნეთში). ასახელებენ ეგინაზე მონეტის წარმოშობის თარიღსაც – სულ მალე VIII ოლიმპიადის შემდეგ. I ოლიმპიადა გაიმართა ძვ.წ. 776 წელს, VIII – ძვ.წ. 748 წელს.

ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან სრულდება ელექტრუმის ეპოქა მონეტების ისტორიაში და იწყება ვერცხლის ხანა. ვერცხლისა და ზოგჯერ ოქროს მონეტების მოჭრა და მიმოქცევა ფართოდ ვრცელდება ანტიკურ სამყაროში.

ოქროს რგოლები

ეგვიპტური კედლის მხატვრობა. თებე. ძვ.წ. XIV ს.

2. რა დანიშნულება ჰქონდა პირველ მონეტებს?

ა

ელექტრუმის მონეტები ეფესოს არტემიდეს ტაძრის განძიდან. ნაპოვნია ბრიტანეთის მუზეუმის მიერ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების დროს XX ს-ის დასაწყისში.

ბ

უკვე ძვ.წ. V საუკუნეში, ჰეროდოტე (ისტორიები, 1.94) მონეტებს შინა ვაჭრობას უკავშირებს. მონეტები გამოიყენებოდა ასევე საგარეო ვაჭრობისთვის, რასაც მოწმობს უამრავი ადრეული ბერძნული მონეტა, ნაპოვნი ეგვიპტეში, ახლო აღმოსავლეთსა თუ შავი ზღვის რეგიონში.

გ

მცირე აზიაში მონეტების არა გაფანტულად, არამედ ლოკალურად, განძების სახით, განსაკუთრებით ტაძრების მიდამოებში აღმოჩენა, აგრეთვე მათი მეტად მცირე ზომა ზოგიერთ მეცნიერს აფიქრებინებს, რომ პირველი მონეტები იჭრებოდა არა კომერციული (სავაჭრო) მიმოქცევის მიზნით, არამედ საკულტო-რელიგიური დანიშნულებით, როგორც ნივთები პირადი შესაწირისთვის. ჰეროდოტე აღნიშნავს (ისტორიები, 1. 54), რომ მეფე კრეზმა ორი სტატერი ოქრო გაუგზავნა ძღვენის სახით ქალაქ დელფოს აპოლონის ტაძრის მისანს მადლიერების ნიშნად იმისათვის, რომ ღვთაებამ იგი პასუხის ღირსი გახადა.

ლიდიური ოქროს სტატერი. ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები. ძველი ბერძნები მას „კრეზის სტატერს“ უწოდებდნენ.

3. **რატომ ამჯობინეს მონეტის ფორმა ძველ მსოფლიოში მიღებულ ლითონის ნაჭრების (ზოდები, რგოლები და სხვ.) აწონის პრაქტიკას?**

ა

ძვ.წ. IV ს-ის ფილოსოფოსი არისტოტელე თავის ცნობილ „პოლიტიკაში“ ამას ძალიან მარტივად ხსნის: მონეტებით გადახდა მოსახერხებელია, ყოველი გადახდისას სასწორის გამოყენება კი – მოუხერხებელი. რაც შეეხება მონეტებზე ბეჭდურ გამოსახულებებს, ისინი, არისტოტელეს მტკიცებით, უბრალოდ, ღირებულების ნიშნებია (პოლიტიკა, 1257 ა.).

ბ

ლიდია ხელს უწყობდა დაქირავებული ბერძენი მეომრების მეშვეობით ასირიელების განდევნას ეგვიპტიდან (ძვ.წ. 656 წ.). ამ მხარდაჭერის განხორციელების პროცესში აღმოჩნდა, რომ დაქირავებული ბერძენი ჯარისკაცების გასამრჯელოს გადასახდელად ძალიან მოსახერხებელი იყო ძვირფასი ლითონების ნორმირებულად (წონით) დანაწევრება. ეს იყო მონეტების მოჭრის წინარე სტადია.

4. **ქაღალდის ფულის ისტორია**

1690 წლიდან ჩრდილო ამერიკაში დაიწყეს ქაღალდის ფულის გამოშვება, თავდაპირველად მასაჩუსეტსის კოლონიაში, ხოლო XVIII საუკუნის I ნახევარში – ინგლისის სხვა ჩრდილოამერიკულ კოლონიებში. 1775 წლის 22 ივლისიდან 1779 წლის 29 ნოემბრამდე კონტინენტურმა კონგრესმა, რომელსაც ინგლისის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად სახსრები სჭირდებოდა, გამოუშვა ქაღალდის ფული სახელწოდებით: „კონტინენტური ფული“, 241 მილიონი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, ქაღალდის ფულის ემისიამ ცალკეული შტატების მიერ შეადგინა დაახლოებით 210 მილიონი დოლარი.

ქაღალდის ფულის ემისიის პირველი ცდა საფრანგეთში განხორციელდა 1716-1720 წლებში და დაკავშირებული იყო ჯონ ლოს (1671-1729) „მოღვაწეობასთან“, ე.წ. „ლოს სისტემასთან“. ჯონ ლომ 1716 წელს დააარსა კერძო ბანკი, რომელიც 1720 წელს სახელმწიფო ბანკად გარდაიქმნა. ხოლო 1719 წელს იგი გახდა საფრანგეთის ფინანსთა გენერალური კონტროლიორი და უჩვეულო ფინანსური მოღვაწეობა გააჩაღა. გამოუშვა დიდი რაოდენობით ქაღალდის ფული, მაშინ, როცა ლოს ბანკს არ ჰქონდა შესაძლებლობა, უზრუნველეყო მათი გადაცვლა ვერცხლზე და გაკოტრდა, თავად ლო იძულებული გახდა, საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ქაღალდის ფულის ემისია საფრანგეთში განახლდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ. ფინანსური სისტემის კრიზისმა აიძულა ლუი XVI-ის მთავრობა, მიემართა ქაღალდის ფულის გამოშვებისათვის. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში ქაღალდის ფულის გამოშვებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში ქაღალდის ფულის ემისია განხორციელდა ინგლისში. ომი, რომელსაც ინგლისი 1793-1815 წლებში საფრანგეთის წინააღმდეგ აწარმოებდა, ფინანსების დიდ რესურსებს მოითხოვდა, რომელსაც მთავრობა ნაწილობრივ ინგლისის ბანკიდან იღებდა სესხის სახით. ოქროს მარაგის შემცირებასთან დაკავშირებით ბანკნოტების გადაცვლა ოქროზე შეწყდა 1797 წლის კანონით და დაუხურდავებელი ბანკნოტები ფაქტობრივად ქაღალდის ფულად იქცა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ში საკმაოდ ფართო მასშტაბით წარმოებდა ქაღალდის ფულის გამოშვება რუსეთში. არამყარი სახელმწიფო ფინანსები და თითქმის ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი განაპირობებდა მეფის მთავრობის მიერ ქაღალდის ფულის ემისიის სისტემატურ გამოყენებას. გაუფასურებული ქაღალდის ფულის გამოშვება რუსეთში ლიკვიდირებულ იქნა XIX ს-ის ბოლოს, 1897 წლის ფულადი რეფორმის შედეგად, რომელსაც ოქროს ვალუტის შემოღება მოჰყვა.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში შეწყდა ბანკნოტების გადაცვლა ოქროზე. ლითონის მონეტებს (ვერცხლსა და სპილენძსაც კი) როგორც სახელმწიფო, ასევე მოსახლეობაც ინახავ-

და. შეიქმნა მსხვილი კუპიურების დახურდავების კრიზისი. ბრუნვიდან გამქრალი წვრილი მონეტების ნაცვლად დაიწყეს ქაღალდის ფულის ბეჭდვა. ომის მსვლელობისას მზარდი სამხედრო ხარჯების დასაფარავად მებრძოლ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები იძულებულნი იყვნენ, უფრო ფართოდ მიემართათ საბეჭდი დაზგისათვის. მიმოქცევაში მრავლად გაჩნდა ქაღალდის ფული, რომლებიც არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალური ფასეულობით, რის გამოც მათი მსყიდველობითი უნარი კატასტროფულად ეცემოდა.

ფულის უკმარისობის გამო დაიწყეს ფულის ნიშნების გამალებული ბეჭდვა ადგილებზე. მიმოქცევაში გაჩნდა ადგილობრივი და კერძო ფული – ბონები. მათ უშვებდნენ მუნიციპალიტეტები და კოოპერატიული კავშირები, მაღაზიები და საწარმოები, სკოლები და თეატრები, აფთიაქები, რკინიგზის სადგურები და სამხედრო ნაწილები. ასეთი ბონები მიმოქცევაში შეჰქონდათ როგორც ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ისე მის გარეშეც.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპულმა სახელმწიფოებმა ფულადი სისტემის უნიფიცირება და სტაბილიზება განახორციელეს. ფულადი რეფორმების დროს ბრუნვიდან ამოღებული ქაღალდის ფული კოლექციონერების ობიექტად იქცა.

დამატებითი მასალა გაკვეთილისთვის „სფრაგისტიკა“

1. ქართული ბეჭდების ფორმები

ქართულ ბეჭდებს ფორმის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ. ძირითადი ნაწილი ოთხკუთხა და რვაკუთხა ფორმისაა. მცირე ნაწილი – მრგვალი და ოვალური. XVII ს-ის მეორე ნახევარში ჩანს ე.წ. გუმბათისებური ბეჭდები. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ბეჭდები დასავლეთი საქართველოს სამეფო ბეჭდებისაგან ფორმით განსხვავდებიან. დასავლეთ საქართველოში XV ს-ზე ადრე სამეფო ბეჭდები არ ჩანს. საქართველოში სამეფო ბეჭდის დაცვა საგანგებო მოხელეს ჰქონია დავალებული, რომელსაც ნაზირი ეწოდებოდა. XVII ს-ის ბეჭდები, როგორც წესი, ყველა ნუშის ფორმისაა. იმდენად დამახასიათებელია XVII საუკუნისათვის ბეჭდების ეს ფორმა, რომ დასავლეთი საქართველოს დაუთარიღებელი დოკუმენტები, რომლებშიც ისინი გვხვდებიან, ეჭვის გარეშე შეიძლება ამ ხანას მივაკუთვნოთ. XVIII ს-ში დასავლეთ საქართველოში ოთხკუთხა და უფრო რვაკუთხა ბეჭდები გვხვდება. ამ დროისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, სწორკუთხა ფორმები, რომელთაც შუა ნაწილი მრგვალად ამაღლებული აქვთ. სამოხელეო და სასულიერო პირთა ბეჭდები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში ძირითადად ოთკუთხა და რვაკუთხა ფორმისაა.

2. ლეგენდები ქართულ ბეჭდებზე

ბეჭდების ლეგენდები შესრულებულია ასომთავრული და მხედრული დამწერლობით. ქართულ სფრაგისტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ლეგენდა ორ ან მრავალენოვანია. ძირითადად ეს ეხება სამოხელეო და მოქალაქეების ბეჭდებს. სამეფო ქართულ ბეჭდებში ასეთი შემთხვევები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არ გვაქვს. ლეგენდების შინაარსით ქართული ბეჭდები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ბეჭდები, რომელთა ლეგენდები შეიცავს მხოლოდ ბეჭდის მფლობელის სახელს; მეორე ჯგუფში შედის ის ბეჭდები, რომელთა ლეგენდებში ბეჭდის მფლობელი მოხსენიებულია სახელით, გვარით, თანამდებობით; მესამე ჯგუფს შეადგენენ ბეჭდები, რომელთაც ვრცელი ლეგენდები აქვთ. ვრცელი ლეგენდები ხშირად შეიცავენ საინტერესო ცნობებს მოხსენიებული პირების თანამდებობის, მათი მფლობელობის და აგრეთვე მათი პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ უცხო ქვეყნების მმართველებთან. ბეჭდების ლეგენდები საინტერესო ცნობებს იძლევა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და სამართლის ისტორიის შესახებ.

- **შტანდარტი** (გერმ. Standarte) – მონარქის ალამი, რომელსაც აღმართავენ მისი ყოფნის ადგილზე.
- XVII ს-ის ფრანგი მეცნიერის, „ჰერალდიკის მამად“ წოდებული კლოდ-ფრანსუა მენესტრიეს (1631-1705) განსაზღვრებით, შროშანი წმინდა ლუის სიმბოლოა.
- **კოკარდა** (ფრ. cocarde) – დადგენილი ნიმუშის ლითონის ნიშანი ფორმის ქუდზე.
- **ლუციუს კვინქციუს ცინცინატუსი** (ძვ.წ. V ს.) რომაელი კონსული და მხედართმთავარი იყო. ძველ რომაელებში ცინცინატუსი ითვლებოდა მაღალი ზნეობის, მამაცობის და თავმდაბლობის ნიმუშად. 1783 წელს დამოუკიდებლობისათვის ომის დამთავრების შემდგომ ამერიკაში დაწესდა ცინცინატის ორდენი, როგორც ამერიკელთა საბრძოლო თანამშრომლობის სიმბოლო მოკავშირეთა ფრანგული კორპუსის მეომრებთან. 1788 წელს კი აშშ-ის აღმოსავლეთ ნაწილში, ოჰაიოს შტატში დაარსდა ქ. ცინცინატი, და ეს ყოველივე ლუციუს კვინქციუს ცინცინატუსის სახელთან იყო დაკავშირებული.

დამატებითი მასალა გაკვეთილისთვის „ვექსილოლოგია“

1. საფრანგეთის დროშის ისტორია

საფრანგეთში დროშის ისტორია ფრანკთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ხლოდვიგისგან (დაახლ. 466-511) იწყება, რომლის თეთრ შტანდარტს სამი ოქროს გომბეშო ამშვენებდა. 496 წელს ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო და თეთრი დროშა შეცვალა ლურჯით, რადგან ლურჯი ფერი საფრანგეთის მფარველის წმინდა მარტინის სიმბოლო იყო. ხანგრძლივი დროის მანძილზე ფრანკების ლურჯი დროშა წითელი ზონრით მაგრდებოდა ჯვარზე.

800 წელს კარლოს დიდმა (742-814) ფრანკთა იმპერია გამოაცხადა, რომლის დროშას წარმოადგენდა სამკუდიანი წითელი ნაჭერი ექვსი ლურჯ-წითელ-ყვითელი ვარდებით. 843 წელს ვერდენის ხელშეკრულებით კაროლინგთა იმპერიის დაყოფის შემდეგ ფრანკთა დამოუკიდებელი სამეფო (როგორც ცნობილია, ქვეყანას საფრანგეთი X საუკუნეში ეწოდა) კვლავ ადრინდელ ლურჯ დროშას დაუბრუნდა.

XII საუკუნის I მეოთხედში, ლუი VI სქელის (1081-1137) დროს [სხვა ცნობებით ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, ლუი VII უმცროსის (1120-1180) ან მისი ვაჟის ფილიპ II ოგიუსტის (1165-1223) დროს] ლურჯ დროშაზე გაჩნდა ოქროს მრავალი ჰერალდიკური შროშანი და ეს დროშა ოფიციალურად იწოდებოდა „საფრანგეთის დროშად“. ლაჟვარდისფერ ველზე ასეთი გამოსახულებიანი ფარი იქცა პირველ ფრანგულ გერბად XIII ს-ში. (ჰერალდიკური შროშანი არის ყვითელი ზამბახის სტილიზებული გამოსახულება, რაც შუა საუკუნეებში ღვთისმშობლის სიმბოლოს წარმოადგენდა) შროშანი ჯერ კიდევ X საუკუნიდან ითვლებოდა კაპეტინგების (საფრანგეთს მართავდნენ 987-1328 წლებში) სამეფო დინასტიის ემბლემად. XIV საუკუნის ბოლოს შარლ V ბრძენის (1338-1380) ან შარლ VI შლეგის (1368-1422) მეფობის დროს (ვალუათა დინასტიიდან) ლურჯ დროშაზე დარჩა მხოლოდ სამი შროშანი, რაც, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო ქრისტიანული ღვთაების სამებასთან.

ჟანა დ’არკის (1412-1431) – „ორლეანელი ქალწულის“, რომელიც ასწლიანი ომის (1337-1453) დროს, 1429-1430 წლებში, ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ, დროშა თეთრი ფერის იყო ზედ გამოსახუ-

ლი ტრადიციული შროშანებით. თეთრი ფერი სიწმინდის ნიშანი და ღვთისმშობლის სიმბოლო იყო. განმათავისუფლებელი ომის დროს თეთრმა ფერმა ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ სამეფო დროშა კვლავ ლურჯი გახდა ზედ გამოსახული სამი ოქროს შროშანით. 1498 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ვალუეების დინასტიის ორლეანული განშტოება, რომლისთვისაც თეთრი ფერი საგვარეულო ფერად მიიჩნეოდა და მან ეროვნული მნიშვნელობაც შეიძინა. ხოლო 1589 წელს საფრანგეთის ტახტზე ავიდნენ ბურბონები, რომელთაც თეთრი დროშა სახელმწიფო დროშად დააკანონეს.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ შეიწირა ბურბონთა დინასტია და საფრანგეთის თეთრი სახელმწიფო დროშა, რომლის ადგილზეც დღემდე მყარად დამკვიდრდა ლურჯ-თეთრ-წითელი ალამი, ცნობილი ფრანგული სამფეროვანი (tricolore) დროშა, რომელიც წლების მანძილზე აღიქმებოდა, როგორც თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის სიმბოლო. თუმცა ეს დროშა ერთბაშად არ შექმნილა, იგი ეტაპობრივად ყალიბდებოდა, კერძოდ, 1789 წელს პალე-როიალის სასახლის ბაღში სტიქიური სახალხო მიტინგები იკრიბებოდა. 12 ივლისს ერთ-ერთ მიტინგზე ახალგაზრდა ჟურნალისტმა კამილ დემულენმა (1760-1794) მოქალაქეებს მოუწოდა, იარაღი აეღოთ ხელში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან მათ სხვა გზა არ დარჩენოდათ და შესთავაზა, განესაზღვრათ კოკარდის ფერი – მწვანე, როგორც იმედის ფერი, ან წითელი – ცინცინატის თავისუფალი ორდენის ფერი, თავისიანების გამოსარჩევად და ურთიერთდასაცავად. დამსწრეებმა ხმის უმრავლესობით მწვანე კოკარდა მიიღეს. კამილ დემულენმა უახლოესი ხის ფოთოლი მოწყვიტა და ქუდზე დაიმაგრა. თანამედროვეთა გადმოცემით, რამდენიმე წუთის შემდეგ პალე-როიალის ბაღში წაბლის ხეები თითქმის გაშიშვლებული იყო. საღამომდე მთელ რევოლუციურ პარიზს ქუდებსა და საღილეებზე მწვანე ლენტები ჰქონდა, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა როიალისტების თეთრი კოკარდისაგან. მაგრამ მეორე დღეს ვიღაცას გაახსენდა, რომ მწვანე ფერი სამეფო ოჯახის უმცროსი პრინცების ფერი იყო, რის გამოც მწვანე კოკარდა უარყვეს. 13 ივლისს პარიზის სახალხო მილიციის ორგანიზებისას გადაწყდა, მის ემბლემად აერჩიათ ქალაქის გერბიდან აღებული წითელი და ლურჯი ფერების კოკარდა.

ბასტილიის აღებიდან ორი დღის შემდეგ, როცა ლუი XVI ვერსალიდან პარიზში ჩავიდა, ქალაქის მერმა, ეროვნული კრების დეპუტატმა ჟან სილვენ ბაიიმ მას პარიზის სახალხო მილიციის ორფეროვანი წითელ-ლურჯი კოკარდა მიაწოდა, რომელიც მეფემ თავისი თეთრი კოკარდის ზემოთ დაიმაგრა, ამით ლუი XVI-მ გამოთქვა სურვილი, ამ სამი ფერის კავშირი ყველა ფრანგის გაერთიანების ნიშანი გამხდარიყო. ცნობილია, რომ სამფეროვანი კოკარდა მიღებულ იქნა მარკიზ დე ლაფაიეტის (1757-1834) წინადადებით 1789 წლის 27-31 ივლისს სახალხო მილიციის ეროვნულ გვარდიად რეორგანიზაციის დროს. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ კი 1790 წელს ეროვნული დროშისათვის დაამტკიცა იგივე სამი ფერი, რაც კოკარდისათვის ჰქონდათ მიღებული. 1794 წლის 17 თებერვალს კონვენტმა დაადგინა დროშის ახალი ვარიანტი, იმ სახით, რომელიც დღემდე შემორჩა, კერძოდ, შეიცვალა ფერთა არსებული მონაცვლეობა, მაგრამ რით იყო ეს გამოწვეული, დაუდგენელია. ამ დრომდე დროშის ტართან იყო ჯერ წითელი, შემდეგ თეთრი და ლურჯი ფერები, ამიერიდან კი ტართან აღმოჩნდა ლურჯი, მერე თეთრი და წითელი ფერები, ასეთი სახით ჩამოყალიბდა საფრანგეთის სამფეროვანი დროშა.

2. ინგლისის დროშის ისტორია

ინგლისის დროშის შექმნის პროცესიც საუკუნეებს მოიცავს. X-XII საუკუნეებში ევროპაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ლეგენდამ წმინდა გიორგის შესახებ. ლეგენდის მიხედვით, გმირმა ყმაწვილმა თავისი სიმამაცით და ჯვრის საოცარი ძალით დათრგუნა მრისხანე გველეშაპი და გაათავისუფლა კერპთაყვანისმცემელი მეფის ქალწული, მეფემ მადლიერების ნიშნად ქრისტიანობა მიიღო. კათოლიკური ეკლესია ამ ლეგენდას ალეგორიულად ხსნიდა, რომლის მიხედვითაც ქალწული განასახიერებდა ქრისტიანულ ეკლესიას, გველეშაპი კი იყო კათოლიციზმის მტრული ძალების – სარკინოზების, არაბების, მაჰმადიანების სიმბოლო. წმინდა გიორგის სახით მათ სურდათ, დაენახათ რაინდთა ქრისტიანული ლაშქარი, რომელსაც ჯვრითა და მახვილით უნდა მოექციათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მაჰმადიანები და კერპთაყვანისმცემლები. შუა საუკუნეების ფერმწერები წმინდა გიორგის გამოსახავდნენ გველეშაპის განმგმირავ რაინდად თეთრი ფარით, რომელზეც წითელი ჯვარი იყო გამოსახული. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის (1189-1192) ერთ-ერთმა წინამძღოლმა – ინგლისის მეფემ რიჩარდ I ლომგულმა (1157-1199) წმინდა გიორგი თავის მფარველად აირჩია, ხოლო მისი ფარის ფერთა შეხამება გადაიტანა ინგლისის გემების დროშებზე. ასე გაჩნდა ბრიტანეთის დროშის საფუძველი – თეთრი ტილო სწორი წითელი ჯვრით. ინგლისის ჩრდილოეთით, იმავე ბრიტანეთის კუნძულზე ჯერ კიდევ XI ს-ში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფო – შოტლანდიის სამეფო. XIII ს-დან მოყოლებული ინგლისი ბევრჯერ შეეცადა შოტლანდიის დამორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ.

1603 წელს ელიზაბეთ I-ის (1533-1603) გარდაცვალებით დასრულდა ტიუდორთა დინასტიის ზეობა და ინგლისის ტახტი მისი ანდერძის თანახმად კანონიერად ერგო მარი სტიუარტის ვაჟს, შოტლანდიის მეფეს, ჯეიმზს (1566-1625). ამრიგად, განხორციელდა ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანება საერთო გვირგვინის ქვეშ. ჯეიმზის გამეფების შემდეგ მოკლე ხანში დადგა სახელმწიფო დროშის საკითხი. არც ინგლისელებს და არც შოტლანდიელებს არ სურდათ უცხო დროშის ქვეშ ყოფნა. დაბოლოს, 1605 წელს მეფე იძულებული გახდა, გამოეცა საგანგებო ბრძანება, რომელშიც, კერძოდ ნათქვამი იყო: „ჩვენს საყვარელ ჩრდილოეთის (შოტლანდიის) და სამხრეთის (ინგლისის) ქვეშევრდომებს შორის დიდი მღელვარებების შემდეგ სასიკეთოდ მივიჩნიეთ ამ ორი დროშის გაერთიანება“. ერთ სიბრტყეზე მოათავსეს ინგლისური თეთრი დროშა წმინდა გიორგის სწორი წითელი ჯვრით, და შოტლანდიური ლურჯი დროშა, ირიბი თეთრი ე.წ. წმინდა ანდრიას ჯვრით (ქრისტიანული გადმოცემით, წმინდა ანდრია, რომელიც შოტლანდიის მფარველად მიიჩნევა, დახრილ ჯვარზე გააკრეს). ამ დროშას მაშინ ოფიციალურად ეწოდა „სამეფო ფერთა დროშა“. მოგვიანებით მას უწოდეს „მეფე ჯეიმზის გაერთიანებული დროშა“ ან შემოკლებით „Union Jeck“ – „გაერთიანებული ჯეკი“. დღევანდელი სახე ბრიტანეთის დროშამ 1801 წელს მიიღო, როცა „იუნიონ ჯეკს“ კიდევ ერთი ჯვარი დაემატა – ეს იყო წმინდა პატრიკის ირიბი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, რაც ოფიციალურად ირლანდიელთა კათოლიკურ სიწმინდედ იყო მიჩნეული. წმინდა პატრიკი იყო მისიონერი, რომელმაც V ს-ში ირლანდიის კუნძულზე ქრისტიანობა შეიტანა. ამრიგად, თანამედროვე „იუნიონ ჯეკი“ დიდი ბრიტანეთის სამი ნაწილის – ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ძველი შუასაუკუნეობრივი ოფიციალური ემბლემების შერწყმას წარმოადგენს.

3. ამერიკის შეერთებული შტატების დროშის ისტორია

ამერიკის შეერთებული შტატების შექმნის ისტორია სიმბოლურად აისახა მის სახელმწიფო დროშაზე. 1775 წელს კონტინენტალურმა კონგრესმა დაამტკიცა ამბოხებულ სამხედრო-საზღვაო გემთა ოფიციალური ემბლემა – დროშა, რომელზეც ერთმანეთს ენაცვლებოდა ცამეტი (კოლონია-შტატების რაოდენობის მიხედვით) – 7 წითელი და 6 თეთრი – ზოლი, მის ზედა კუთხეში გამოსახული იყო ბრიტანეთის „იუნიონ ჯეკი". ამ დროშას „მთავარი საკავშირო დროშა" („The grand Union Flag") ანუ მეორენაირად „კონტინენტალური დროშა" („Continental Flag") უწოდეს. ბრიტანეთის „იუნიონ ჯეკის" გამოსახულებამ ამ დროშაზე საბოლოოდ დაკარგა აზრი მას შემდეგ, რაც 1776 წლის 4 ივლისს კონტინენტურმა კონგრესმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაცხადა. მაგრამ ოფიციალურად ახალი დროშა უმალვე არ დაწესებულა. კონგრესში მხოლოდ 1777 წლის ივნისში წამოიჭრა საკითხი მისი ფორმის არჩევანზე. გადაწყდა, რომ ახალ ემბლემაში განემტკიცებინათ მეტროპოლიისაგან გამოყოფილი კოლონიების კავშირი, რის გამოც უკვე ტრადიციულად ქცეულ ზოლიან დროშაზე ბრიტანული ემბლემა შეცვალა ვარსკვლავებიანმა ლურჯმა ოთხკუთხედმა, რომელშიც ყოველი ვარსკვლავი ახალი კავშირის თითოეული ნაწილის აღმნიშვნელი იქნებოდა. პირველი ასეთი დროშა აღიმართა 1777 წლის 4 ივლისს ხომალდ „რენჯერის" ფლაგშტოკზე, რომლის მეთაური კაპიტანი პოლ ჯონსი ახალი ემბლემის პროექტის შექმნის თანამონაწილე იყო.

სახელმწიფო იზრდებოდა, კავშირს ახალი შტატები უერთდებოდა, შესაბამისად, იზრდებოდა ვარსკვლავთა რაოდენობა დროშაზე და მატულობდა ზოლების რაოდენობაც. 1795 წელს კავშირი შედგებოდა თხუთმეტი შტატისაგან – დროშაზე გაჩნდა თხუთმეტი ზოლი და თხუთმეტი ვარსკვლავი. 1818 წლისათვის შტატების რაოდენობა ოცამდე გაიზარდა, მაგრამ დროშაზე ზოლების რაოდენობის გაზრდას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ვიწრო წითელი და თეთრი ზოლები ერთ ვარდისფერ ლაქად აღიქმებოდა და 1818 წლის აპრილში კონგრესმა დაადგინა: ამიერიდან გაზრდილიყო მხოლოდ ვარსკვლავთა რაოდენობა დროშაზე, ხოლო ზოლების რაოდენობა დაუბრუნდა თავდაპირველ რიცხვს – ცამეტს და გადაწყდა, რომ იგი მუდმივად შეუცვლელი იქნებოდა. ამრიგად, დღეისათვის ორმოცდაათი ვარსკვლავითა და ცამეტი თეთრ-წითელი ზოლითაა წარმოდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების ერთიანი დროშა, როგორც საწყისი ცამეტის და ამჟამინდელი ორმოცდაათი შტატის ერთიანობის სიმბოლო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი სახელმწიფო დროშის გარდა თითოეულ შტატს საკუთარი დროშაც გააჩნია.

4. ქართული დროშები

რაც შეეხება ქართულ დროშებს, საქართველოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპისათვის მოიძებნება ისინი, ანდა ცნობები მათ შესახებ, რომლებშიც გარკვეულწილად საქართველოს ისტორიაა ჩაქსოვილი, მაგრამ, ისტორიული ქართული დროშები ნაკლებადაა შესწავლილი. სტილისტური თვალსაზრისით, ქართული დროშები უკავშირდება როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს, მიუხედავად ამისა, მათში ყოველთვის მკაფიოდაა ხაზგასმული ქართული ხასიათი. ტერმინი „დროშა“ ქართულ წერილობით წყაროებში IX ს-დან გვხვდება. მოგვიანებით დროშის აღსანიშნავად ნახსენებია „დრაუჟი“ (XIII ს), „ბაირაღი“ და „ბავრაყი“ (XVIII ს). დანიშნულების მიხედვით შემორჩენილი ქართული დროშები იყოფა: სამეფო, სამხედრო, საეკლესიო და ამქრის დროშებად. არსებული მასალების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დროშა V ს-დან XV ს-მდე თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო, დროშის თეთრ ალამზე საბრძოლველად ამხედრებული წმინდა გიორგი გამოისახებოდა შინდისფრად. საქართველოს ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ თითოეულ სამეფოს თუ სამთავროს სხვადასხვა სახის დროშა ჰქონდა. ქართული დროშებისათვის ტრადიციული იყო წმინდა გიორგის გამოსახულება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან წმინდა გიორგიმ შეცვალა ქართველების წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების – მთვარის კულტი. წმინდა გიორგი მეომარ ღვთაებათა შესატყვისიც იყო და მისი გამოსახულების მოთავსება დროშებზე ნიშნავდა მისი მფარველობის მოპოვებას ბრძოლაში. როგორც ვარაუდობენ, შესაძლებელია, თეთრ დროშაზე ჯვრის გამოსახვა დავით IV აღმაშენებლის (1073-1125) დროს შემოეღოთ, მაშინ, როცა საქართველომ, ჯვაროსანთა მსგავსად, წმინდა გიორგის მფარველობა მიიღო, რაც სიმბოლურად თეთრ ფონზე წითელი სწორი ჯვრით გამოიხატა. 1375 წელს ბარსელონაში ანონიმ კატალონიელ ბერს გამოუქვეყნებია (დღეს მისი ორიგინალი მადრიდის ბიბლიოთეკაში ინახება) მსოფლიო ქვეყნების უძველესი ატლასი. ატლასში იმ დროის ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების დროშებთან ერთად ოთხი ქართული დროშაცაა აღწერილი – დროშები ერთმანეთის იდენტურია — თეთრ ტილოზე ოთხკუთხა ჯვრით, განსხვავება მხოლოდ ოთხკუთხედებში ჩახატულ ჯვრებსა და დისკოებს შორისაა.

ქართულ დროშათა ქრონოლოგიური არე საკმაოდ დიდია და ქართული ვექსილოლოგიით დაინტერესება მომავლის საქმეა.

VII. დამატებითი მასალა

საერთაშორისო სიახლეები ისტორიის სწავლებაში

იოკე ვან დერ ლეუ-როორდი
ევროკლიოს დამფუძნებელი, მისი პირველი პრეზიდენტი,
ამჟამად აღმასრულებელი დირექტორი

განათლება ინკლუზიურობის, ცნობიერების ამაღლებისა და ტოლერანტობისათვის: ძირითადი თემები საკითხის დროულობისა და მნიშვნელობის შესახებ

ისტორიის საგანმანათლებლო როლი სკოლებში

2008 წელს საჯარო განათლების შეფასების ჰოლანდიურმა ცენტრმა საკუთარ ვებ-გვერდზე შემდეგი დასკვნა გამოაქვეყნა: „სკოლებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კანონიერების, დემოკრატიისა და მოქალაქეობის ზოგადი ფასეულობების გადაცემის საქმეში. ეს განსაკუთრებით ხორციელდება ისეთი საგნების მეშვეობით, როგორიცაა ისტორია და მოქალაქეობის საფუძვლები". სწორედ ეს წინადადება ხსნის საკითხის არსს, კერძოდ იმას, რომ ისტორია, რასაც ჩვენ სკოლებში ვასწავლით, ახალგაზრდა თაობის აღზრდასთანაა დაკავშირებული და, აქედან გამომდინარე, მისი მსჯელობის საგანი უნდა იყოს საყოველთაო ფასეულობები, ჰუმანური მიდრეკილებები და დემოკრატიის მონაპოვარი.

ვიცი, რომ ბევრი ისტორიკოსისათვის ეს განცხადება შეიძლება არაკომფორტულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდეს, რადგან ისინი უფრთხიან წარსულის ინსტრუმენტალიზაციას და, მით უფრო, იდეოლოგიური მიზეზებით მის არასწორად გამოყენებას. სამწუხაროდ, ისტორია და ისტორიის სწავლება ევროპაში თუ მის ფარგლებს გარეთ უამრავ მაგალითს გვთავაზობს ამ შიშის გასამართლებლად.[1] თუმცა, ისტორიის პედაგოგებს ისიც გააზრებული აქვთ, რომ ისინი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წარმოადგენენ, და განათლება ახალგაზრდა თაობაზე უნდა იყოს მორგებული. სკოლაში მოზარდები არ შეისწავლიან წარსულს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაარკვიონ, ზუსტად რა მოხდა; საგანი უნდა დაიწყოს მთავარი შეკითხვით მის მიზანთან დაკავშირებით.

ისტორიას ევროპულ სასკოლო კურიკულუმში უამრავი მნიშვნელოვანი მიზანი აკისრია. ევროკლიოს მიერ 2003, 2006 და 2009 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ისტორიის შესწავლისა თუ სწავლების უპირველესი მიზნები მთელს ევროპაში მეტ-ნაკლებად ერთნაირია: ესაა განათლება დემოკრატიისა და მოქალაქეობრიობის ხელშეწყობისთვის, მოსწავლეთა მიერ სამყაროს შეცნობა, მათში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება და საკუთარი სახელმწიფოსადმი ეროვნული კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბება.[2]

პასუხისმგებელი პროფესიული ძალა

ცნობილია, რომ ისტორია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ევროკლიო ცდილობს ხელი შეუწყოს ისტორიული განათლების ჯანსაღ გამოყენებას დემოკრატიული საზოგადოებების მშენებლობისა და გაძლიერების მიზნით. ასევე ცდილობს კავშირი დაამყაროს ისტორიკოსებს შორის მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. ორგანიზაციის წევრები ერთობლივად ეძებენ გზებს, რათა დანერგონ საყოველთაო ღირებულებები, ჰუმანური მიდრეკილებები, დემოკრატიული მონაპოვარი და, ამგვარად, გაზარდონ განათლების მნიშვნელობა კეთილსინდისიერი მოქალაქეობისა და შერიგების საქმეში.

დაარსების დღიდან, 1993 წლიდან ევროკლიო ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთგაგებას, პატივისცემასა და თანამშრომლობას. ორგანიზაციის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ისტორიის სწავლების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს მშვიდობას, სტაბილურობას, დემოკრატიას და კრიტიკულ აზროვნებას. ევროკლიო იღვწის, რათა ისტორიისა და მოქალაქეობრიობის საფუძვლების სწავლება მრავალფეროვანი ხედვით, ინოვაციით და კრიტიკული აზროვნებით გაამდიდროს.

---

[1] მაგალითისთვის იხილეთ Antoon de Baets, „Responsible History" (Oxford, 2008), Christina Koulouri (ed), „Clio in the Balkans. The Policy of History Education" (Thessaloniki, 2002), Christina Koulouri (ed), Teaching the History of Southeastern Europe" (Thessaloniki, 2001) და Wolfgang Hopken(ed), Oil on Fire: Textbooks, Ethnic Stereotypes and Violence in South-Eastern Europe (Hannover, 1996).

[2] ევროკლიოს ვებგვერდი შეიცავს ძირითადი კითხვარების შედეგებს, მოყოლებული 1998 წლიდან, როგორც PowerPoint-ში წარმოდგენილ პრეზენტაციებს, ასევე დიაგრამებსა და რუკებს: http://www.euroclio.eu/joomla/index.php/component/ option,com_docman/Itemid,402/.

ევროკლიო ამტკიცებს, რომ წარსულს არ გააჩნია საზღვრები და ისტორიის სწავლება უდიდეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები გარემომცველ სამყაროს. ევროკლიოს ხედვით, ისტორიის სწავლა და სწავლება განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროა, რადგან სწორედ ის გახლავთ განათლების სფეროში ყველაზე მეტად პოლიტიზირებული საგანი. სასკოლო ისტორია მოითხოვს პასუხისმგებლობის მქონე მრავალმხრივ პროფესიონალს და ევროკლიოც თავს უყრის ისტორიკოსებსა და ისტორიის პედაგოგებს ევროპიდან, რათა ერთობლივად განიხილონ და გამოსცადონ წარსულის ინკლუზიური სწავლების მეთოდები.

ევროკლიოს მიაჩნია, რომ ისტორია არის ყველაზე სტრუქტურიზებული არხი საზოგადოებებში ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის და, შესაბამისად, შემოქმედებითად უწყობს ხელს მის წინსვლას. ევროკლიო პროპაგანდას უწევს იმგვარ მიდგომას ისტორიის სწავლებისადმი, რომელიც განამტკიცებს დემოკრატიულ ფასეულობებს, უნარებს და მიდრეკილებებს. თავის მხრივ, ეს საგანი ზრდის ორმხრივ პატივისცემას, ტოლერანტობას და ანტიექსტრემისტულ განათლებას. ის სვამს კითხვებს, რომლებიც იწვევენ კამათს. იმისათვის, რათა ეს იდეები პრაქტიკაში გაატაროს, 1993 წლიდან მოყოლებული ევროკლიომ ევროპაში ორგანიზება გაუწია 30-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციას, ასობით ადგილობრივ სემინარს და სამუშაო სწავლებას, განახორციელა უამრავი გრძელვადიანი პროექტი.

ნოვატორული მეთოდოლოგია

ევროკლიოს პოლიტიკა შემუშავებულია უამრავი ეროვნული და საერთაშორისო დებატების შედეგად. ისტორიის სასკოლო სწავლების ტრადიციული ფუნქცია მრავალჯერ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან ხშირად იგი იარაღად ქცეულა ერებსა თუ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებებისას. 2007 წელს ბლედში (სლოვენია) გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ადამიანთა უფლებების სწავლება: გაკვეთილები ისტორიიდან“, სადაც კვიპროსელმა ისტორიის განათლების ექსპერტმა ჩარა მაკრიიანიმ დამსწრე ფართო ევროპული საზოგადოების წინაშე წამოჭრა მნიშვნელოვანი კითხვები სასკოლო საგნის მიზნებთან დაკავშირებით.[1]

მოეთხოვებათ თუ არა ისტორიის სწავლების პროცესში მოსწავლეებს დაეთანხმონ მოვლენების შეფასებას, თუ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დააყენონ ის?

მორჩილად უნდა მიჰყვნენ მოვლენების „ოფიციალურ“ ინტერპრეტაციას თუ დისციპლინირებული კამათისა და არგუმენტების შედეგად საკუთარი ვერსიები შეიმუშაონ?

დაეთანხმონ რომელიმე კონკრეტულ ხედვას თუ მულტიპერსპექტიული ხედვისაკენ ისწრაფონ?

ისტორიამ სკოლის მოსწავლეებს დათანხმება უნდა ასწავლოს თუ წინააღმდეგობის გაწევა?

ცხადია, ისტორიის სწავლების ევროპელი და არა მარტო ევროპელი სპეციალისტები უფრო მეტად ამ კითხვების მეორე ნაწილებს დაეთანხმებიან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობა სწორედ ამ მიდგომას იზიარებს. უმეტეს ევროპულ ქვეყნებში პოლიტიკოსებსა და მედიის წარმომადგენლებს ძალიან უჭირთ გაითავისონ სასკოლო ისტორიის ეს კრიტიკული პასუხისმგებლობა.

დოქტორი ჩარა მაკრიიანი ასევე შეეხო საგნის თემატიკას და დასვა შემდეგი კითხვები:

უნდა მისცეს თუ არა სასკოლო ისტორიამ მოსწავლეებს ცოდნა და გააგებინოს წარსულის შესახებ ისტორიული აზროვნების მნიშვნელობა?

უნდა განავითაროს თუ არა მათში წარსულ და ახლანდელ საზოგადოებებში ინდივიდების თუ ჯგუფების როლის, პასუხისმგებლობის, უფლებების შესაძლებლობების და მოვალეობების გაგება?

უნდა გაზარდოს თუ არა მოსწავლეთა დემოკრატიული დამოკიდებულებები და უნარები?

უნდა წააქეზოს თუ არა საზოგადოებაში ჩართულობა და აქტივობა?

უნდა გაზარდოს თუ არა მოსწავლეთა შორის მრავალფეროვნების მიღების უნარი?

ამ შემთხვევაში ისტორიის თანამედროვე სწავლება ვალდებულია ყველა მოთხოვნა გაითვალისწინოს.

საკითხავია, რამდენადაა ეს მიდგომები სასკოლო ისტორიის რეალობაში დანერგილი?

2006 წელს ევროკლიოს მიერ შედგენილი კითხვარი სთხოვდა რესპონდენტებს ეჩვენებინათ, თუ რა ადგილი უჭირავს მათ ეროვნულ კურიკულუმებში გარკვეულ კონცეფციებსა და კომპეტენციებს.

გამოკითხვის შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა შედეგი:

ქრონოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება და მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგების უნარი;

ცვლილებებისა და უწყვეტობის გააზრების უნარი;

---

[1] დოქტორ მაკრიიანის სრული პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.euroclio.eu/joomla/index.php/component/option,com_docman/Itemid, 402/.

ანალიზის უნარი;

ისტორიული მასალების შეფასებისა და მათი ისტორიულ კონტექსტში გამოყენების უნარი.

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვნად ისტორიული ცოდნის თანმიმდევრულად გახსენება ითვლებოდა, ვიდრე ფაქტებისა და შეხედულებების ერთმანეთისაგან გარჩევა? ასევე, ისტორიული მნიშვნელობის შეფასება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციების გამოყენებით. ყველაზე უმნიშვნელოდ ჩაითვალა დღევანდელი ისტორიოგრაფიული დებატების საქმის კურსში ყოფნა.

ფასეულობები და მიდგომები

სამხრეთ ფლორიდის განათლების კოლეჯი ძალიან კარგად უღებს ალღოს ისტორიის პედაგოგთა მუშაობას, როდესაც წერს, რომ „ყველა პროფესია ხასიათდება საერთო ცოდნის ერთი და იმავე თვისებებით, უნარებით და მიდგომებით.[1] სწავლება კი ხელობაა, რადგან სრულყოფილების ძიებაში ის იყენებს მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც“. ეს განაცხადი მასწავლებელთან ერთად მოსწავლესაც ეხება – „სოციალური დისციპლინების (განათლება) ძირითად წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლე ვალდებულია გამოავლინოს ცოდნა, უნარები, მიდგომა“.

ეს განაცხადი სოციალური დისციპლინებისა და განათლების ერთ ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო ასპექტს უსვამს ხაზს. ეს ორი საგანი არა მხოლოდ გადასცემს ცოდნას და უნარებს, არამედ ნერგავს კონკრეტულ ფასეულობებს და განავითარებს საზოგადოებისათვის სასარგებლო მიდგომებს მოსწავლეებში.[2] სწორედ ზემოხსენებულ ორ საგანს აქვს ყველაზე მეტად პირდაპირი ურთიერთობა პოლიტიკასთან, იდეოლოგიასა და საზოგადოებების თანადროულ საჭიროებებთან. საკითხები, რომლებიც ყოველთვის იწვევენ კამათს ისტორიის ახალი კურიკულუმის შესახებ არის გლობალიზაცია, გადაგვარება, ეროვნული იდენტობის შეგრძნების შემცირება, საერთაშორისო ისლამის მზარდი როლი და ეროვნულ თუ რელიგიურ უმცირესობათა ნაკლები ინტეგრაცია საზოგადოებაში.

უკანასკნელ წლებში ევროპაში ამ საკითხებს სოციალური მისწრაფებების მთელ წყებასთან აკავშირებდნენ. ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დღის წესრიგში უპირველესი ადგილი დაიჭირა განათლებამ დემოკრატიის განვითარებისათვის.[3] ბევრი ისეთი დასავლეთევროპული ქვეყნის წინაშე, რომლებშიც მაღალია მიგრაცია, მაგალითად, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, მოულოდნელად დადგა საკუთარი როლის გააზრების საკითხი საზოგადოებათა კავშირის, მრავალფეროვნების დაფასებისა და ტოლერანტობის მშენებლობის საქმეში.[4] კონფლიქტურ ტერიტორიებზე, მაგალითად, ბოსნიაში, საქართველოსა და მაკედონიაში, შერიგებასა და მრავალფეროვნების დაფასებას დიდი ყურადღება ექცევა. თითქმის ყველა ევროპული სკოლის ისტორიის კურიკულუმში შევიდა თემები, რომლებიც მოიცავს თანასწორობას, ადამიანთა უფლებებს, გენდერს, უწყვეტ განვითარებას და გარემოს. განსაკუთრებული დავალებები დაეკისრა სოციალურ დისციპლინებსა და ისტორიის კურიკულუმებს. ამისი კარგი მაგალითია ევროკლიოს ეგიდით თურქეთში მიმდინარე პროექტი. შეიძლება ზოგმა იკითხოს, რამდენად ემთხვევა ევროპელ პოლიტიკოსთა და ისტორიის პედაგოგთა დამოკიდებულებები და რამდენად მისაღებია მასწავლებელთათვის ეს მოთხოვნები, ან საერთოდ, რამდენად ხშირად ეკითხებიან მათ რჩევას, აქვთ თუ არა სურვილი და უნარი მსგავსი ფასეულობები გადასცენ თაობებს და განავითარონ გარკვეული ტენდენციები?[5]

ევროკლიოს მიერ 2009 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვანახვა, რომ ევროპაში ამგვარ გადაწყვეტილებებზე ისტორიის პედაგოგებს მცირე გავლენა აქვთ.[6] და კითხვა – პედაგოგთა თანამედროვე კომ-

---

[1] იხილეთ: Social Studies Education (SSE) Course & Program Policies & Expectations bmulze: http://www.coedu.usf.edu/main/departments/seced/SocialS/SSEhome. html

[2] ევროკლიოს 2009 წლის კითხვარი ავლენს შემდეგ პრიორიტეტებს: http:// www.euroclio.eu/joomla/index.php/component/option,com_docman/Itemid,402/.

[3] Michail . A.Boytsov, „AROCLIOand Russian Joint Venture. Writing Schoolbooks on Post-War History“ – History for Today and Tomorrow. What does Europe Mean for School History. EUSTORY-Series: Shaping European History, Volume 2 (Hamburg, 2001) 154-163. ევროკლიოს პროექტები ფიკუსირდება შემდეგი საკითხების გარშემო. http://www.euroclio.eu/joomla/index.php/component/option,com_docman/ Itemid,241/vb.

[4] Gordon Brown, „The Future of Britishness, მოხსენება ფაბიანელთა საზოგადოებაში, 2006 წლის 14 იანვარი. საზოგადოების პრესრელიზი იხილეთ ბმულზე http://www.fabians.org.uk/events/speeches/the-future-of-britishness; მაგალითად, ნიდერლანდებში დებატები თემაზე Canon and National Museum for History იხილეთ: http://www.jijmaaktgeschiedenis.nu/blog/ an http://entoen.nu/forum.aspx.

[5] James Fitzgerald, `History in the Curriculum: Debate on Aims and Values' in History and Theory, Vol. 22, No. 4, Beiheft 22: The Philosophy of History Teaching (Dec., 1983), 81-100, იხილეთ ბმულზე http://www.jstor.org/pss/2505217.

[6] 2009 წლის კითხვარის შედეგები იხილეთ ბმულზე: http://www.euroclio.eu/ joomla/index.php/component/option,com_docman/

პეტენცია და არსებული სასწავლო მასალების ხარისხი გამოდგება თუ არა დასახული მიზნების მისაღწევად, ჯერაც პასუხგაუცემელია.

ევროკლიოს მეთოდი გამოხატავს აზრს, რომ ისტორიასა და ისტორიის სწავლებას ადამიანური ფასეულობების, დამოკიდებულებების და მიდრეკილებების მთელ წყებასთან უხდება შეპირისპირება. ესაუბრო ახალგაზრდა თაობას წარსულზე, ნიშნავს მოიცვა პოზიტიური თემები, როგორებიცაა დემოკრატია, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებების პატივისცემა, ურთიერთგაგება, სოლიდარობა, თავისუფლება, გამბედაობა, თანაბარი შესაძლებლობები, პასუხისმგებლობა, სიყვარული და მეგობრობა. თუმცა, ასევე თავს ვერ აარიდებ ნეგატიურ ცნებებს, როგორებიცაა სტერეოტიპები, ცრურწმენა, ბრმა რწმენა, ქსენოფობია, რასიზმი და ძალადობა.

ევროკლიომ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ამ საკითხების შესახებ დაკავშირებით მთელი რიგი სასწავლო სტრატეგიები და მასალები შეიმუშავა.[1] ისტორიაში მრავლადაა მოვლენები, პროცესები და ფენომენები, რომლებიც მოქალაქეობას თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობას ეხება. ევროკლიო ცნობს ისტორიის პედაგოგთა სასიცოცხლო როლს ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის და საზოგადოებაში მათი აქტიურად ჩართვის საქმეში.[2]

სპეციფიკური ისტორია

ევროპის ისტორიის სწავლება საპასუხისმგებლო და განსაკუთრებულია. ზოგადად, ეროვნული ისტორიის სწავლებაში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფის ხედვები ჭარბობს. მარტინი თავის სტატიაში „ევროპის ისტორია და ძველი ფრანგული წეს-ჩვეულებები“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთისათვის „აბსოლუტურად წარმოუდგენელია ისეთი კურიკულუმი, რომელიც მიეძღვნებოდა ბრეტანისა თუ ბასკური რეგიონის ისტორიის სწავლებას“.[3] ამავე დროს, ის აცხადებს, „მეორე მსოფლიო ომის პერიოდში განვითარებულ გენოციდამდე ევროპაში არ მოიძებნა ადგილი ებრაელთათვის, მაგრამ არც ქალთა და არც გენდერის ისტორია არ თამაშობს არავითარ როლს; ფრანგული ისტორიული განათლება არის ეროვნული ფრანგული პოლიტიკური ისტორია“. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ბრიტანეთი, კვლავ მტკიცედ ეწინააღმდეგება ისეთი კურიკულუმების განვითარებას, რომელშიც ისტორიული სამყარო უფრო ვრცლად ან მცირედ იქნება წარმოდგენილი, ვიდრე ეროვნული სახელმწიფო. ჯოუნსი თავის სტატიაში“ სპილოსთან ერთად სარეცელის გაყოფა: ისტორიის სწავლება უელსში“ წერს, რომ ეს საკითხი არის გამოწვევა, რომელსაც სწრაფად უნდა გაუმკლავდეს ბრიტანეთი, სადაც ინგლისური ისტორია, კულტურა და ენა საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ბრიტანეთის სხვა ქვეყნებზე.[4] ევროკლიოს მიერ 2004 წელს კარდიფში გამართულმა კონფერენციამ აჩვენა, რომ ისტორიის უელსურ კურიკულუმებსაც გააჩნდათ სიძნელეები.[5] სასკოლო ისტორია ჯერაც ფოკუსირდება უამრავ მნიშვნელოვან პერსონაზე, რომლებიც დომინანტ კულტურას წარმოადგენენ. მცირე ყურადღება ექცევა ქალებს და საერთოდ უყურადღებოდ რჩებიან ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.[6]

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, რუმინეთსა და ლატვიაში, ცალკე საგნად ისწავლება ეთნიკური

Itemid,402/.

[1] ამის შედეგი იყო 14 ინოვაციური სახელმძღვანელოსა და მასწავლებელთა დამხმარე წიგნის გამოქვეყნება, მაგალითისთვის: Ordinary People in an Extraordinary Country. Every Day Life in Bosnia and Herzegovina, Croatia and Serbia. Yugoslavia between East and West 1945-1990 (2008) and Change and Continuity in Everyday Life in Albania, Bulgaria and Macedonia 1945-2000 (2003). ევროკლიოს არსებობის პირველი 15 წლის ნამუშევრის შეჯამება იხილეთ ორგანიზაციის 26 –ე ბიულეტენში Making a Difference. Fifteen Years of EUROCLIO, ბმულზე:http://www. euroclio.eu/site/index.php/2008-making-a-difference-bulletins-381. ევროკლიოს მიერ გამოცემული ყველა პუბლიკაციის ნახვა შეგიძლიათ ორგანიზაციის საიტზე.

[2] მაგალითად, იხილეთ FFair and Balanced History. 44 working sheets for active student work with a multicultural approach (http://www.euroclio.eu/site/index.php/ materials-bulgaria-129). ევროკლიოსა და ევროპაევმის გაერთიანებული ძალისხმევის შედეგია პროექტი Connecting Europe through History. ამ წლის ძირითად თემას წარმოადგენს experiences and Perceptions of Migrations in Europe და ინფორმაციის ხილვა შესაძლებელია ბმულზე http://www.euroclio.eu/site/index.php/ projects-mainmenu-125/ current-projects-mainmenu-32/connecting-europe-mainmenu-304. პირველი წლის (Human rights in Europe? Tolerance, Democracy, Citizenship, Critical thinking and Multiperspectivity as European Values) სრული მოხსენება ხელმისაწვდომია ბმულზე http://www.connectinghistory.eu/.

[3] Jean-Clément Martin, ‘European History and Old French Habits’, – History for Today and Tomorrow. What does Europe Mean for School History. EUSTORY-Series: Shaping European History, Volume 2 (Hamburg, 2001) 45-57.

[4] Elin Jones, ‘Sharing the bed with an elephant: teaching history in Wales’, in: History for Today and Tomorrow, 36-44 and Jean-Clément Martin, ‘European History and Old French Habits’, idem 45-57.

[5] R.R. Davies, ‘Wales and History, Small Country, Large Issues’ and Bjorn Matsen, ‘The Learning Country, Jane Davidson, Welsh Minister of Education’, ორივე იხილეთ ევროკლიოს მე-20 ბიულეტენში: elonging to Europe – Small Nations, Big Issues (2004) 10-17 and 17.

[6] Jan Bank en Piet de Rooy, ‘Een canon van het Nederlandse verleden. Wat iedereen móet weten van de vaderlandse geschiedenis’, გაზეთმა NRC Handelsblad 2004 წლის 30 ოქტომბერს წარმოადგინა ამ მიდგომის შესანიშნავი მაგალითი, მსგავს ტენდენციებს ამჟღავნებს 2001 წლის ჰოლანდიური კურიკულუმი შექმნილი საშუალო სკოლის მაღალი კლასებისათვის.

ჯგუფების ისტორია. თუმცა ასეთი მიდგომა რეალურად სულაც არ უწყობს ხელს ინკლუზიურ სწავლებას, რადგანაც არ ზრდის ერთმანეთის შესახებ მეტის გაგების შესაძლებლობას. უმრავლესობის ჯგუფის წარმომადგენელთათვის საკუთარი ისტორია თუ კულტურა წარმოადგენს ერთადერთ საგანს სასკოლო ისტორიაში. თუმცა, უმცირესობების წარმომადგენელთა ისტორიის ცალკე საგნად გამოყოფა რუმინეთში, სულ ცოტა, ისტორიის სწავლებაში მრავალფეროვნების დანერგვას ნიშნავს. ლატვიაში ახალი მოქნილი კურიკულუმი ასევე იძლევა საშუალებას შესწავლილ იქნას ეთნიკური ისტორია რუსულ, პოლონურ, ლიტვურ, უკრაინულ, ესტონურ და ბელორუსულენოვან სკოლებში.

ინგლისში კურიკულუმის დაგეგმვისას მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ იგი პასუხობდეს ახალმოსახლეთა საჭიროებებს და ერთნაირ უფლებებს ანიჭებდეს მოსწავლეებს „მიუხედავად მათი სოციალური წარმომავლობის, კულტურის, რასის, სქესის, განსხვავებული შესაძლებლობებისა თუ უნარების“.[1] ისტორიის კურიკულუმის ფარგლებში მოითხოვება „შეუქმნან ინგლისში ახლად ჩამოსულ მოსწავლეებს ისეთი გარემო, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ საკუთარი იდენტობის და მსოფლიოში საკუთარი ადგილის მყარი შეგრძნება. ეს დაეხმარება მათ გაიაზრონ, თუ რა გავლენა მოახდინა წარსულმა აწმყოზე და როგორ განვითარდა ის ადგილი, სადაც ახლა ისინი ცხოვრობენ. ისტორია დაეხმარება ახალმოსულებს უკეთ ჩასწვდნენ ინგლისის კულტურას, ინსტიტუტებს და ისტორიას“. თანამედროვე კურიკულუმთა დამხმარე საშუალება „უჩვენებს მასწავლებლებს, თუ როგორ შეუძლიათ მათ საჭიროების შემთხვევაში გარდაქმნან ეროვნული საკურიკულუმო პროგრამები და შეუსაბამონ ისინი მოსწავლეთა გამოწვევებს თითოეულ ეტაპზე“.[2] QCA-ის საიტზე ამ საკითხთან დაკავშირებით მრავლადაა მოცემული დირექტივები და აქტივობების ნიმუშები.[3]

ევროკლიოს მოდელის მიხედვით, სასკოლო ისტორიის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივი ინკლუზიურობა, შეკავშირება, გააზრება იმ მახასიათებლებისა, რაც განასხვავებს სხვადასხვა სქესის და ასაკის ადამიანებს, ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ ჯგუფებს, მდიდარსა და ღარიბს, ქალაქის თუ სოფლის მოსახლეობას, განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოებებს.[4] ყოვლისმომცველობის ამგვარი ინტერპრეტაცია ტრადიციულ მიდგომაზე შორს მიდის, რადგან მოიცავს არა მხოლოდ ეთნიკურ და რელიგიურ, არამედ ასაკობრივ, სქესობრივ ჯგუფებს და შეხედულებებს. ევროკლიოს რამდენიმე პროექტი ალბანეთში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ხორვატიაში, ბულგარეთში, ესტონეთში, ლატვიაში, მაკედონიაში, რუსეთში, სერბეთსა და უკრაინაში სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა.[5]

უმცირესობის წარმომადგენელთა შესახებ სასკოლო სავარჯიშოებისთვის კარგი წყაროს მოძიება ნამდვილად პრობლემურია. მოვიყვან ერთ მაგალითს: პროექტის ისტორიისა და მოქალაქეობრივი განათლების ხელშეწყობა რუმინეთში მენეჯმენტმა სთხოვა ექსპერტს იად ვაშემიდს (ისრაელი), რათა მას სტიმული მიეცა პროექტის წევრთათვის, რომ მათ სახელმძღვანელოში წარმოედგინათ რუმინულ-ებრაული ისტორიული წყაროები. დამსწრე საზოგადოებას ძალიან დასწყდა გული, როდესაც ექსპერტმა მხოლოდ პოლონური მასალები მოიტანა. თვით ამ კარგად აღჭურვილი ებრაული რესურსცენტრისათვისაც კი არ აღმოჩნდა ადვილი სასურველი მასალების მოძიება.

ზემოთაღნიშნული პრობლემის გამო, უკრაინულ სახელმძღვანელოში უკრაინა – „1901-1938 წლებში, ინდივიდის თვალით დანახული პერიოდი“ თითქმის არ მოიხსენიება იმ დროის უკრაინის მრავალრიცხოვანი ებრაული მოსახლეობის ისტორია.[6] იგივე შეიძლება ითქვას ბოშებზე, რომლებიც ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ. ეს ხალხი თითქმის არც ერთ ისტორიულ სახელმძღვანელოში თუ პუბლიკაციაში არაა მოხსენიებული. გამონაკლისს წარმოადგენს ევროკლიოს მასწავლებელთა რესურსების წიგნი – ყოველდღიური ცხოვრების ცვლილება და უწყვეტობა ალბანეთში, ბულგარეთსა და მაკედონიაში 1945-2000.[7] თითოეულ მონაწილე ქვეყანას დავალებული ჰქონდა წარმოედგინა საკუთარი სამშობლოს ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლობები. ეს ძალიან ფაქიზი საკითხი იყო და მთავრობებს, განსაკუთრებით, ბულგარეთისას, გაუჭირდათ კონკრეტული ჯგუფისათვის უმცირესობის სტატუსი მიენი-

---

[1] QCA-ს საიტი იძლევა საინტერესო შეთავაზებებს ტერმინ ინკლუზიასთან დაკავშირებით. http://www.qca.org.uk/qca_7277.aspx.

[2] იხილეთ: http://www.qca.org.uk/qca_7341.aspx.

[3] ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.qca.org.uk/qca_7964.aspx.

[4] მაგალითად, ევროკლიოს რუსული წარმომადგენლობის პუბლიკაცია Mosaic of Cultures (2005), იხილეთ ბმულზე http://www.euroclio.eu/site/index.php/projects-mainmenu-125/past-projects-mainmenu-47/national-mainmenu-241/cat_view/61-national/150-2002-2005-russia-mosaic/170-educational-materials

[5] ესტონეთში, ლატვიაში, მაკედონიასა და რუსეთში პროექტების მეორე წყების განსაკუთრებული კვლევის საგანი გახდა ტერმინი ინკლუზია, იგივე შეიძლება ითქვას ევროკლიოს პროექტზე ბულგარეთში Bialogues, a Cultural Rainbow for the Future.

[6] იხილეთ ბმული: http://www.euroclio.eu/joomla/index.php/component/option, com_docman/Itemid,241/gid,173/task,cat_view/.

[7] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ http://www.euroclio.eu/joomla/index. php/Publications/Teaching-Materials/.

ჭებინა. მაგრამ, საბოლოოდ, გარდა მაკედონიური დასახლებისა ბულგარეთში, ყველა წარმომადგენლობამ იპოვა საკუთარი ადგილი.

ინკლუზიური ისტორიული განათლება გულისხმობს იმას, რომ ეროვნულ დონეზე, ევროპასა თუ მის გარეთ, აუცილებელი პირობა იყოს მულტიპერსპექტიულობა და მრავალგვარი ნარატივი. ეს მიდგომა მიმართულია იმისაკენ, რომ ახალგაზრდებმა შეისწავლონ და გაიაზრონ წარსულის საფუძვლები; ის გვთავაზობს უფრო ახლოს გავეცნოთ სხვადასხვა, ერთმანეთს დაპირისპირებულ მხარეებს, განსხვავებულ რეკონსტრუქციებს და ალტერნატიულ ინტერპრეტაციებს; იგი ეხება იმ დასკვნებს, რომლებიც მომავლისთვის უნდა გამოვიტანოთ შესაბამისი წარსული გამოცდილებიდან. ცხადია, ჩვენ ერთსა და იმავე წარსულ მოვლენაზე შეგვიძლია განსხვავებული ხედვები ჩამოვაყალიბოთ.[1] სწორედ აქ შემოდის სიტყვა „კომპლექსურობა", რადგანაც წარსულის აღქმა რთული ხდება და ეფუძნება მრავალგვარ ნარატივს და ინტერპრეტაციებს. შესაბამისად, ისტორიის სწავლება თავიდან ვერ აიცილებს პაექრობას და წყენას. ამ ყველაფერს ფრთხილად და გაბედულად უნდა მივუდგეთ, არ უნდა უარვყოთ ან უგულებელვყოთ კონკრეტული ფაქტები.

ევროპული და არა მხოლოდ ევროპული გამოცდილება ცხადად აჩვენებს, თუ რამდენად რთულია ეს თემები პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსებისათვის, და კიდევ უფრო მეტად რთული სასკოლო ისტორიისათვის. ევროკლიოს საიტზე, ახალი ამბების განყოფილებაში მოცემული სექცია – ისტორია – გვიჩვენებს, თუ როგორ ებრძვიან საზოგადოებები ყოველდღიურად წინააღმდეგობრივ წარსულს. ამ თემათაგან ბევრი მათგანი ისეთ რთულ პრობლემებსა და ძირეულ მორალურ საკითხს ეხება, როგორიცაა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები – ჰოლოკოსტი, გენოციდი, დისკრიმინაცია, კოლონიალიზმი, მონობა, თანამშრომლობა და თანასწორობა. არ არსებობს ევროპული ქვეყანა, რომლის წარსულის განხილვისას ამ საკითხთაგან არ რომელიმე ახდენდეს მასზე უზარმაზარ გავლენას.

გენდერი

ისტორიაში ჩართულობის სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენს ქალებისა და მამაკაცების როლზე ფოკუსირების მრავალფეროვნება. ჩვეულებრივ, ქალები კურიკულუმებისა და სახელმძღვანელოების მიღმა რჩებიან. ევროკლიოს კითხვარი 2003, 2004, 2005 წლებში შეიცავდა კითხვებს სასკოლო ისტორიაში გენდერის შესახებ. შედეგმა უჩვენა, რომ ეს ასპექტი ჯერაც განუვითარებელია. 2003 წელს სწორედ გენდერი იყო სასკოლო ისტორიაში, 1989 წლიდან მოყოლებული, ყველაზე ნაკლებგანვითარებადი მიდგომა.[2] 2004 და 2005 წლებში გამოკვლევამ უჩვენა, რომ ქალისა და გენდერის ისტორია ევროპაში ფასდებოდა, როგორც ყველაზე უმნიშვნელო სასწავლო საკითხი. მან ხმების 7%-ზე ნაკლები მიიღო.[3] ეს მაშინ, როდესაც დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების მაჩვენებელი 25%-ს აღემატებოდა.[4] ამ თვალსაზრისით, ჰოლანდიის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში 16 კაცზე 4 ქალი მოდის.[5] ასევე, ფრანგულ/გერმანული სკოლის ევროპისა და მსოფლიოს ისტორიის ახლადგამოცემულმა ექსპერიმენტულმა სახელმძღვანელომაც, რაც ორივე ქვეყანაში საშუალო განათლების მაღალ კლასებში სწავლებისთვისაა განკუთვნილი, თავი ვერ აარიდა წარსულის ხედვაში გენდერის ნაკლებობას.[6] 1945 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ 2 ქალი ჩნდება მნიშვნელოვან პიროვნებათა ბიოგრაფიების ნუსხაში, ესენია ანგელა მერკელი და მარგარეტ ტეტჩერი. ფრანგმა ავტორებმა ვერ შეძლეს თუნდაც ერთი ქალი-თანამემამულის წარმოდგენა, რომელიც იქნებოდა იმდენად ცნობილი, რომ სახელმძღვანელოში შეეტანათ.

ევროკლიოს მიზანს წარმოადგენს ქალების უკეთ წარმოჩენა. ფოკუსირების გადატანა მკაცრი პოლიტიკური და მილიტარული ისტორიიდან უფრო მრავალმხრივი მიდგომისაკენ წაადგება ალტერნატიული ნარატივების განვითარებას. უკრაინული სახელმძღვანელო „უკრაინა 1901-1938 წლებში, ინდივიდის თვალით დანახული პერიოდი" იმდენ მაგალითს შეიცავდა გენდერული პერსპექტივებისა, რომ გაოცებულმა გამომცემელმა იმწამსვე დაასკვნა, თითქოს წიგნის ავტორები ქალები იყვნენ. თუმცა ეს მცდარი დასკვნა იყო, ყველა ავტორი მამაკაცი იყო, რაც თავის მხრივ, ავტორთა გუნდის ფორმირებისას დაშვებულ უყურ-

---

[1] ევროკლიოს მეთოდოლოგიის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ბმულზე: http://www.euroclio.eu/site/index.php/leaf1 et-3-methodology-backgroundmaterial-898.

[2] Joke van der Leeuw-Roord, History Changes. Facts and fi gures about history education in Europe since 1989 (The Hague, 2003).

[3] კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.euroclio.eu/joomla/index.php/component/option,com_docman/Itemid,402/.

[4] ibidem.

[5] სტანდარტებზე პასუხისმგებელი კომიტეტის ოფიციალური საიტის მისამართი გახლავთ: http://entoen.nu/informatie.aspx?id=10, ინფორმაციის ნაწილი მოცემულია ინგლისურ ენაზე, თურქული თარგმანი კი გამოქვეყნდა NIHA –ის მიერ (უმაღლესი განათლების ნიდერლანდური ინსტიტუტი ანკარაში): Ana Hatlarıyla Hollanda Tarihi (De Canon) (Ankara, 2008).

[6] istoire/Geschichte, Europa und die welt seit 1945. (Leipzig, 2006). იხილეთ: www.histoiregeschichte.com.

ადღებობაზე მეტყველებდა.[1]

ახალი თურქული კურიკულუმი

სოციალური დისციპლინების ახალი თურქული კურიკულუმი ძირეულ ფასეულობათა დანერგვას და პასუხისმგებლობით გამსჭვალული ხედვის განვითარებას ემსახურება. კურიკულუმის ყოველ თავს საკუთარი მიზნები გააჩნია. მაგალითად, თავში „მე ვსწავლობ სოციალურ დისციპლინებს", ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დაეფუძნება უფლებებს, პასუხისმგებლობებს და თავისებურებებს. მეორე მიზანს წარმოადგენს, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ სოციალური დისციპლინები ხელს უწყობს თურქეთის რესპუბლიკის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. თავში „ძალაუფლება, ადმინისტრაცია და საზოგადოება", საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანთა შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ სიცოცხლის, რელიგიისა და აზრის თავისუფლების, ფიზიკური უსაფრთხოების უფლება. დაბოლოს, თავი „გლობალური კავშირები" ასაბუთებს, რომ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოსწავლეები აანალიზებენ ადამიანთა უფლებების განვითარების პროცესს და ინტერპრეტირებას უკეთებენ თურქეთის ისტორიაში ქალთა როლსა და ქალთა უფლებების განვითარებას. იგივე თავი მოითხოვს, რომ ახალგაზრდებს უნდა განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მხრივ. ასევე ახალგაზრდებს მოეთხოვებათ, გაიაზრონ ქვეყანათა შორის თანამშრომლობა ბუნებრივი საფრთხეებისა თუ გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

ისტორიის, როგორც საგნის, ზოგადი მიზნები ასევე მოიცავს მორალურ ვალდებულებებს, მაგალითად, მოსწავლეების ინფორმირებას ისეთ ძირეულ ფასეულობებზე, როგორებიცაა მშვიდობა, ტოლერანტობა, ორმხრივი გაგება, დემოკრატია, ადამიანთა უფლებები; ახალგაზრდები უნდა გახდნენ ამ ფასეულობების დამცველები და განმავითარებლები. კურიკულუმი გულისხმობს მოზარდებში გაძლიერდეს შრომისმოყვარეობა, მეცნიერული ხედვა, ხელოვნების სიყვარული და ესთეტიკა, ეს ყველაფერი კი უნდა მოხდეს ერთი რომელიმე კონკრეტული ან ზოგადი ცივილიზაციების შესახებ ისტორიული კვლევის წარმოების საშუალებით. ისტორიის კურიკულუმის ფარგლებში ასევე მოითხოვება მოსწავლეთა შორის განვითარებულ იქნას სულიერი, ეთიკური, სოციალური და კულტურული ასპექტები. მომდევნო მიზანია მოზარდთა ჩამოყალიბება ინდივიდებად, რომელთაც ეცოდინებათ თავიანთი უფლებები და გამოიყენებენ მათ საჭიროების შემთხვევაში. ამავე დროს, გააზრებული ექნებათ საკუთარი პასუხისმგებლობები და იქნებიან მგრძნობიარენი სოციალური პრობლემების მიმართ.

ისტორიის სწავლების ბოლო წლებში გამოიკვეთა, რომ თანამედროვე მსოფლიოსა თუ თურქეთის ისტორია მასწავლებლებს აკისრებს განსაკუთრებულ მიზნებს და მოთხოვნებს. საგნის შესწავლის შედეგად მოსწავლეებს ექნებათ „უნარი, გაანალიზონ გლობალური სამყაროს მრავლისმომცველობა და პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი მახასიათებლები; განუვითარონ ახალგაზრდებს ის ჩვევები, რაც აუცილებელია XXI საუკუნის ცვალებად და მზარდ მოთხოვნილებებთან გასამკლავებლად. მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი ხედვა და შეძლონ ჯანსაღი კომენტარების თუ იდეების წარმოჩენა მომავლის შესახებ". თავში „გლობალიზაციის პროცესში მყოფი სამყარო", საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ „გაგება იმ პრობლემებისა, რომლებიც წარმოიშობა მსოფლიოში მიმდინარე განვითარების პროცესის შედეგად და გაითავისონ, რომ საჭიროა ამ პრობლემებს გადაწყვეტა მოვუნახოთ".

თუმცა, ყველა ამ მოთხოვნის კურიკულუმში დაფიქსირება საკმარისი არაა, ბევრად რთული პროცესია მათი ხორცშესხმა. ევროპულ ქვეყანათა უმეტესობაში სათანადოდ არაა შეფასებული ის ეფექტი, რასაც კურიკულუმში განხორციელებული ცვლილება ახდენს ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსებზე. ამის შედეგად, რეფორმების განმახორციელებელმა პროგრამებმა ვერ მიაღწიეს მოსალოდნელ მიზნებს და ჯოხი გადატყდა მასწავლებლებზე, თითქოს ისინი არ ემხრობოდნენ ცვლილებებს.[2]

ისტორიული მნიშვნელობა

ბოლო წლებში სასკოლო ისტორიის საკვანძო საკითხი გახდა ისტორიული მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1994 წელს პიტერ სეიქსასი სტატიაში „მოსწავლეთა მიერ ისტორიის მნიშვნელობის გაგება", წერდა – „ისტორიული ფენომენი მხოლოდ მაშინ ხდება მნიშვნელობის მატარებელი, თუ თანამედროვე საზოგადოების წევრებს

[1] Joke van der Leeuw-Roord, EUROCLIO Executive Director and Clio Stronk, EUROCLIO staff member, `Learning by Experience' – Making A Difference. Fifteen Years of EUROCLIO (The Hague, 2007) 6-11.(http://www.euroclio.eu/joomla/index2.php?option=com_docman&task=doc_view&gid=76&Itemid=401)

[2] Joke van der Leeuw-Roord, History Changes. 17-32.

შეუძლიათ გაავლონ პარალელი ამ და სხვა ისტორიულ ფენომენს შორის და საბოლოოდ, ამ მოვლენასა და საკუთარ თავს შორის". შემდეგ კი სვამს საკვანძო კითხვას: „რომელ ფენომენს აღიქვამენ მოსწავლეები მნიშვნელოვნად"?[1] სამწუხაროდ, ძალიან მცირე ოდენობის აკადემიური გამოკვლევა ჩატარდა საიმისოდ, რომ ამ კითხვის პასუხებში ჩახედულნი ვიყოთ. თავად სეიქსასმა ჩაატარა მცირე კვლევა 14 მეათეკლასელს შორის კანადაში. ვან ბორიესი გერმანიაში ასევე დაინტერესდა ამ კითხვაზე პასუხის მოძიებით ევროპის ფარგლებში; ასევე, ჰოლანდიელმა მარია გრივერმა ჩაატარა კვლევა ეროვნებით ჰოლანდიელ თუ მიგრანტ მოსწავლეებს შორის. მათ მიერ მიღებული შედეგები რამდენიმე საკითხს ნათელს ჰფენს. სეიქსასის კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეები ირჩევდნენ ისეთ თემებს, რომლებმაც გავლენა იქონია ხალხთა ფართო მასებზე და რომელთა ზემოქმედება იყო ხანგრძლივი და აწმყოშიც გრძელდებოდა. ვან ბორიესის კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდათ უახლესი ისტორიის მიმართ.[2] ეს მოსაზრება განამტკიცა გრივერის კვლევამაც. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ ეს მახასიათებელი განსაკუთრებით ეხებოდა გაერთიანებული სამეფოსა თუ საფრანგეთის მკვიდრ მოსახლეობას. მოზარდები ყოფილი კოლონიებიდან ასევე შესამჩნევ ინტერესს იჩენდნენ ანტიკური ისტორიის მიმართ. ნიდერლანდებში კი მკვლევარი წააწყდა გარკვეულ ინტერესს მე-20 საუკუნის მიმართ, თუმცა არა განსაკუთრებულს.[3] მთელ რიგ განმარტებებს და მითითებებს ისტორიული მნიშვნელობის თემაზე იძლევა ისტორიის სწავლების 125-ე ტომი, ასევე QC – განმარტებითი შენიშვნები.[4]

ახალი წარმოდგენა კურიკულუმზე

სასკოლო ისტორიის ინოვაციური სწავლებისადმი წამოყენებულმა ზემოხსენებულმა უამრავმა ახალმა მოთხოვნამ და მნიშვნელობის მქონე საკითხმა გავლენა მოახდინა შეხედულებაზე კურიკულუმის შესახებ. ევროპის საბჭომ პროექტის „სწავლება ევროპის მე-20 საუკუნის ისტორიის შესახებ" ფარგლებში დოქტორ რობერტ სტრადლინგს დაავალა გამოეცა ცნობარი ამ თემაზე.[5] პუბლიკაციისთვის სტრადლინგმა გამოიყენა ევროპის საბჭოში უმცროს კონსულტანტად მუშაობისას დაგროვილი გამოცდილება, ასევე, ევროპის საბჭოსა და ევროკლიოს შეფასების ქსელი. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ხანგრძლივი განხილვის საგანი გახდა, იყო შემდეგი: როგორ გადაეტანათ ახალი საკურიკულუმო მოთხოვნები განახლებულ, უფრო მიმზიდველ საკურიკულუმო მოდელში. ცხადია, უნდა გაეთვალისწინებინათ ის, რომ მოსწავლეები თანამედროვე ისტორიას ანიჭებენ უპირატესობას. ეს არის მაგალითი ბევრ ევროპულ ქვეყანაში გამოყენებადი მე-20 საუკუნის ისტორიის სწავლების ტრადიციული პროგრამისა, საპირისპიროდ კი წარმოდგენილია თემების ალტერნატიული ჩამონათვალი.[6]

ტრადიციული თემები მე-20 საუკუნის ისტორიაში	**ინოვაციური თემები მე-20 საუკუნის ისტორიაში**
პირველი მსოფლიო ომის საფუძვლები	ტექნოლოგიური და მეცნიერული წინსვლა
პირველი მსოფლიო ომი	სოციალური ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაში
რუსეთის რევოლუცია	ქალთა როლის ცვლილება საზოგადოებაში
ევროპის რესტრუქტურიზაცია, 1918 წელი	მასკულტურისა და ახალგაზრდული კულტურის წარმოქმნა
ტოტალიტარიზმის დასაწყისი: კომუნიზმი, ეროვნული სოციალიზმი და ფაშიზმი	გამორჩეული მოძრაობები კულტურასა და ხელოვნებაში
ეკონომიკური დეპრესია	ინდუსტრიალიზაცია და პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებების წარმოქმნა
საერთაშორისო მშვიდობის დარღვევა	ურბანიზაცია
II მსოფლიო ომი: სახალხო ომი	ტრანსპორტი და კომუნიკაციები
ევროპის რესტრუქტურიზაცია 1945 წელს	სახალხო მოძრაობები

[1] Peter Seixas, 'Students Understanding of Historical Signifi cance' – Theory and Research in Social Education 23.3 (1994): 281-304, 285.
[2] Bodo von Borries, Magne Angvik (eds.) Youth and History. A Comparative European Survey on Historical onciousness and Political Attitudes among Adolescents vol. A: description, vol. B: documentation, CD-ROM (Hamburg, 1997).
[3] Maria Grever en Kees Ribbens, Nationale identiteit en meervoudig verleden (WRR Verkenning nr. 17) (Amsterdam, 2007) 130-131.
[4] Teaching History 125, December 2006: http://www.vanderkaap.org/histoforum/2009/historischbelang.html.
[5] Robert Stradling, Teaching 20th-century European History, (Strasbourg, 2001).
[6] Stradling, R. ibidem (22) ixileT bmulze http://www.coe.int/T/E/Cultural_Co-operation/education/History_Teaching/.

ცივი ომის ხანა: ნატო და ვარშავის პაქტი	ეროვნული და სხვა ჯგუფების წარმომადგენ-ლობების მდგომარეობის ცვლილება ევროპაში
დეკოლონიზაცია	კონფლიქტი და თანამშრომლობა
პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა 1945 წლის შემდეგ	ეროვნული მოძრაობები
ევროპული საზოგადოება	ტოტალიტარიზმი და ლიბერალური დემოკრატია
გლასნოსტი და პერესტროიკა	ადამიანთა უფლებები
საბჭოთა კავშირის დაშლა	
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ჩამოყალი-ბების პროცესში მყოფი დამოუკიდებელი დემოკრა-ტიები	

როგორც ხედავთ, საკითხების ამ ახალ ნუსხაში, რომელიც 2008 წელს შეიქმნა, საკმარისი ადგილი მოიძებნება ყველა ტრადიციული თემისათვის; თუმცა ისინი მოცემულია უფრო გაფართოებულ პერსპექ-ტივაში და შესაბამისობაშია ახალი კურიკულუმის მოდელთან. ეს ჩამონათვალი ასევე ნათლად უჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად ძველდება კურიკულუმები/სახელმძღვანელოები. 2009 წელს ამ ჩამონათვალს დაემატა გარემოს დაცვა, ენერგიაზე დამოკიდებულება, წინსვლა გლობალური კომუნიკაციების სფეროში, გლობალიზაცია და ისლამური ცნობიერების გაძლიერების საკითხები.

2009 წლისთვის შეიცვალა არა მხოლოდ თემების ტრადიციული შერჩევა, არამედ, ზოგადად, ფოკუსირება სახელმძღვანელოებზე. ნათელია მოთხოვნა მოქნილ და ინტერაქტიულ მულტიმედიურ საშუალებაზე, რო-მელიც პატივისცემით მოეპყრობა მრავალფეროვნებას და ისტორიის მიმართ მულტიპერსპექტიულ მიდგომას გამოიჩენს. იმისათვის, რათა ევროპის მასშტაბით ყოველივე ეს რეალობა გახადოს, 2009 წლის შუა ხანისათვის, ევროკლიომ მოამზადა სამწლიანი პროექტი „ევროპული ისტორიისა და მემკვიდრეობის კვლევა. დავეხმა-როთ პედაგოგებს საშუალო სკოლებში მრავალფეროვანი პერსპექტივებით ასწავლონ ევროპის ისტორია და მემკვიდრეობა.“ ამ პროექტის ფარგლებში განვითარდება, გამოიცდება და დაინერგება ონლაინ საშუალება საშუალო სკოლებში ევროპის ისტორიისა და მემკვიდრეობის შესასწავლად. ეს ყველაფერი კი იქნება შემ-დეგი სახის: ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციული ბაზა საგანმანათლებლო მასალით, რომელშიც ძიება შესაძლებელი იქნება თემატიკის, პერიოდის თუ ადგილმდებარეობის მიხედვით და ერთ გაკვეთილად იქნება წარმოდგენილი სასწავლო თავებში. მასალას ექნება ისტორიის, მემკვიდრეობისა და გეოგრაფიის კურიკულუმების დანამატის სახე და მოტივაციას მისცემს ახალგაზრდებს მეტი შეიტყონ ევროპის შესახებ. ამ ბაზის უნიკალურობა კი იქნება შესაძლებლობა, გაკეთდეს შედარებები სახელმწიფოს შიგნით თუ გარეთ და ევროპის ისტორია და მემკვიდრეობა დანახულ იქნეს მრავალმხრივი პერსპექტივით. თავები აგებულია შემდეგი თემების ირგვლივ: „ევროპის ისტორიის გარდამტეხი მომენტები“, „კოლონიალიზმი“, „ინდუსტრია და მენტალობა“, „მიგრაცია“, „გლობალიზაცია“ და „ყოველდღიური ცხოვრება“.

ამ ახალი პან-ევროპული გამოწვევის მიზანს წარმოადგენს იმგვარი საკითხების შერჩევა, რომლებიც ინკლუზიურობასა და მრავალფეროვნებას შესძენენ ისტორიულ განათლებაზე მუშაობას. ახალი თურქული კურიკულუმი საზოგადოებრივ დისციპლინებსა და ისტორიაში გვთავაზობს უამრავ საშუალებას ამ ახალი საშუალების აქტიური გამოყენებისათვის. ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მასალები ევროკლიოს ახალი პროექტიდან: „ევროპის მიერ გადასაღები – ინოვაციური მეთოდოლოგია თურქულ სასკოლო ისტორიაში“ – იმედია გამოსადეგი იქნება ევროპის წარსულისადმი ამ ახალი მიდგომი-სას. ასევე ვიმედოვნებ, რომ ისტორიის თურქი პედაგოგებისთვის ეს შესაძლებლობა წარმოადგენს მორიგ ნაბიჯს ევროპაში ინტეგრაციის გზაზე.

დასკვნა

ისტორიული განათლება ევროპასა თუ მის ფარგლებს გარეთ მჭიდროდაა დაკავშირებული საგან-მანათლებლო და პოლიტიკურ დღის წესრიგთან. ამჟამინდელ პრიორიტეტებს წარმოადგენს ჩართულობა, მრავალფეროვნება, ადამიანთა უფლებები, გარემო და მდგრადი განვითარება. ისტორიული განათლება ევროპაში თავისი ახალი შინაარსობრივი არჩევანით თუ ინოვაციური მეთოდოლოგიით სრულიად ნათლად ასახავს ამ პრიორიტეტებს.

რობერტ მაიერი
გეორგ ეკერტის სახ. ინსტიტუტი
გერმანია, ქ. ბრაუნშვაიგი

ინტერკულტურალიზმი და ისტორიის სწავლება
გერმანული გამოცდილება და ხედვა

გერმანულ საზოგადოებასა და გერმანულ სკოლებში ინტერკულტურულობა რეალური მოვლენაა. გერმანიის ზოგიერთ ფედერალურ ოლქში მიგრანტთა ოჯახებიდან გამოსული ბავშვების რაოდენობა 30%-ს შეადგენს, ზოგიერთში კი 50%-ს აღემატება. გერმანიის (მოზრდილი) მოსახლეობას ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებლად სჭირდება უცხოელებთან შეგუება. ევროკავშირის ფარგლებში სულ უფრო მჭიდრო თანაცხოვრება და მუშაობა მოითხოვს ურთიერთობას განსხვავებული ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობის ხალხთან. გარდა ამისა, გლობალიზაცია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წარსულში, ზრდის უცხო კულტურათა შეხვედრის ალბათობას. ყოველივე ეს ხშირად წარმოშობს შიშისა და აგრესიის გრძნობას.

მოსახლეობის ნაწილში, ჩემი აზრით, 4 ტიპის დამოკიდებულება შეიმჩნევა:

1. შავკანიანთა დისკრიმინაცია. რასიზმის მსხვერპლნი განსაკუთრებით შავკანიანი აფრიკელები ხდებიან, რასაც საფუძველი კოლონიალიზმში ეძებნება.

2. ისლამის სიძულვილი. ეს გრძნობა გამოწვეულია ძველი შეხედულებებით აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ცხენოსან ურდოებზე, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ჰუნები და თათრები. მოგვიანებით ამას დაემატა თურქებთან ომები. დღეს ისლამური ტერორიზმის ძალადობა ხშირად წარმოშობს ირაციონალურ გრძნობებს. ინფორმაცია მუსლიმების მიერ დაჩაგრული ქალების შესახებ შემდგომი ნეგატიური შეხედულებების მიზეზი ხდება.

3. შიში ორგანიზებული დანაშაულის წინაშე. იგულისხმება უცხოელთა მიერ შექმნილი ბანდები, რომლებიც ყაჩაღობენ, ქურდობენ, ჩაბმულნი არიან პროსტიტუციასა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

4. დაუცველობის გრძნობა, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებაზე უცხოური ელემენტების უზარმაზარი ზეგავლენით. უამრავი ადამიანი მისთვის ჩვეულ გარემოში მიმდინარე დიდი ცვლილებებისა, მოწმე ხდება და მშობლიური ქვეყნისა და ინდივიდუალობის დაკარგვის შიში ეუფლება.

ცნობილია, რომ ეს შეხედულებები და შიში სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

ისტორიის მასწავლებლები უნდა დაუპირისპირდნენ ამ საზიანო ცრურწმენებს ისტორიის სწავლების მეშვეობით. ამ მიმართულებით გაწეული მცდელობები ინტერკულტურული სწავლების ცნებას უკავშირდება.

ადამიანის ცხოვრება მეტად ხანმოკლეა საიმისოდ, რომ მან შეიძინოს ექსპერიმენტული ცოდნა მისთვის უჩვეულო მოვლენებთან გამკლავებისათვის, მაგრამ ისტორია გვთავაზობს მრავალ სიბრძნეს ინტერკულტურული ურთიერთობის შესახებ. არსებობს უამრავი დოკუმენტური მასალა, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა ნეგატიური სტერეოტიპული შეხედულებები „სხვებზე“, „უცხოელებზე“. სტერეოტიპთა ჩამოყალიბების გააზრება მათი კონტროლის საშუალებას იძლევა. ძველი შიში შეიძლება ავხსნათ შესაბამისი ფაქტების მოკლე და გაზვიადებული აღწერით და, ამგვარად, აბსოლუტური კი არა, შეფარდებითი მნიშვნელობა მივანიჭოთ. შეიძლება ვაჩვენოთ, თუ რა გადაჭარბებული პანიკით ხვდებოდნენ სავარაუდო საშიშროებას წარსულში და რა დამანგრეველი შედეგები მოჰყვებოდა ამას. ისტერიული რეაქცია მუდამ უადგილოდ მიიჩნეოდა. კეთილშობილური და მშვიდი დამოკიდებულების შემუშავება სხვა კულტურათა მიმართ საზოგადოების კულტურული სიმწიფის ნიშანია.

ისტორია გვთავაზობს დადებითი და უარყოფითი გამოცდილების ნიმუშებს იმიგრანტთა ტალღებთან დაკავშირებით. შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ კულტურულ თუ ეკონომიკურ დონეზე უმცირესობების წარმატებული ინტეგრაციის უპირატესობა. ამას ხშირად მოსდევდა ახალი რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბება, რაც დღეს სიმდიდრედ და ხალხის სიამაყის საგნად მიიჩნევა. როგორც წესი, დიდი სირთულე იქმნება მაშინ, როცა ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობები უმნიშვნელოვნად აღიქმებიან როგორც პრობლემა. კრიტიკული ხედვის მქონე ნებისმიერი ისტორიკოსი უპირისპირდება ამგვარ დამოკიდებულებას – უმცირესობები მაშინ ქმნიან პრობლემას, როცა სახელმწიფო და საზოგადოება არ ცნობს მათ ღირებულებებს და, საერთოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათი არსებობის უფლებას.

წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ეთნიკურად ჰომოგენური ნაციონალური სახელმწიფო შეიძლება იყოს სრულყოფილი და „ბუნებრივი წესრიგის“ შესაბამისი, XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და XX საუკუნეში პიკს მიაღწია. იგი დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ გავლენას.

ის, რაც ერთი შეხედვით ბუნებრივი ჩანს, ახლო დაკვირვებით, ხელოვნური და არარეალურია. „ეთნიკური

სიწმინდე“ გამოგონილი და წარმოსახვითი იდეაა, ხოლო როცა იგი პოლიტიკაში ტარდება, აუცილებლად იწვევს არაჰუმანურ ქმედებებს. ადვილად წარმოვიდგენთ, როგორ მიიყვანა ეთნიკური ერთგვაროვნების დაცვამ ადამიანები ძალადობრივ ზომებამდე, რომლებიც უპირისპირდებოდა საზოგადოების ნორმალურ განვითარებას და საკუთარი კანონებით მოქმედებდა. მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ ამ ძალადობრივ ზომებზე და გაითამაშონ შესაბამისი სიტუაციები, მაგალითად, ქორწინების აკრძალვა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის.

ამერიკელი სოციოლოგი ფრენსისი (Francis) აღნიშნავდა, რომ კულტურათშორისი კომუნიკაცია და კონტაქტები სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ადამიანთა ისტორიის მთავარი მახასიათებელია. მაგრამ ეს კავშირები ძალაუფლების გაუწონასწორებელ ურთიერთობათა ფარგლებში ექცეოდა, ამიტომ ინტერკულტურულ კომუნიკაციას – მაგალითად, სხვადასხვა ტომის წევრებს შორის, მოგვიანებით ჯარისკაცთა და მმართველთა და თვით მისიონერთა და მასწავლებელთა შორისაც კი – მეტ-ნაკლებად ძალადობრივი ფორმა ჰქონდა. ამგვარად, უცხოს აღქმა და მის შესახებ არსებული წარმოდგენები ხშირად დამახინჯებული იყო. ისტორიის ძველი სახელმძღვანელოები ამის უამრავ მაგალითს გვთავაზობენ.

აქ გავიხსენებ ისტორიის ერთ ფრანგულ სახელმძღვანელოს, რომელიც ადრე გამოიყენებოდა აფრიკულ კოლონიებში. ის იწყებოდა წინადადებით: „ჩვენი წინაპრები, გალები...“

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის ინტერკულტურული ურთიერთობა, რომელშიც ძალაუფლების ელემენტები არ დომინირებდა, ისტორიაში გამონაკლისია. სწორედ ეს არის „ინტერკულტურული სწავლების“ დღევანდელი გაგების ამოსავალი.

„ინტერკულტურული სწავლება“ არ არის ცალკე სასკოლო საგანი, არამედ ეს არის პრინციპი, რომელიც ყველა საგანსა და სწავლების შინაარსში უნდა ჩაიდოს. მისი მიზანია წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ შეიმეცნონ უცხო კულტურა და შეამოწმონ საკუთარი პოზიცია სხვებთან ურთიერთობაში, რაც ურთიერთგაცვლას შეუწყობს ხელს.

ისტორიის პროგრამა ცდილობს ამ პრინციპს მისდიოს. ამის მაგალითია გერმანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის ფედერალური მიწა:

სახელმძღვანელოები შესწავლილ უნდა იქნას მათი ეთნოცენტრული, ევროცენტრული და მონოკულტურული შინაარსის თვალსაზრისით. ეს შეზღუდული პერსპექტივა გაცილებით ფართო თვალსაწიერით უნდა შეიცვალოს.

სასკოლო თემები უნდა გამდიდრდეს მაგალითები თუ ცხოური კულტურებიდან. ხაზი გაესვას განსხვავებულ კულტურათა შორის არსებულ მსგავსებას.

მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ფაქტები სხვა კულტურებიდან, დაინახონ მათი მდიდარი მემკვიდრეობა და მიღწევები.

კონკრეტული ინტერკულტურული საკითხები არ უნდა ისწავლებოდეს როგორც განცალკევებული პატარა ელემენტები, არამედ სახელმძღვანელოებში მათ მეტი ადგილი უნდა დაეთმოს.

ინტერკულტურული სწავლების მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნას შემდეგი საგანმანათლებლო მიზნები:

მოსწავლეები ცდილობენ დაინახონ წარსულის საზოგადოებების ფუნდამენტური განსხვავებები. მათთვის ცნობილი ხდება არაევროპული კულტურების ძირეული განსხვავებები, რაც აღიქმება როგორც ადამიანთა ცხოვრების ორგანიზაციის სხვა, დამოუკიდებელი ფორმა.

მოსწავლეები უნდა გაეცნონ ეთნიკურ მრავალფეროვნებას, როგორც ფასეულობას, რაც წინ აღუდგება კულტურათა ნიველირებას. მათ უნდა სცადონ ამ ფასეულობის დამკვიდრება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლეები ტოლერანტულად აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული კულტურული ნორმები.

მოსწავლეებმა იციან ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიული მაგალითები და შეუძლიათ ახსნან მათი სპეციფიკური ნიმუშები.

წარსულის უცხო კულტურების შესწავლის გზით, მოსწავლეები ხედავენ და უპირისპირდებიან წინასწარგანწყობებსა და ცრურწმენებს.

ისინი აღარ აღიქვამენ არაევროპულ კულტურებს, როგორც სამხედრო ან ეკონომიკური თვალსაზრისით მათზე დაბლა მდგომს.

შეუძლიათ ეთნოცენტრისტული აზრებისა და ინტერპრეტაციების იდენტიფიცირება.

უკეთ აცნობიერებენ ევროცენტრისტულ ხედვასა და ინტერპრეტაციას. ამაში მათ არაევროპულ იდენტობათა ფართო სპექტრის ცოდნა ეხმარება.

გაიაზრებენ სხვადასხვა კულტურას შორის კომუნიკაციის სტრუქტურულ სიძნელეებს.

მოსწავლეები სწავლობენ, რომ დიალოგის პროცესში სხვა თანასწორად უნდა აღიქვან.

მათთვის ცნობილი ხდება საკუთარი კულტურული მემკვიდრეობა და ნორმები. პროგრამა ან სახელმძღვანელო არ გვთავაზობს ინტერკულტურული სწავლების შესაბამის ჩარჩოს, თუ:

აუცილებელ მოთხოვნად არ აყენებს სხვათა გაგებას.

ვრცლად ეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა მიგრაცია, კულტურული კონტაქტები, სასაზღვრო რეგიონები, ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

აქცენტი ძირითადად ეროვნულ ისტორიაზე კეთდება.

ევროპის სხვა ქვეყნების ისტორიას ეხება მხოლოდ საკუთარი ერის ისტორიასთან მიმართებაში.

არაევროპული ისტორია მხოლოდ ეროვნული/ევროპული განვითარების ფონადაა წარმოდგენილი.

არ შეიცავს ეთნოლოგიისა და კულტურის ისტორიის ასპექტებს.

არ მისდევს ისტორიის ტრადიციულ პერიოდიზაციას, ანუ დროის დაყოფას ანტიკურობად, შუა საუკუნეებად, თანამედროვე ისტორიად და უახლეს ისტორიად.

ისტორიული სივრცეები, უპირველესად, განსაზღვრულია ეროვნული და ეთნიკური კრიტერიუმებით და არა როგორც მრავალასპექტიანი ურთიერთგაცვლის არეალები, მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირეთი ან ბალტიისპირეთი.

ეს სასწავლო მიზნები უნდა დაინერგოს კურიკულუმში, თემების კლასიფიკაციისას, ავტორისეულ ტექსტებში, წყაროებსა და ილუსტრაციებში. დაბოლოს, მსურს წარმოგიდგინოთ დავალებებისა და კითხვების რამდენიმე მაგალითი ამჟამად მოქმედი გერმანული სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც, ჩემი აზრით, ინტერკულტურული ცნობიერებისა და გაგების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (მე გამოვიყენე სახელმძღვანელოები: „ისტორიული ექსპედიცია“, „ისტორიული ხანა“, „ეპოქის ხედვა“, „ანნო“, „ისტორია პლუს“).

1-ელი თემა: ილუსტრაცია, რომელზეც გამოსახულია ჩინური ფაიფურის მხატვრობა, მე-16 საუკუნე.

დავალება: დაწერეთ წერილი, რომელშიც ვაჭარი აღუწერს მეგობარს ჩინური ფაიფურის მშვენიერებას.

მე-2 თემა: კულტურა ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის.

დავალება: დააჯგუფეთ აფრიკული კულტურის ფორმები და შეადარეთ ისინი ევროპულს.

მე-3 თემა: აფრიკული ხელოვნება.

დავალება: რატომ არის აფრიკული ქვის ქანდაკებები ესოდენ საინტერესო ევროპული ხელოვნებისათვის?

მე-4 თემა: ესპანელთა მიერ ამერიკის დაპყრობა.

დავალება: წარმოიდგინე შენი თავი ევროპელისა და ინდიელის ადგილას და ისაუბრე მეორე მხარესთან. რამ მოიტანა ზეწოლა და ჩაგვრა და როგორ შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება? განიხილეთ, ჰქონდათ თუ არა ინდიელებს როდესმე იგივე უფლებები, რაც თეთრებს?

მე-5 თემა: აღმოჩენების ხანა.

დავალება: იმსჯელეთ, ნამდვილად იყვნენ თუ არა მკვიდრი ამერიკელები „ველურები“? რის საფუძველზე აცხადებენ აფრიკელები, რომ ევროპელები კანიბალები არიან?

მე-6 თემა: სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა გერმანიის კოლონია ხდება.

დავალება: მოიფიქრე დიალოგები, რომლებშიც ჰერერო კოლონისტებთან საუბრობს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს საქმე. გაითამაშე განსხვავებული სიტუაციები.

მე-7თემა: აფრიკული ლექსი ბურუნდიდან, 1982 წ.

დავალება: ლექსის საფუძველზე განიხილეთ, თუ რას ნიშნავს კოლონიალიზმი კოლონიური ქვეყნების იდენტობისათვის.

მე-8 თემა: ფოტო, რომელზეც გამოსახულია ტურისტების წინაშე მოცეკვავე ზულუ.

დავალება: წარმოიდგინე შენი თავი მოცეკვავეებისა და ტურისტების ადგილას. გადმოეცი მათი ფიქრები და გრძნობები.

მე-9 თემა: ფოტო, რომელზეც გამოსახულია 1898 წელს ჩინეთში, გერმანულ კოლონიურ ადმინისტრაციაში მომუშავე ჩინელი პოლიციელი.

დავალება: დაწერე ცინდაოს ნავსადგურში გერმანელთა სამსახურში მყოფი ჩინელი პოლიციელის

მოხსენება მოკრივეთა აჯანყების შესახებ.

მე-10 თემა: 1853 წელს ამერიკელებმა ომის გამოცხადების მუქარით აიძულეს იაპონია, გაეხსნა ნავსადგურები.

დავალება: დაწერე მცირე ზომის ტექსტი ამ მოვლენის შესახებ 1854 წლის ა) ამერიკული სახელმძღვანელოსთვის; ბ) იაპონური სახელმძღვანელოსთვის.

მე-11 თემა: მოხსენება პეტრე დიდის დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის შესახებ.

დავალება: დაწერეთ, რას უამბობდა ოჯახის წევრებს იმპერატორის მოსამსახურე შინ დაბრუნების შემდეგ.

მე-12 თემა: ჯვაროსნები, მე-13 საუკუნე.

დავალება: წარმოიდგინე შენი თავი ებრაელის ადგილას რაინლენდის რეგიონში და მუსლიმისა – იერუსალიმში. ამ პოზიციებიდან დაწერე კომენტარები ჯვაროსანთა მოქმედებებზე.

მე-13 თემა: ისლამი და ქრისტიანობა.

დავალება: კონტაქტები უცხო კულტურასთან შეიძლება აღვიქვათ, როგორც საშიშროება, მაგრამ, ამავე დროს, როგორც გამრავალფეროვნების საშუალება. დაასახელე კულტურული კონტაქტების დადებითი და პრობლემური მხარეები და ჩამოაყალიბე შენი აზრი.

მე-14 თემა: ისლამი დღეს.

დავალება: ახსენი, რატომ შეიძლება დაიმოწმონ ყურანი ქალებმა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნისას.

მე-15 თემა: შუა საუკუნეების წარმოდგენა ებრაელთა მიერ ქრისტიანი ბავშვის რიტუალური მკვლელობის შესახებ.

დავალება: რატომ სჯეროდა ხალხს ასეთი გამონაგონი ისტორიები?

მე-16 თემა: ებრაელთა ისტორია, მე-14 საუკუნე.

დავალება: ხარ ებრაელი ვაჭარი და ფიქრობ, დასახლდე გერმანიის ქალაქ შპეიერში. შენ აცნობიერებ, რომ ამ შემთხვევაში შენ ქალაქის უმცირესობის ნაწილი ხდები. რის შეგეშინდება? ესაუბრე ებრაელს, რომელიც დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობს და მიიღე გადაწყვეტილება.

მე-17 თემა: ებრაელები და ქრისტიანები.

დავალება: რომელი ტიპის უმცირესობები ცხოვრობენ გერმანიაში. რა აზრისა ხარ შენ მათზე და როგორ ჩამოყალიბდა შენი შეხედულება? როგორ შეიძლება აღმოვფხვრათ წინასწარი განწყობები და ცრურწმენები ადამიანთა გონებიდან?

მე-18 თემა: რეფორმაცია, მე-16 საუკუნე.

დავალება: გამოარკვიე, სად ხდება დღესაც ძალადობის ფაქტები რელიგიურ ნიადაგზე. არსებობს ასეთი ტიპის კონფლიქტების მოგვარების მაგალითები?

მე-19 თემა: გერმანელთა ემიგრაცია ამერიკაში.

დავალება: შეადარე 1900 წლისათვის აშშ-ში მცხოვრები გერმანელი ემიგრანტების და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არაგერმანული წარმოშობის იმიგრანტების მდგომარეობა.

მე-20 თემა: ემიგრაცია ამერიკაში მე-19 საუკუნეში.

დავალება: გამოკითხე სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ემიგრანტები არიან.

მე-21 თემა: იძულებითი მუშახელი ნაცისტურ გერმანიაში.

დავალება: დაწერე წერილი, როგორც ყოფილმა საბჭოთა ან პოლონელმა იძულებით მომუშავემ, რომელიც გერმანული კომპანიისგან ითხოვს ფინანსურ კომპენსაციას იძულებითი სამუშაოსთვის.

მე-22 თემა: ფოტო, რომელზეც გამოსახულია აბანო – ცალკე თეთრკანიანებისა და ცალკე – შავკანიანებისათვის აშშ-ში, 1960 წელი.

VIII. შეფასება
რეკომენდებული შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში

შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში:

- **საკლასო სამუშაო**
2. **საშინაო დავალება**
3. **შემაჯამებელი დავალება**

4. საკლასო სამუშაო

ფასდება შემდეგი ცოდნა[8] და უნარები:

1. პრობლემის გააზრება
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა
- შემოქმედებითობა
- დროის ისტორიული გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
- ისტორიული კვლევა
- გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტირება
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა

[8] *ცოდნა ფასდება თითოეული საგნისა და კლასის პროგრამული შინაარსის შესაბამისად*

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
- განხილული მოვლენებისა და პროცესებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზებით
- ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილით
- დისკუსიაში მონაწილეობის სიხშირით
- ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრების დასაბუთებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით
- დროის ლიმიტის დაცვით
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით

- **საშინაო დავალება**

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

2. პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტირება
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- კრიტიკული აზროვნება

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას მოსაზრებების არგუმენტირებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით
- წერითი ნამუშევრის შექმნით

- **შემაჯამებელი შეფასება**[9]

ფასდება შემდეგი უნარები:

3. კრიტიკულ პირობებში (ტესტი, საკონტროლო და სხვა) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომჟღავნება
- პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- სივრცეში ორიენტირება
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
- კრიტიკული აზროვნება

[9] *შემაჯამებელი სამუშაოები სრულდება როგორც ზეპირი (დისკუსია, ინსცენირება) და წერითი (ტესტი, ნაშრო ისტორიულ-გეოგრაფიული თემა), ისე შერეული (პრეზენტაციის ან პროექტის წარდგენა,) ფორმით სასწავლო თემის, თემებ ბლოკისა თუ საწავლო პროცესის გარკვეული ეტაპის დასრულების შემდგომ.*

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

- საკონტროლო წერა
- ტესტირება
- კითხვა-პასუხი
- თემა/ესე
- *პრეზენტაცია*
- *პროექტი*
- *რეფერატი*
- კვლევა
- *დისკუსია/დებატები*
- კონფერენცია

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასების რუბრიკის ნიმუშები:

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი									
	•	**1.**	**2.**	**3.**	**4.**	**5.**	**6.**	**7.**	**8.**	**9.**
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1									
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1									
შემოქმედებითი უნარი	1									
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	0									
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	0									
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1									
თვალსაჩინოებების გამოყენება	0									
აუდიტორიასთან კონტაქტი	1									
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1									
დროის ლიმიტის დაცვა	0									
ჯამი	6									

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
1.მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
2.ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3.შინაარსის კორექტულობა	ხშირად გვხვდება შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია,	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4.ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5.კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყაროები არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო და ანალიზი სიღრმისეულია
6.თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნატელია, მაგრამ ერთფეროვანია,	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7.შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8.კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	მოსაზრებები დაკავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე
9.დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი იგრძნობა კვლევასთან, ისინი მკაფიოდაა ჩამოყალიბებულია
10.პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

რეფერატის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი				
	1.				
1.მიზანი/თეზისი – კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1				
2.რეფერატის ორგანიზება	1				
3.შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2				
4.ენობრივი გამართულობა	0				
5.კვლევა	2				
6.ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები	1				
7.შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1				
8.დასკვნები	1				
ჯამი	**9**				

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ ენიჭება შესაბამისი ქულა, ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული).

	III დონე (8-10 ქულა)	**II დონე (5-7 ქულა)**	**I დონე (1-4 ქულა)**
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის შესატყვისი	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

[10] *ისტორიისთვის შესაძლოა მე-6 კრიტერიუმი არ გავითვალისწინოთ, შესაბამისად მე-7 კრიტერიუმი შეფასდება მაქსიმალური 2 ქულით.*

შემაჯამებელი დავალების კონკრეტული მაგალითი ისტორიაში:

დაწერეთ თემა : *„პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა".*

ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი;

ბ) დაიცავით რეფერატის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) და თემას დაურთეთ გამოყენებულ ლიტერატურის ნუსხა;

გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა დაამუშავეთ იმგვარად, რომ საშუალება მოგეცეთ იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- რატომ და როგორ განვითარდა ევროპელთა ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში
- რა იყო მისი განმაპირობებელი მიზეზები
- რა შედეგები მოჰყვა ამ ლაშქრობას

დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხვავებული პოზიციები, შეაჯერეთ ისინი, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;

ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად: გაეცანით და დაამუშავეთ საკითხის შესახებ არსებული პირველადი და მეორადი წყაროები.

რეფერატის შეფასების რუბრიკა

10. **მიზანი/თეზისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება**	0-1	**0 ქულა** - კვლევის მიზანი არ არის განსაზვრული / მართებულად არ არის კვლევის მიზანი განსაზღვრული	_	**1 ქულა** - შესავალში, შერჩეულ თემასთან მიმართებაში, მკაფიოდაა წარმოცენილი ის კითხვები, რომლებზეც არის რეფერატში პასუხი გაცემული
11. **რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი**	0-1	**0 ქულა** - არაა გამოკვეთილი რესურ-სები, რის საფუძველზეც შესრულდა რეფერატი, ნაშრომს არ აქვს სტრუქტურა, რეფერატს არ აქვს ადექვატური ბიბლიოგრაფია	_	**1 ქულა** - კარგად ჩანს რა ბაზაზე შეასრულა მოსწავლემ რეფერატი; შემოთავაზებული ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ნაშრომებითაა დაკომპლექტებული
12. **შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა**	0-2	**0 ქულა -** მოძიებული მასალა ძალიან მწირია, არ იცნობს პირველად წყაროებს, მეორადი წყაროებიც არაა დამუშავებული.	**1 ქულა** - მოძიებული მასალა შეიცავს პირველად და მეორად წყაროებს, თუმცა წარმოდგენილი წყაროები ზედაპირულადაა დამუშავებული, ანუ მოსწავლე მხოლოდ ნაწილობრივად გაიაზრებს მასალას	**2 ქულა -** იცნობს პირველად და მეორად წყაროებს, მოხმობილი ფაქტები სანდოა,რადგან მართებულად ხდება წყაროს ამოკითხვა; პირველადი და მეორადი წყაროები სათანადოდაა დამუშავებული, მოსწავლე ავლენს კრიტიკული დამოკიდებულებას წყაროსადმი
13. **ენობრივი გამართულობა**	0-1	**0 ქულა** - ენა გაუმართავია, აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული	_	**1 ქულა** - ენა ნათელი და გასაგებია,მსჯელობა თანამიმდევრული
14. **კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)**	0-2	**0 ქულა** - მოსწავლეს არ გააჩნია პოზიცია თემასთან მიმართებაში, მისი რეფერატი ორიგინალური ნაშ-რომის შთაბეჭდილებას არ ტოვებს; მოსწავლე არ ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, შეიმჩნევა პლაგიატობა	**1 ქულა -** მოსწავლე ავლენს წყაროების ანალიზის უნარს, თუმცა უჭირს წყაროებში ფაქტებისა და ვარაუდების გარჩევა, შესაბამისად მის მიერ გამოთქმული ზოგიერთი	**2 ქულა -** მოსწავლე დამაჯერებლად განასხვავებს ფაქტსა და ვარაუდს ერთმანეთისაგან, სათანადოდ ამუშავებს პირველად და მეორად წყაროებს, მათი გაანალიზების საფუძველზე გამოთქვამს

			ვარაუდი საფუძველს მოკლებულია	სათანადო ვარაუდებს, თანამიმ-დევრულა დ დალა-გებული მასალის საფუძველზე ახერხებს თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემას
15. ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები	0-1	_	_	_
16. შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	0-2	**0 ქულა** - არ აქვს საკუთარი პოზიცია	**1 ქულა** - ცდილობს შემოგვთავაზოს საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებაში, თუმცა საკუთარ პოზიციის დაცვა უჭირს.	**2 ქულა** - ავლენს საგნის კარგ ცოდნას, დამუშავებული მა-სალის მოშველიებით კარგად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და ამყარებს მას არგუმენტებით მსჯელობს თამამად, ანგარიშს უწევს, მაგრამ ბრმად არ ენდობა ავტორიტეტებს.
8. **დასკვნები**	0-1	**0 ქულა** - რეფერატში მოცემული დასკვნები არაარგუმენტირებული და მცდარია		**1 ქულა** - აჯამებს კვლევის შედეგებს, კარგად ახერხებს ამის მკითხველამდე მიტანას.
	ჯამური ქულა			

11 ისტორიისთვის შესაძლოა მე-6 კრიტერიუმი არ გავითვალისწინოთ. ასეთ შემთხვევაში მე-7 კრიტერიუმი შეფასდება მაქსიმალური 2 ქულით.

სტანდართან შესაბამისობა- მაგალითი შესაბამისობაშია X კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების - *ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა* - მე-4, მე-5, მე-6, მე -7 შედეგებსა და მიმართულების - *კომუნიკაცია* - მე-8 შედეგთან; ასევე XI კლასის ისტორიის სტანდარტის მიმართულების - *სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა* - მე-5 შედეგთან.

თვითშეფასება

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თვითშეფასება.

თვითშეფასება ადამიანის დამოკიდებულებაა საკუთარი თავის მიმართ, რომელიც პოზიტიურიდან (მაღალი თვითშეფასება) მერყეობს ნეგატიურამდე (დაბალი თვითშეფასება).

თვითშეფასება არის პროცესი, რომლის საშულებითაც მოსწავლე ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. ამისათვის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ნაშრომების შეფასების საშუალება. თვითშეფასება ხელს უწყობს მოსწავლეს, გაერკვეს საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებში და დაგეგმოს თავისი საქმიანობა, რაც დაეხმარება მიზნების მიღწევაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ აწარმოონ საკუთარ სასწავლო აქტივობებზე ჩანაწერები, პერიოდული წერილობითი შეფასებები. მაგალითად, თვითშეფასების ცხრილში შესაძლოა მოცემული იყოს შემდეგი პუნქტები: (1) რა გავაკეთე დღეს, (2) რა წარმატებით გავაკეთე, (3) ვისთან ერთად ვიმუშავე, (4) რა გავაკეთე კარგად, (5) რა მინდა, რომ უკეთ გავაკეთო და ა.შ.

თვითშეფასების ერთ-ერთი ხერხია აგრეთვე, როცა მასწავლებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, შეამოწმონ პასუხები და მთელ კლასს უკითხავს სწორ ვარიანტებს. მოსწავლეები ადარებენ საკუთარს. მიღებული შედეგების საფუძველზე მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას. მასწავ-ლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახსნან თავიანთი შეცდომების მიზეზები.

ასევე, შესაძლებელია, რომ წლის დასაწყისში მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს, დაგეგმონ მომავალ სემესტრში მისაღები ნიშანი. ხდება რეალურად მიღებული საბოლოო ნიშნისა და დაგეგმილის შეფასება. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს წარუმატებლობის მიზეზს დასახული მიზნის მიუღ-წევლობის შემთხვევაში.

თვითშეფასების მუდმივი წარმოება მოსწავლეებს უყალიბებს შეცდომის მიმართ სწორ დამოკიდებულე-ბას. მოსწავლე ხვდება, რომ მხოლოდ შეცდომის გამოსწორებით არის შესაძლებელი მისი თვითგანვითარება.

მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის შესაძლებელია კითხვარის ან ცხრილის გამოყენება;

თვითშეფასების კითხვარი:

1. როგორ შეაფასებდი გაკვეთილზე საკუთარ მუშაობას – 0-დან 10 ქულამდე?
2. რა მიღწევები გაქვს სწავლის პროცესში და როგორ მიაღწიე მას?
3. რა ხარვეზები გაქვს სწავლის პროცესში და როგორ აპირებ მათ გამოსწორებას?
4. როგორია შენი აქტიურობა გაკვეთილზე?
5. რამდენჯერ არ შეასრულე საშინაო დავალება?
6. თანამშრომლობ თუ არა თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან და როგორ გეხმარება ეს ურთიერთობა სწავლის პროცესში?
7. რას უთმობ ძირითად დროს გაკვეთილზე:

ა) მასწავლებლის საუბრის მოსმენას;

ბ) მსჯელობას, დისკუსიას;

გ) ჯგუფებში მუშაობას;

დ) კითხვას;

ე) წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული სავარჯიშოების შესრულებას;

ვ) სხვა საქმიანობას.

მოსწავლეებს ასევე შეიძლება შევავსებინოთ კითხვარი ჩატარებული გაკვეთილის შესახებ, რომელიც ამავე დროს მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება მომავალი მუშაობის დაგეგმვისას:

კითხვა	კი	არა	მიჭირს შეფასება
gakveTilis iyo kargad organizebuli			
gamoyenebuli masala iyo saintereso			
gakveTilis iyo saintereso masSi gamoyenebuli damatebiTi masaliT			
maswavlebelis iyo moswavleze orientirebuli			
maswavlebli is Sefaseba iyo samarTliani			
maswavlebelis iyo mkacri, ramac xelis SemiSala gakveTilis Temis Seswavlaši			
gakveTilis maRali Sefasebas vaZlev			
risgamosworebas isurvebdi momdevno gakveTilebze (mok lekomentari)			

ყველა პედაგოგისთვის კარგად არის ცნობილი, რომ წარმატების მისაღწევად მხოლოდ სპეციალური ცოდნა არ არის საკმარისი. ცნობილია ისიც, რომ ყოველი გაკვეთილის მსვლელობის თუ მოსწავლესთან ურთიერთობის ნებისმიერ, უმნიშვნელო ეპიზოდშიც კი, მასწავლებელს მოეთხოვება დიდი ოსტატობა. მაგრამ სწავლისა და აღზრდის მრავალწახნაგოვან და ურთულეს პროცესში მასწავლებლის ქმედების, განწყობის, მოსწავლის მიმართ დამოკიდებულების, ინდივიდუალური მიდგომისა და ურთიერთკავშირის დამყარების ფორმალური წესით გაანალიზება ნაკლებად ეფექტიანი შედეგის მომტანია. ალბათ თვით მასწავლებელზე უკეთ ვერავინ შეძლებს სუსტი და ძლიერი მხარეების, ხარვეზების ან, პირიქით, წარმატებულობის გაანალიზებას. ვიცით, რომ საკუთარი ხედვით და შეფასების განსხვავებული კრიტერიუმით ბევრ სპეციალისტს უცდია ამგვარი ანალიზის გაკეთება. მრავალი პრაქტიკოსი პედაგოგიც არაერთხელ დაფიქრებულა ამის თაობაზე. როდესაც ერთ-ერთ საკმაო გამოცდილების მქონე მასწავლებელს მივმართეთ პედაგოგის საქმიანობის ანალიზისა და შეფასების შესაძლო კრიტერიუმების თაობაზე განმარტებისთვის, მან ასე გვიპასუხა:

„პედაგოგის შრომისა და წარმატებულობის შეფასების ყველაზე ობიექტურ კრიტერიუმად ალბათ რეალური შედეგი უნდა მივიჩნიოთ და ის მხოლოდ დღევანდელი გაკვეთილის შედეგში არ უნდა დავინახოთ. მრავალი წლის შემდეგ ეს შედეგი უფრო თვალნათლივ გამოჩნდება და, ან სიამაყეს და ბედნიერებას მოგგვრის, ან გულს გატკენს“.

გთავაზობთ კითხვარს მასწავლებელთათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პედაგოგის წარმატებულობის თვითანალიზისა და თვითშეფასებისთვის.

ჩამოთვლილ მოსაზრებებს უპასუხეთ: „დიახ“ ან „არა“, ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდით თითოეულ პუნქტს, გააანალიზეთ თქვენივე შეფასება, იპოვეთ თქვენთვის პრობლემური ასპექტები და გააკეთეთ დასკვნები:

1. bavSvebi didi siamovnebiT ismenenCems monayo ls.

2. miyvars codnis mudmivi Sevseba da ganax leba.

3. adamianebis mimarTvar yuradRebiani.

4. sakuTar Tavs miviCnev bednier, mxiaru ladamianad.

5. ar miCndebaSinagani dabrko leba, Tusko laSi bavSvebTan didi xniT darCena saWiro gaxda.

6. didi siamovnebiT viRebmonawi leobas sasko lo musika lur saRamoebSi.

7. ar viRlebi bavSvebTan xangrZlivi urTierTobisgan, isini muxtsmmateben, maTTan yofnasaintereso da saxalisoa.

8. miyvars sagani, rome lsac vaswavli. didi gulmodginebiT vagroveb masalas, rome lic damexmareba muSaobaSi.

9. yovelTvis vcdilob, bavSvebSi davinaxo da ganvaviTaro yvelaze Rirebuli da warmatebis momtani Tvisebebi.

10. yovelTvis vecdebi, TiToeul bavSvs moveqce pativiscemiT, ar ganvasxvavo erTmaneTisgan da calkeulebis mimarTar gamoviCino negatiuri damokidebuleba.

11. momdevno gakveTilisTvis saxlSi momzadeba CemSi ar iwvevs nerviulobas. yovel-dRiurad amiskeTebis survili iar miqreba.

12. me ar vvardebi frustraciaSi, Tuxelmzrvanelebi eswrebian Cems gakveTilebs. SemiZlia rCevis mosmena an nakl ovanebis Taobaze mocemuli rekomendaciis gaziareba da daskvnis gamotana.

13. myofnis Sinagani Zala imisaTvis, rom gawonaswo rebulad dakeTilmosurneobiT moveqceaxlobel adamianebs da rac gindamoxdes sko laSi, javrsar viyri sakuTar Svilebze.

14. Zalian miyvars sagani, rome lsac vaswavli, fsiqologiuri, pedagogiuri, specialuri literaturis, agreTve memuarebis, mso flio klasikiskiTxva.

15. arafer i maxarebs ise, rogorc kargi, mravalferovani musika.

16. Semwevs unari kviris ganmavlobaSi SevinarCuno da gavanawilo sakuTari Zalebi.

17. didi siamovnebiT vakeTeb fizikur var jiSebs.

18. ar miyvars monotonuri, erTferovani saqmiskeTeba.

19. sakuTari sixalisiT, sixaruliT, Seupovrobi T da dainteresebulobis pi radi magaliTiT SemiZlia saqmeSi Cavaba yvelamoswavle.

20. moswavleebTaner Tad yovel Tvis vigoneb raime axal s, sainteresos. ami tom isini mudmivad mTxoven Txrobis gagrZelebas.

21. bavSvebTaner Tad davdivar laSqrobaSi, vdgam speqtaklebs, aRvniSnavT dabadebis dReebs.

22. ivlisSi ukve moviwyen xolme, vel odebi seqtembris mosvlas da moswavleebTan Sexvedras.

23. yofil moswavleebs Zalian vuyvarvar, yovel Tvis uxariaT Sexvedra, mommar Taven kiTxvebiT damadlierebiT iReben rCevas.

24. Cemi mso f lmxedvel obisa da mso f l SegrZnebis safuZvel Si devsbednie reba da sixa-ruli.

25. yvela gakveTil ze vcdilob, moviZio urTier Tobis axali nakadulebi, gzebi, bilikebi.

26. diferencirebuli midgoma CemTvisniSnavs, gavugo TiToeul moswavles, mis Sesaxeb vicode rac SeiZlebameti, mqondes gansakuTrebuli da sandourTier Tobebi, vexmarebode cxovrebiseuliarCevanis gakeTebaSi, winsvlaSi.

27. vcdilob, adamianze arasdrosvilaparako cudad.

28. memiyvars mimowera Cems moswavleebTan.

29. bevri saintereso ramvici Cems ojaxze.

30. keTilmosurne damokidebuleba maqvs Cemi skolismimarT daxSirad vyvebi mismiR-wevebasa da upiratesobaze.

31. dadebiTi damokidebuleba maqvs skolaSi moswavleTastimuliirebis mimarT, SemiZlia davinaxo bavSvebis warmatebebi da wavaxaliso isini.

32. Zalian vRelav, rodesac vatareb RiagakveTils, magram misi dasrulebis Semdeg ganvicdi kmayofilebis grZnobas.

33. mepativs vcem Cems skolegebs.

34. vcdilob viyogulaxdili, magram:

- yovel Tvis vambobsimarTles;
- mxolod nawilobrivvambobsimarTles.

35. mepativs vcem TiToeuli bavSvis interess, mis individualur da bavSvTa kolektivisazrs.

36. arasodes davcini bavSvebs.

37. keTilsindisierad vasrulebadministraciis davalebas.

38. gardaskolisa, maqvs sxvamdgradi Semoqmedebi Ti interesebi.

39. miyvars kargad Cacma.

40. TviTganaTlebaCemiZlieri mxarea.

41. Semwevs unari, gamovkveTo da konkretulad davsaxo mizani.

42. saerTo saqmianobas me vgegmav bavSvebTaner Tad.

43. SemiZlia Sevqmna iseTi pirobebi, rom bavSvi gaTavisuflides kompleqsebisgan da gamoavlinos sakuTariniWi da unari.

IX. ბიბლიოგრაფია

1. ბარნაველი ს., ქართული დროშები, თბ., 1953.
2. ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები. ნაწილი I, თბილისი, 2006.
3. კერამი კ., ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები, თბ., 1972.
4. ლორთქიფანიძე ო. არქეოლოგია საქართველოში, თბ., 1982.
5. სთილი ლ.ჯინი, მერიდითი ს. ქერთის, თემფლი ჩარლზი, სახელმძღვანელო I-VIII, პროექტი-სათვის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“, თბილისი, 2000.
6. ვახუშტი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ. 1997
7. ტარნოვსკი ო., საქართველოს ისტორიული დროშები, „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, თბ, 1982.
8. ყორანაშვილი, გ., ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა). თსუ გამომცემლობა, თბ.,1999.
9. ყორანაშვილი გ., პროფესია – ისტორიკოსი, თბ., 1986.
10. ჭანტურიშვილი ს., ეთნოლოგია, თბ., 1993.
11. ჯავახიშვილი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.
12. ჯაფარიძე ო. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991
13. ჰეროდოტე, ისტორია, 2 ტომად, თბ., 1975-76.
14. გინძბურგი, კარლო. ნაკვალევები, მითები, მიკროისტორია : ესსეები ევროპის ისტორიისა და კულტურის შესახებ. თბ. : ილიას სახელმწ. უნ-ტი, 2011.
15. ლორთქიფანიძე, ო. ქართული ცივილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია? თბ., 1993
16. გორდეზიანი, ლევან. ძველი ისტორიის ნარკვევები. თბ. : ლოგოსი, 2009.
17. კარი, ედვარდ ჰელეტ. რა არის ისტორია? : კემბრიჯის უნ-ტში წაკითხული ლექციების ციკლი, 1961 წ. იანვარი-მარტი /. - თბ., 2001.
18. ისტორიის შესახებ. ილიას უნივერსიტეტის გამომც., 2011.
19. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
20. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.
21. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ხაუხ-ჩიშვილის მიერ, თბ., ტ. I, 1955, ტ. II, 1959.
22. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. I-XII.
23. Блок, М. Апология истории. Москва, 1973.
24. Коллингвуд, Дж. Идея истории. Автобиография. Москва, 1980.
25. Вико, Дж. Основание новой науки об общей природе нации. Ленинград, 1940.
26. Белявский М.Т., Мемуары, дневники и переписка, М., 1973.
27. Бердяев Н.А., Смысл истории, М., 1990.
28. Бернгейм Э., Введение в историческую науку, СПБ, М., 1908.
29. Блок М., Апология истории, или Ремесло историка, 2-е изд. доп., М., 1986.
30. Болингброк Г., Письма об изучении и пользе истории, М., 1978
31. Виппер Р.Ю., Большие проблемы истории, Рига, 1990.
32. Гусарова Т.П., Картография, Введение в специальные исторические дисциплини, М., 1990.
33. Коллингвуд, Р.Дж. Идея истории. Автобиография. Издательство «Наука», Москва, 1982.
34. Ланглуа Ш.В., Сеньобос Ш., Введение в изучение истории. Пер. с фр. СПб, 1899.
35. Лукиан, Как надо писать историю? Нежин, 1907.
36. На пути к пониманию прошлого (Поиски, версии, идеи), книга для учителя истории, Рига, 2000.
37. Тош Дж., Стремление к истине, Как овладеть мастерством историка, М., 2000.
38. Франк Анна, урок истории, Амстердам, 1996.
39. Фриман Э., Методы изучения истории, М.,1893.
40. Тойнби А. Дж., Цивилизация перед судом истории, М., 1996

41. Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. М., 1961-1963
42. Carr, E.H., What is History?, Palgrave,2001.
43. Evans,R.J., In Defence of History, Granta Publications, London, 2000.
44. Handbuch der Geschichtsdidaktik. (Hrsg.: Bergman- Fröhlich –Kuhn-Rüsen-Schneider). Hannover,1997.
45. Storey,W.K., Writing History. A Guide for Students,Oxford University Press, New York, Oxrord, 2004.
46. Williams, R.C., The Historian's Toolbox. A Student's Guide to the Theory and Craft of History, New York, 2003.

მასალა ინტერნეტში
http://www.nplg.gov.ge/